ISSN 2587-4713

VOLUME 104,
ISSUE 10-12. 2021

DOI:10.36962/ECS

ტომი 104, 10-12. 2021

ECONOMICS

1918

ეკონომიკა

1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

SCIENCE, PRACTICE, EXPERIENCE

ISSN 2587-4713
DOI:10.36962/ECS104/10-12/2021

ეკონომიკა

ECONOMICS

ტომი 104, 10-12 2021
VOLUME 104, ISSUE 10-12 2021

ინდექსირდება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში
Indexing in International Scientific Databases:

E-ISSN 2733-3361

საქართველო, თბილისი 2021
GEORGIA, TBILISI, 2021

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

ტომი 104, 10-12. 2021
VOLUME 104, ISSUE 10-12. 2021
DOI:10.36962/ECS104/10-12/2021

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ლ. ბახტაძე; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; ა, რზეპკა (**პოლონეთი**) მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Бахтадзе Л., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Рзепка А. (**Польша**), Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; L. BAKHTADZE; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; A. RZEPKA (**POLAND**); M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა
და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

**The Author is responsible for plagiarism
and for the accuracy of the facts, data given in the article.**

თბილისი - 2021

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

თენგიზ ლაჭყეპიანი, მაია ლომიშვილი, შორენა ცაავა -
გადასახადების როლი და მნიშვნელობა
ფისკალური პოლიტიკის გატარებაში
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-07---------- 7

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ნატო ჩიკვილაძე - ადამიანური კაპიტალის
არსი და როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-16----------16

ბელა კუტიბაშვილი, ტარიელ კიკვაძე -
გენდერული თანასწორობა და მდგრადი განვითარება
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-28----------28

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ზურაბ აზნაურაშვილი - პოლიტიკურ დაფინანსებაში
კრიპტოვალუტის გამოყენების რისკები
და მისი პრევენციის მეთოდები
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-41----------41

Nana Sreseli - Functions and meaning of “Materiality”
in the formation of information in financial statements
(„არსებითობის“ ფუნქცია და მნიშვნელობა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ფორმირებაში)
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-52----------52

ეკონომისტი აუდიტორიაში

მერაბ მიქელაშვილი - სამეწარმეო უნარებისა
და კომპეტენციების სწავლების ზოგიერთი საკითხი
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-61----------61

დარგობრივი ეკონომიკა

ბაგრატ დევაძე - ნაყარი ტვირთების
საზღვაო გადაზიდვების ინდუსტრია
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-70----------70
ლევან გოგოძე - მყარი ნარჩენების
გადამუშავების საკითხები საქართველოში
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-79----------79

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

გვანცა ფოფხაძე - ნეირომარკეტინგული კვლევებით მიღებული
შედეგების როლი ბიზნესის განვითარებაში
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-88----------88

მსოფლიო ეკონომიკა

მარიამ ძებისაშვილი - გლობალიზაციის
გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-99----------99

მილოცვა

პაატა კოღუაშვილი - 65---------- 110

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი----- 112
ჟურნალის 2021 წლის შინაარსი---------- 115

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Tengiz Lachkepiani, Maia Lomishvili, Shorena Tsaava - The Role and Importance of Taxes in Fiscal Policy
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-07---------- 7

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Nato Chikviladze - The Essence and Role of Human Capital in Increasing Production Efficiency
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-16----------16

Bela Kutibashvili, Tariel Kikvadze - Gender Equality and Sustainable Development
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-28----------28

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Zurab Aznaurashvili - The Risks of Using Cryptocurrency in Political Financing and The Methods for Its Prevention
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-41----------41

Nana Sreseli - Functions and Meaning of "Materiality" in the Formation of Information in Financial Statements
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-52----------52

THE ECONOMIST IN THE AUDITORIUM

Merab Mikelashvili - Some Aspects About Entrepreneurial Skills and Competences Learning
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-61----------61

SECTORAL ECONOMY

Bagrat Devadze - Bulk Cargo Marine Transportation Industry
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-70----------70

Levan Gogodze - Solid Waste Recycling Issues in Georgia
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-79----------79

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Gvantsa Popkhadze - The Role of Neuromarketing Research Results in Development of Business
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-88----------88

WORLD ECONOMY

Mariam Dzebisashvili - The Impact of Globalization on Economic Growth
DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-99----------99

CONGRATULATIONS

Paata Koguashvili - 65th Anniversary---------- 110

Publication Requirements ---------- 112
Journal 2021 all Issues ---------- 115

გადასახადების როლი და მნიშვნელობა ფისკალური პოლიტიკის გატარებაში

DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-07

თენგიზ ლაჭყეპიანი
სტუ ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
მაია ლომიშვილი
სტუ ასისტენტ პროფესორი,
აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი,
შორენა ცაავა
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
(აგრარული ეკონომიკის სპეციალობით)

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თანამედროვე საგადასახადო სისტემა, გადასახადების ფუნქციები, აღნიშნულია, რომ გადასახადების ფუნქციების ეფექტიანი რეალიზაცია წარმოუდგენელია ისეთი ძირითადი პრინციპების გარეშე, როგორიცაა სამართლიანობა (თანასწორობა), ეფექტიანობა, გადახდისუნარიანობა. ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა აგებულია საზღვარგარეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილლების გათვალისწინებით და ორიენტირებულია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, მისი ფისკალური პოლიტიკის გაუმჯობესებაზე.

საკვანძოსიტყვები. გადასახადები, ფისკალური პოლიტიკა, საგადასახადო სისტემა, საგადასახადო კოდექსი.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე საგადასახადო სისტემამ განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული, როგორც ეკონომიკის, ასევე სახელმწიფოს განვითარებასთან. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს არც ერთი სახელმწიფო, რომელსაც გადასახადების გარეშე ეარსება. სახელმწიფოთა და ერების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა და სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა საგადასახადო სისტემები, ასევე გადასახადების აკრეფა-განაწილებაც უფრო სამართლიან ხასიათს ღებულობდა. შუა საუკუნეებამდე გადასახადების დამახასიათებელი ნიშანი იყო დაბეგვრის ნატურალური ფორმა. შუა საუკუნეების გვიანი პერიოდის აგრარული წყობილების სფეროში გამოწვეული ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია საქონლურ და ფულად მეურნეობაზე გადასვლასთან, რომელსაც საფუძველი XII საუკუნიდან ჩაეყარა. ეს ორივე ფორმა - გაცვლითი და ფულადი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ნატურალური გადასახადის ფულადი გადასახადით შეცვლა, პირველ რიგში, სწორედ გაცვლით სფეროში ხდება. რაც უფრო მტკიცდებოდა ფულადი ფორმა, მით უფრო ღებულობდა გადასახადი ფულად ფორმას. ყველაზე ადრე საქონლურიდან ფულად ფორმაზე გადასვლა მოხდა ინგლისში, სადაც ნატურალური გადასახადი იცვლებოდა განსაზღვრული ფულადი რენტით. მეორე მნიშვნელოვანი ფორმა საბატონო ბეგარის ფულადი ღალით შეცვლა იყო, რომელსაც თანდათანობითი ხასიათი ჰქონდა. თითქმის ყველა ქვეყანაში საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება დაიწყო შუა საუკუნეებში და მის წინა პერიოდში. სახელმწიფოთა ჩამოყალიბების კვალობაზე სახელისუფლებო მმართველობა ძირითადად ძალაზე იყო დამყარებული. ხელისუფალთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდებოდა მათი საადგილმამულო შემოსავლებით და ქვეშევრდომებიდან ერთდროული გადასახადების აკრეფით. გადასახადების ფორმირებისა და განვითარების ისტორიის შესწავლა ადასტურებს მათი შემოღების აუცილებლობას.

ნებისმიერ ქვეყანაში, მიუხედავად ეკონომიკური განვითა-

რების დონისა, ყოველთვის დგას ფინანსური რესურსების მოზიდვის, მისი საკმარისობის და შემდეგ განაწილება-გადანაწილების პრობლემა, რომლის რეგულირებაშიც მნიშვნელოვან როლს სწორედ საგადასახადო პოლიტიკა თამაშობს. საგადასახადო პოლიტიკის რეალიზება წარმოებს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, რომლითაც გათვალისწინებულია გადასახადები და მათი სახეები, გადასახადის სუბიექტები, გადასახადის ობიექტები, საგადასახადო დაბეგვრის განაკვეთები, საგადასახადო შეღავათები, გადასახადების ჩარიცხვის წესები შესაბამისი დონის ბიუჯეტებში და საგადასახადო სამართალდარღვევებთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები.

ცნობილია, რომ გადასახადები ორ ძირითად ფუნქციას ასრულებს: ფისკალურსა და მარეგულირებელს. ფისკალური ფუნქცია ვლინდება გადასახადის სახელმწიფო ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში, რომელიც აუცილებელია საერთო-სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებების შესასრულებლად. ხელისუფლება გადასახადების ფისკალური ფუნქციის მეშვეობით უზრუნველყოფს:

- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და გასავლებს შორის ბალანსის მიღწევას;
- საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა რგოლებს შორის საგადასახადო შემოსავლების თანაბარზომიერად განაწილებას;
- სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ღონისძიებების დაფინანსებას;
- სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა გადასახადების ფისკალური ფუნქციის მნიშვნელობა. მე-20 საუკუნისთვის დამახასიათებელი იყო ყველა სახელმწიფოში საგადასახადო შემოსავლების ზრდა, რასაც ხელი შეუწყო მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებმა, წარმოების ზრდამ და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვამ. გადასახადების ფისკალური ფუნქცია, რომლის საშუალებითაც წარმოებს ეროვნული შემოსავლის ნა-

წილის განსახელმწიფოებრიობა ფულადი სახით, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ობიექტურ წინაპირობას ქმნის, სწორედ ამიტომ გადასახადების ფისკალური ფუნქცია განაპირობებს მისი მარეგულირებელი ფუნქციის განვითარებას. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადები აქტიურად მონაწილეობენ რა ეროვნული შემოსავლის განაწილებით პროცესში, ასტიმულირებენ ან ანელებენ წარმოების ტემპებს, აძლიერებენ ან ასუსტებენ კაპიტალის დაგროვებას, ადიდებენ ან ამცირებენ მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია მჭიდროდაა დაკავშირებული ფისკალურ ფუნქციასთან. სახელმწიფოსათვის ეროვნული შემოსავლის ნაწილის მობილიზაცია, იქნება ეს მისი გადიდების თუ შემცირების პოზიციიდან, მუდმივ კავშირშია კერძო სუბიექტებთან, წარმოებასთან, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას აძლევს ხელისუფლებას რეალური ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკაზე და კვლავწარმოების ტემპებზე. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის მეშვეობით წარმოებს: მოთხოვნა-მიწოდების რეგულირება; მოსახლეობის ცალკეული სოციალური ჯგუფების შემოსავლების შედარებითი გამოთანაბრება; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირება; ეკონომიკის ხელშეწყობა და სტიმულირება. გადასახადები შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკის დარგობრივ, შიდადარგობრივ, დარგთაშორის დარეგიონულ დონეზე.

გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის განხილვა უკავშირდება გადასახადის ოპტიმალური სიდიდის ცნებას. ცნობილია, რომ გადასახადების წარმოშობიდან დღემდე დგას მარადიული კითხვა: როგორია გადასახადის ოპტიმალური სიდიდე? ძალიან ხშირად საგადასახადო ტვირთი განიხილება როგორც სახელმწიფოს მიერ ამოღებული გადასახადების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.

მთლიანი შიდა პროდუქტი იზომება ფულად ერთეულებში. საგადასახადო ტვირთის ზრდა ამცირებს სამეწარმეო აქტივობას. თუკი მეწარმე თავისი შემოსავლების დიდ ნაწილს იხდის

ბიუჯეტში (საგადახადო ტვირთის ზრდის შემთხვევაში) გადასახადების სახით, ცხადია მცირდება მის განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსების სიდიდე და კლებულობს მისი შესაძლებლობა და მოტივაცია გააგრძელოს და გააფართოვოს კვლავწარმოება, ან არადა იგი მიმართავს შემოსავლების ჩრდილში მოქცევას. ამასთან, საგადასახადო ტვირთის გაძლიერებას მივყავართ ერთობლივი მოთხოვნის ისეთი კომპონენტების კლებამდე, როგორიცაა ერთობლივი მოხმარება და ინვესტიციები. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება წარმოშობს წარმოებული ეროვნული პროდუქტის რეალიზაციის პრობლემას. ამას შედეგად მოყვება ერთობლივი მიწოდების კლება. სამართლიანია საწინააღმდეგო მტკიცებაც, კერძოდ ის, რომ საგადასახადო ტვირთის შემცირება იწვევს მოსახლეობის დანაზოგების ზრდას და მისი მსყიდველუნარიანობის გაზრდას, რაც, ბუნებრივია იწვევს მათი მხრიდან ერთობლივი მოხმარების, დანაზოგებისა და ინვესტიციების ზრდას. ამრიგად, გადასახადების განაკვეთების ცვლილება იწვევს ეკონომკური ზრდის სტიმულირებას ან პირიქით, მის სტაგნაციას. ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობაზე საგადასახადო პოლიტიკის გავლენის რაოდენობრივი შეფასება წარმოებს საგადასახადო მულტიპლიკატორის მექანიზმის მეშვეობით. საგადასახადო მულტიპლიკატორი გვიჩვენებს, თუ გადასახადის შემცირების ყოველ ერთეულზე რამდენით იზრდება ერთობლივი შემოსავალი. საბიუჯეტო ანუ სამთავრობო ხარჯების რეგულირებით მთავრობა გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე. ამ ხარჯებს, ინვესტიციების მსგავსად გააჩნია მულტიპლიკატორის ეფექტი. სახელმწიფო ხარჯების მულტიპლიკატორი გვიჩვენებს, თუ სახელმწიფო ხარჯების ერთი ერთეულით გაზრდა ერთობლივი შემოსავლის ზრდას რა მოცულობით გამოიწვევს. გადასახადების ფუნქციების ეფექტიანი რეალიზაცია წარმოუდგენელია ისეთი ძირითადი პრინციპების გარეშე, როგორიცაა: სამართლიანობა (თანასწორობა), ეფექტიანობა, გადახდისუნარიანობა. სამართლიანობის (თანასწორობის), პრინციპის დაცვის მიზანია გადასახადების სიმძიმის (ტვირთის) თანაბარი გადანაწილება

გადასახადის ნებისმიერი კატეგორიის გადამხდელზე. სხვა სიტყვებით, ნებისმიერი გადამხდელი ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად თანაბარ პირობებში უნდა იქნენ ჩაყენებულნი.

ეფექტიანობის პრინციპმა უნდა უზრუნველყოს გადასახადების ეფექტიანობა, კერძოდ, გადასახადების გადახდის გზით ფინანსური რესურსების გადანაწილებისას როგორც სახელმწიფოსათვის, ასევე გადამხდელისათვის, გადასახადის გადახდის არასასურველი შედეგები მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. გადახდისუნარიანობის პრინციპი გულისხმობს ისეთი გადასახადების განსაზღვრას, რომლის დროსაც ამოსაღები თანხის სიდიდე დამოკიდებულია შემოსავლების მოცულობაზე. იგულისხმება, რომ მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი ფენები დაიბეგრონ მაღალი გადასახადებით, ხოლო დაბალშემოსავლიანები- უფრო დაბალი გადასახადებით. გადასახადების განსაზღვრის პრინციპების დაცვის საუკეთესო ბერკეტს პროგრესული საგადასახადო სისტემა უზრუნველყოფს. საგადასახადო ტვირთის გადაკისრების თეორიის თანახმად, გაცვლისა და განაწილების პროცესში პირს (იმპორტიორი, მწარმოებელი, მყიდველი) კანონით უფლება აქვს გადასახადის გადახდა გადააკისროს სხვა პირს (მყიდველი, გამყიდველი). საქართველოს საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა აგებულია საზღვარგარეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. საქართველოს საგადასახადო სისტემა ძირითადად ჩამოყალიბდა 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში, რომელსაც საფუძვლად დაედო მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები და ამ სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ერთდროულად განსაზღვრავს საქართველოში მოქმედ ადგილობრივ და საერთო-სახელმწიფოებრივ (ცენტრალიზებულ) გადასახადებს, განსაზღვრავს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის წესებს და ახორციელებს ამ გადასახადების შემოღებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. რაც შეეხება ადგილობრივ

გადასახადებს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ - შემოიღონ თუ არა თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული და მოქმედი გადასახადების სისტემა მოიცავს საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებს. 2011 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა მანამდე არსებულისაგან როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი შემადგენლობის თვალსაზრისით. მისი მიზანია ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის გაუმჯობესება, რაც გულისხმობდა უფრო ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების შემოღებას და საგადასახადო სისტემის გამარტივებას ნაკლებეფექტიანი გადასახადების გაუქმების გზით, აგრეთვე გადასახადების გაანგარიშების მეთოდიკის გამარტივებას და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრებას და სხვა.საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების სიტემა მოიცავს 5 საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს და 1 ადგილობრივ გადასახადს. შეცვლილია მათი საგადასახადო განაკვეთები და გადახდის რეჟიმები.ქვეყანაში არსებული საგადასახადო პოლიტიკის მიზანია კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე ბიზნესის დაწყების და განვითარებისათვის, მიმზიდველი და ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნა. ამ მიზნით, საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრობლემების გათვალისწინებით ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება, საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა.

დასკვნა

საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა საგადასახადო სისტემის ფორმირებაზეა დამოკიდებული. საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის არის და იქნება ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ. ჩიკვილაძე - „საგადასახადო საქმე“, თბ. 2007.

2. გ. გვაზავა - „რიგ საკითხებში საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი ძალზე უარესია“, ჟურ. “აუდიტი, აღრიცხვა და ფინანსები“, N 5, 2010.

3. ა. მესხიშვილი - „რას გვპირდება ახალი საგადასახადო კოდექსი“, ჟურჟ. „ბიზნესი და ანონმდებლობა“, თბ. აპრილ-მაისი, 2011.

4. ს. ყამარაული, მ. ჩოკოლაშვილი, ლ. ყამარაულ - „გადასახადები და დაბეგვრა“, სახელმძღვანელო, თბ. 2010.

5. ვ. მოსიაშვილი, მ. ჭელიძე - ფინანსების საფუძვლები, თბ. 2012.

6. გ. მენქიუ- ეკონომიკის პრინციპები, თბ. 2008.

7. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 2011.

REFERENCES:

1. Bakhtadze, R. Kakulia, m. Chikviladze - “Tax Case”, Tbilisi. 2007

2. C. Gvazava - “In a number of issues, the draft of the new Tax Code of Georgia is much worse”, Journal. “Audit, Accounting and Finance”, N 5, 2010.

3. A. Meskhishvili - “What does the new tax code promise us”, Zhurzh. “Business and Lawlessness”, Tbilisi. April-May, 2011

4. S. Guard, m. Chokolashvili, L. Kamaraul - "Taxes and Taxation", textbook, Tb. 2010.
5. V. Mosiashvili, M. Chelidze - Financial Basics, Tb. 2012.
6. G. Menkiu- Principles of Economics, Tb. 2008
7. Tax Code of Georgia, Tb. 2011

THE ROLE AND IMPORTANCE OF TAXES IN FISCAL POLICY

Tengiz Lachkepiani - Academic Doctor of Economics,
Georgian Technical University,
Maia Lomishvili - Assistant Professor,
Georgian Technical University, Academic
Doctor of Agroengineering
Shorena Tsaava - Doctor of Social Sciences
(Specialty in Agricultural Economics)

RESUME

The Issues related to the improvement of the tax system are important for the economic development of Georgia. The economic growth of the country, sustainable economic development, the solution of the social problems facing the country depend on the formation of the tax system. The issues related to the improvement of the tax system are always and will always be an important issue for the country's economy.

The article discusses the modern tax system, tax functions, it is noted that the effective implementation of tax functions is unthinkable without such basic principles as fairness (equity), efficiency, solvency. At the same time, it is noted, that the tax system and tax policy of Georgia is based on the experience of countries with developed market economies abroad and is focused on promoting the socio-economic development of our country, improving its fiscal policy.

Keywords: Taxes, fiscal policy, tax system, tax code.

გენდერული თანასწორობა და მდგრადი განვითარება

DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-16

ბელა კუტიბაშვილი,
სტუ დოქტორანტი

მეცნ. ხელმძღვანელი:
სტუ პროფესორი **ტარიელ კიკვაძე**

რეზიუმე

გენდერული თანასწორობა განხილულია როგორც დემოკრატიული ღირებულებების შემადგენელი ნაწილი. სწორედ დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ეფუძნებოდეს არა მარტო პოლიტიკური და სოციალური, არამედ გენდერული თანასწორობის იდეასაც, რაც გულისმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობისა და სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფას. გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების 5-ე მიზანს განეკუთვნება საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა. გამომდინარე აქედან, საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ქვეყანაში 2030 წლისთვის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და თანასწორი ეკონომიკური შესაძლებლობების უზრუნველუოფისთვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული ბალანსის დაცვის მიმართულებით. გლობალური კვლევების თანახმად, ქალის პოტენციალი მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად გამოყენებული ეკონომიკური რესურსია, პანდემია კი კიდევ უფრო ამძაფრებს ამ პრობლემას. მსოფლიო კვლევების თანახმად, გლობალურ დონეზე, პანდემიის შედეგად ქალებში სამუშაო ადგილების დაკარგვის მაჩვენებელი დაახლოებით 1.8-ჯერ აღემატება იგივე მაჩვენებელს მამაკაცებში.

სტატიაში ფართოდ არის გაშუქებული გენდერული თანასწორობისთვის ისეთი დამატებითი რისკფაქტორიები, როგორიცაა სიღარიბე, რადგან ქალებს ხშირად არ მიუწვდებათ ხელი სრულფასოვან კვებაზე, სუფთა ჰაერზე, წყალზე, ექიმთან ვიზიტზე და საცხოვრებელზე. მაგალითად, ტექსტილის წარმოება მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაბინძურებელი წარმოებაა.ამ სფეროში დასაქმებულთა 90% ქალებია. ანალოგიურად საქართველოშიც სამკერვალო ფაბრიკებში დასაქმებულთა უმრავლესობა ქალია, ჩვენს მიერ ჩატარებულმა დაკვირვებამ აჩვენა რომ ქალთა ანაზღაურება თვეში საშუალოდ 400-500 ლარია, სანაცვლოდ უწევთ მუშაობა მაღალი დატვირთვის, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება, რაც ასევე ზრდის მათი ჯანდაცვის რისკებს. ანალოგიური პრობლემებია სხვა ინდუსტრიის პირობებშიც. მაგალითად, ქალაქი რუსთავი, სადაც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხი დასაშვებ ნორმატიულ მაჩვენებლებს 3-4 ჯერ აღემატება. ამიტომ ქალთა უმრავლესობა უჩივის სუსტ იმუნიტეტს, სხვადასხვა ალერგიულ და ონკოლოგიურ დაავადებებს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოში საკანონმდებლო პოლიტიკის, კანონების, სტრატეგიების და პროგრამების შემუშავებისას გენდერული საკითხების ინტეგრაცია ხშირად არ ხდება და სამწუხაროდ სახელმწიფო უფრო წინ აყენებს ბიზნესის მოგების ინტერესს, ვიდრე საზოგადოების საჭიროებებს.

გაეროს საქართველოს ოფისმა თანამშრომლობის 2021-2025 წლების ხელშეკრულების ფარგლებში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ჩამოაყალიბა გაფართოებული გენდერის თემატური ჯგუფი (GTG) რომელშიც გაერთიანებულია გენდერის სფეროს ყველა საკონტაქტო პირი და აღნიშნული ჯგუფი მუშაობს ქვეყანაში გენდრული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების მიართულებით.

საკვანძო სიტყვები: გენდერული თანასწორობა, მდგრადი განვითარება, თანამშრომლობის ხელშეკრულება, ქალთა გაძლიერება, ქალთა უფლებები.

შესავალი

ნებისმიერი საზოგადოების კეთილდღეობა წარმოუდგენელია გენდერული თანასწორობის გარეშე, გენდერული თანასწორობა დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. თანამედროვე მსოფლიოში ქალთა უფლებების დაცვის საქმეში აღიარებულია გაეროს „კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (CEDAW), რომელიც ხელმოწერილი იქნა 1979 წელს და ძალაში შევიდა 1981 წელს. აღნიშნულ კონვენციას საქართველო მიუერთდა 1994 წლიდან.

თანამედროვე საზოგადოებაში ქალები თავისუფალი და ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ ისინი აქტიურად იქნებიან ინტეგრირებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეზიარებიან და გაითავისებენ ახალ ღირებულებებს. ამ ამოცანის შესასრულებლად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას ქალთა საკითხებში.

ამ საქმეში მეტად მნივნელოვანია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების განხორციელება.მდგრადი განვითარებისთვის გაეროს პარტნიორობის ფარგლებში, გაეროს საქართველოს ოფისი საქართველოს მთავრობას დიდ დახმარებას უწევს მდგრადი განვითარების მე-5, მე-8, მე-10 და მე-12 მიზნების მიღწევაში. ამ მიზნით მეტად აქტუალურია ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება, ეროვნულ და სექტორულ სტრატეგიებსა თუ სამოქმედო გეგმებში გენდერის ინტეგრირება. სტატიაში დიდი ყურადრება აქვს დათმობილი სწორედ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში გენდერული თანასწორობის საკითხების განვითარებასა და სრულყოფას საქართველოში.

ძირითადი ნაწილი

გენდერული თანასწორობა ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ მონაწილეობას რო-

გორც საზოგადოებრივ, ასე პოლიტიკურ ცხოვრებაში, ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრას, ორივე სქესის წარმომადგენლისათვის სოციალური პირობების გაუმჯობესებისა და დასაქმებისათვის თანაბარი პირობების შექმნას. გენდერული თანასწორობა ადამიანის ძირითადი უფლებაა, იგი ქალისა და მამაკაცის განვითარებისა და კეთილდღეობის ძირითადი მახასიათებელია, ქალთა გაძლიერება და მათი სტატუსის გაუმჯობესება თავისთავად მნიშვნელოვანი მიზანია და ძირითადი ფაქტორია მდგრადი განვითარების მისაღწევად.

გენდერული თანასწორება, როგორც დემოკრატიული ღირებულებების შემადგენელი ნაწილი შედარებით ახალი ფენომენია და შრომატევად სამუშაოს მოითხოვს სათანადო გარემოს შესაქმნელად. საუკუნეების მანძილზე დარღვეული თანასწორობის აღდგენას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა სტრატეგიებით ებრძვიან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთავრობებისა და საზოგადოებების დიდმა ნაწილმა გააცნობიერა, თუ როგორი მასშტაბური და დამანგრეველია უთანასწორობის შედეგები.

დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ეფუძნებოდეს არა მარტო პოლიტიკური და სოციალური, არამედ გენდერული თანასწორობის იდეასაც, რაც გულისმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობისა და სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფას. ამ მხრივ სახელმწიფოს მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული პოლიტიკის ფორმირება და წარმოება, რომელშიც მოხდება გენდერული იდენტობებისა და ინტერესების ასახვა.

სამწუხაროდ განვითარების ზოგადი დონე და ეკონომიკური შეჭირვება ქვეყანაში აღიქმება, როგორც უთანასწორობის გამამართლებელი მიზეზი. ქალებს არა აქვთ პირობები, რომ თავიანთი შესაძლებლობები სრულად განახორციელონ. ადამიანები დღეს გენდერულ უთანასწორობაზე არ ფიქრობენ, რადგან მათ ამის დრო არა აქვთ, ისინი ხვალინდელ სარჩოს შოვნით არიან დაკავებულნი, მამაკაცთან შედარებით გარემო ქალს გაცილე-

ბით ნაკლებად უწყობს ხელს შესაძლებლობების განვითარებაში. შესაბამისად, ქალს გაცილებით მეტი ძალისხმევა ჭირდება წარმატების მიღწევისთვის.

სტერეოტიპებად კრისტალიზებული ტრადიციები დიდად განაპირობებს ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობას. სტერეოტიპის შესაბამისად, ქალი პასიურია, დაუსაქმებელია და მისი უპირატესი სამფლობელო ოჯახია, მაშინ, როდესაც მამაკაცი პროფესიული საქმიანობითაა დაკავებული. ქალის დაქვემდებარებული მდგომარეობის გამყარება გამუდმებით ხდება კულტურისა და აღზრდის მეშვეობით.

გენდერული თანასწორობა თავს იჩენს როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სარბიელზე. ეს ორი სფერო არ არის ერთმანეთისგან იზოლირებული და ცვლილება ერთში საბოლოო ჯამში იწვევს ცვლილებას მეორეში. საზოგადოებრივი სარბიელი მამაკაცის პრიორიტეტადაა მიჩნეული, ქალისად კი - კერძო. მაგრამ უთანასწორობა ხშირად სწორედ კერძო სფეროში უფრო ვლინდება. პრობლემას თავად უთანასწორობაზე მეტად წარმოადგენს ის ღირებულება, რომელიც ამ ორ სფეროს მიეწერება. სამუშაო სახლის გარეთ, რომელსაც ტრადიციულად მამაკაცი ასრულებს, უფრო მეტადაა დაფასებული, ვიდრე ქალის სახლში შრომა. ბოლო თხუთმეტი წელი აღინიშნა დადებითი ცვლილებებით გენდერულ თანასწორობასთან მიმართებაში. ეს ცვლილებები განპირობებული იყო არა სახელმწიფო პოლიტიკით, არამედ სოციალური ცვლილებებით და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასთან მორგების აუცილებლობით. ამ მდგომარეობამ აიძულა ქალები აქტიურად ჩაბმულიყვნენ შემოსავლის მომტან შრომით საქმიანობაში. ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ, რაც ძალაუფლების მყარ საფუძველს წარმოადგენს, გაზარდა ქალის რესურსები და ის საზოგადოებრივ სფეროში უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა, უთანასწორობის მიმართ დამოკიდებულება და უთანასწორობის ხარისხი ასაკთან ერთად იცვლება. როგორც წესი ახალგაზრდები უფრო ეგალიტარულ თანასწორობის მომხრე მიდგომას ამჟღავნებენ.

გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების 5-ე მიზანს

განეკუთვნება საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა. გამომდინარე აქედან საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ქვეყანაში 2030 წლისთვის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და თანასწორი ეკონომიკური შესაძლებლობების უზრუნველუოფისთვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული ბალანსის დაცვის მიმართულებით. საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგას განდერული უთანასწორობის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად. ამ კუთხით დიდი სამუშაოა გასაკეთებელი ქალთა მხრიდან ეკონომიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, სამუშაო ადგილების არათანაბარი განაწილების და ანაზღაურების პროცესში გარკვეული დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის.

გლობალური კვლევების თანახმად, ქალის პოტენციალი მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად გამოყენებული ეკონომიკური რესურსია, პანდემია კი კიდევ უფრო ამძაფრებს ამ პრობლემას. მსოფლიო კვლევების თანახმად, გლობალურ დონეზე, პანდემიის შედეგად ქალებში სამუშაო ადგილების დაკარგვის მაჩვენებელი დაახლოებით 1.8-ჯერ აღემატება იგივე მაჩვენებელს მამაკაცებში.

საქართველოში გენდერული თანასწორობის განვითარების კუთხით ბევრია გასაკეთებელი რეგიონებში, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ხშირად ადგილობრივი ეკონომიკა სოფლად მცხოვრები ქალების მხრებზე დგას და ხშირად სწორედ ქალბატონები განაპირობებენ იმ ტრანსფორმაციულ ცვლილებებს სოფლად. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) აქტიურად ეხმარება საქართველოს რეგიონულ და ადგილობრივ მმართველობებს სისტემური რეფორმების განხორციელებაში, გადაწყვტილების მიღების პროცესში და ადგილობრივ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში ქალთა აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. სამწუხაროდ ქვეყანაში ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივ საკრებულოებში 14%-ზე ნაკლებია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლო-

ბაში ქვეყანაში გენდერული თანასწორობისა და გენდერული ძალადობის დაძლევის მიმართულებით საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, ეროვნული პოლიტიკისა და საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარების თვალსაზრისით . კონკრეტულად კი მიღებულ იქნა შემდეგი კანონები: [1]

- 2006 წლის საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი მხარდაჭერის შესახებ;
- 2006 წლის საქართველოს კანონი ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
- 2010 წლის საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ;
- 2014 წლის საქართველოს კანონი ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ.
- 2019 წლის კანონი სექსუალური შევიწროვების შესახებ.

ამ კანონების მიღება საქართველოს ნამდვილად, პოზიტიური შედეგია, თუმცა კვლავ არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც კანონმდებლობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის არის გასათვალისწინებელი. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოში გაადაწყვეტილების მიღების პროცესში და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქალთა წარმომადგემლობა დაბალია მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ქალია, 12 სამინისტროდან (პრემიერ მინისტრის ჩათვლით) მხოლოდ ოთხია ქალი, ხოლო ცხრა გუბერნატორიდან არც ერთი არ არის ქალი.

2018 წელს საქსტატმა ჩაატარა აქტივების ფლობის და მეწარმეობის პილოტური კვლევა, რომლის მიზანი იყო უძრავი ქონების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობის შესწავლა. კვლევის შედეგებით გენდერული სხვაობა აშკარაა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობის შემთხვევაში კაცები ორჯერ მეტად არიან დოკუმენტაციით დაფიქსირებულები მფლო-

1 UNDP (2018). გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. ანგარიში.

ბელებად ვიდრე ქალები[1]. კვლევის შედეგები ასევე გვიჩვენებს, რომ მამრობითი სქესის მფლობელთა მნიშვნელოვან ნაწილს თავიანთი ქონება მიღებული აქვს ოჯახის წევრებისგან და არაოჯახის წევრებისგან გადაცემის ან ჩუქების გზით, მაშინ როცა ქალებს ძირითადად შეძენილი აქვთ ქონება საქორწინო სამართლისა თუ წესების საშუალებით. მემკვიდრეობით მიღება და გადაცემის თუ ჩუქების შემთხვევები კაცების სასარგებლოდ ხდება. ეს შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას ტრადიციული პრაქტიკით, რის მიხედვითაც კაცებს პრივილეგია გააჩნიათ მემკვიდრეობის კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ქალებს ჰქონდეთ სამართლებრივი უფლება ქონებაზე. მეორეს მხრივ, ქალი მფლობელების 20%-ზე მეტს უძრავი ქონება მიღებული აქვს (საცხოვრებელი ფართი, სასოფლო-სამეურნეო მიწა და სხვა უძრავი ქონება) ქორწინების შედეგად, რაც კაცების შემთხვევაში 3%-ს შეადგენს.

დღეისათვის კლიმატის ცვლილება არსებით გავლენას ახდენს საზოგადოების ყველა სოციალურ ჯგუფზე, მაგრამ მისი ზემოქმედება განსაკუთრებით აისახება ქალებზე და მათ უფრო დაუცველს ხდის კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების წინაშე.

გენდერული თანასწორობისთვის დამატებითი რისკფაქტორია სიღარიბე, რადგან ქალებს ხშირად არ მიუწვდებათ ხელი სრულფასოვან კვებაზე, სუფთა ჰაერზე, წყალზე, ექიმთან ვიზიტზე და საცხოვრებელზე. მაგალითად ტექსტილის წარმოება მთელ მსოფლიოში ერთერთ მნიშვნელოვანი დამაბინძურებელი წარმოებაა.ამ სფეროში დასაქმებულთა 90% ქალები წარმოადგენენ. ანალოგიურად საქართველოშიც სამკერვალო ფაბრიკებში დასაქმებულთა უმრავლესობა ქალია, ჩვენს მიერ ჩატარებულმა დაკვირვებამ აჩვენა რომ ქალთა ანაზღაურება თვეში საშუალოდ 400-500 ლარია, სანაცვლოდ უწევთ მუშაობა მაღალი დატვირთვის, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება, რაც ასევე ზრდის მათი ჯანდაცვის რისკებს. ანალოგიური პრობლემებია სხვა ინდუსტრიის პირობებშიც. მაგალითად ქა-

1 საქსტატი 2018წ, ქალები და კაცები საქართველოში.

ლაქი რუსთავი, სადაც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხი დასაშვებ ნორმატიულ მაჩვენებლებს 3-4 ჯერ აღემატება. ამიტომ ქალთა უმრავლესობა უჩივის სუსტ იმუნიტეტს, სხვადასხვა ალერგიულ და ონკოლოგიურ დაავადებებს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოში საკანონმდებლო პოლიტიკის, კანონების, სტრატეგიების და პროგრამების შემუშავებისას გენდერული საკითხების ინტეგრაცია ხშირად არ ხდება და სამწუხაროდ სახელმწიფო უფრო წინ აყენებს ბიზნესის მოგების ინტერესს, ვიდრე საზოგადოების საჭიროებებს.

ამის შედეგად ქვეყანაში შექმნილი მოსახლეობის უმუშევრობისა და სიღარიბის ფონზე მაღალია ადგილობრივი მოსახლეობის ემიგრაციის მაჩვენებლები მ.შ. ქალთა (იხ. ცხრილი 1). როგორც ცხრილის ანალიზიდან ჩანს 2015 წელს ქვეყნიდან გავიდა 40148 ქალბატონი, ხოლო 2020 წელს ანალოგიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 30 041, რაც საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისათვის მაღალი მაჩვენებელია.

ცხრილი 1

საქართველოდან ემიგრანტი ქალბატონების რიცხოვნება 2015- 2020 წლებში (ერთეული)

	2015	2016	2017	2018	2019	2020
სულ	40148	43083	37681	42819	40261	30041

წყარო: Geostat Pc-Axis მონაცემთა ბაზები

2015 წელს გაეროს წევრი 193 ქვეყანა შეთანხმდა 2030 წლამდე გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგზე, რომელიც მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. მდგრადი განვითარების მიზნებიდან სწორედ მე-5 მიზანს წარმოადგენს გაენდერული თანასწორობის მიღწევა.

გაეროს წარმომადგენლობამ საქართველოში და საქართველოს მთავრობამ ერთობლივად შეიმუშავეს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება 2021-2025 წლების პე-

რიოდისათვის. აღნიშნული თანამშრომლობის ხელშეკრულების მთავარი პრინციპია, გაეროს სისტემის გამაერთიანებელი იდეა - „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“. ამ პრინციპის გარშემო თანამშრომლობის ხელშეკრულებაში დასახული ამოცანები გაერთიანებულია ისეთი პრიორიტეტის გარშემო, როგორიცაა: ადამიანის კეთილდღეობის, შესაძლებლობებისა და სოციალური თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში 2025 წლისთვის. ამ პრიორიტეტული სტრატეგიის მეორე შედეგის განხორციელების შედეგად 2025 წლისთვის საქართველოში ყველა ადამიანი ისარგებლებს საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი სტაბილურ და გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული სერვისებით. თანამშრომლობის ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე პირველი გრძელვადიანი შედეგების ფარგლებში მიღწეული იქნება ქალებისა და გოგონებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რითაც მათ საშუალება მიეცემათ საკუთარი პოტენციალი გამოამჟღავნონ ცხოვრების ყველა ასპექტში, როგორიცაა: ჩართულობა ოფიციალურ შრომის ბაზარში და წარმომადგენლობა ყველა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ხოლო თანამშრომლობის მეოთხე გრძელვადიანი შედეგიდან გამომდინარე კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და ბავშვებისათვის შეიქმნება უკეთესი წვდომა სოციალურ სერვისებზე, ინფორმაციასა და უფასო იურიდიულ სერვისებზე. მეხუთე გრძელვადიანი შედეგის ფარგლებში მიღწეული იქნება კლიმატის ცვლილების განსხვავებული გავლენის აღიარება ქალებსა და გოგონათა მოწყვლად ჯგუფებზე.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორის სალომე ზურაბიშვილის თქმით „ახლა, როგორც არასდროს, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებები უმნიშვნელოვანესია მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკის სწრაფი და მდგრადი აღდგენისთვის. გაეროს გლობალური შეთანხმებისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მიღებული ქალთა გაძლიერების პრინციპები არის ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნეს სექტორს,

რათა დაეხმაროს ქალებს სამუშაო ადგილებზე, ბაზარზე და საზოგადოებაში.[1]

გაეროს საქართველოს ოფისმა თანამშრომლობის 2021-2025 წლების ხელშეკრულების ფარგლებში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ჩამოაყალიბა გაფართოებული გენდერის თემატური ჯგუფი (GTG) რომელშიც გაერთიანებულია გენდერის სფეროს ყველა საკონტაქტო პირი და აღნიშნული ჯგუფი მუშაობს ქვეყანაში გენდრული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების მიართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები, IDFI,2021.
2. გაროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება 2021-2025, თბ, 2020
3. ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება, საქართველოს სახალხო დამცველი, 2020.
4. ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობანი და გამოწვევები, ახალგაზრდა ეკონომისტტა ასოციაცია, თბ,2014
5. მ. ტაბიძე, მ. ქოჩლაძე, გენდერული თანასწორობა გარემოსდაცვითი სამართლიანობა თბ. 2021.
6. https://globalcompact.ge/safondo-birdja-globaluri-shetankhmebis-saqartvelos-qseli-da-ifc-genderul-tanasworobis-da-pandemiis-sirtuleebis-mkhardasacherad
7. საქსტატი 2018წ, ქალები და კაცები საქართველოში.
8. UNDP (2018). გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. ანგარიში.

1 https://globalcompact.ge/safondo-birdja-globaluri-shetankhmebis-saqartvelos-qseli-da-ifc-genderul-tanasworobis-da-pandemiis-sirtuleebis-mkhardasacherad/

REFERENCES:

1. Sustainable Development Report 2021: Overview and Results of Georgia, (in Georgian) IDFI,2021.

2. Garo Sustainable Development Cooperation Agreement 2021-2025, Tbilisi, 2020 (in Georgian)

3. Gender Policy Assessment of Local Self-Government Bodies, Public Defender of Georgia, 2020. (in Georgian)

4. Women's Economic Opportunities and Challenges, Young Economist Association, Tbilisi, 2014 (in Georgian)

5. M. Tabidze, M. Kochladze, Gender Equality Environmental Justice Tb. 2021. (in Georgian)

6. https://globalcompact.ge/safondo-birdja-globaluri-shetankhmebis-saqartvelos-qseli-da-ifc-genderul-tanasworobis-da-pandemiis-sirtuleebis-mkhardasacherad

7. Geostat 2018, women and men in Georgia. (In Georgian)

8. UNDP (2018). Gender Equality in Georgia: Barriers and Recommendations. Report. (In Georgian).

GENDER EQUALITY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT

Bela Kutibashvili,
PhD Student of GTU

Scientific Supervisor:
Tariel Kikvadze, Professor of GTU

RESUME

The article discusses gender equality as an integral part of democratic values. It is a democratic state that should be based not only on political and social, but also on the idea of gender equality, which means ensuring equal rights and responsibilities, responsibilities and equal participation in socio-political life. The 5th goal of the Unit-

ed Nations-Sustainable Development is to ensure gender equality in society. Therefore, the Government of Georgia is actively working to ensure economic empowerment of women and equal economic opportunities in the country by 2030 and to protect the gender balance in the decision-making process. According to global studies, female potential is the least used economic resource in the world, and a pandemic exacerbates this problem. According to world studies, globally, the rate of job losses in women due to pandemics is about 1.8 times higher than the same rate in men.

The article extensively covers additional risk factors for gender equality, such as poverty, as women often do not have access to adequate nutrition, fresh air, water, doctor visits, and housing. For example, the production of textiles is one of the most important polluting industries in the world. 90% of the employees in this field are women. Similarly, in Georgia, the majority of employees in garment factories are women. Our observations show that women earn an average of 400-500 GEL per month, in return for having to work hard, working overtime, which also increases their health risks. Similar problems exist in other industry conditions. For example, the city of Rustavi, where the degree of air pollution is 3-4 times higher than the allowable norms. That is why most women complain of weak immunity, various allergic and oncological diseases. It should also be noted that in Georgia, the integration of gender issues in the development of legislative policies, laws, strategies and programs does not happen often and, unfortunately, the state puts the interest of business profit ahead of the needs of society.

The UN Office in Georgia has set up an Extended Gender Thematic Group (GTG) to achieve the goals and objectives set out in the 2021-2025 Partnership Agreement, which brings together all gender contacts and works to promote gender equality and women's empowerment in the country.

Keywords: Gender equality, sustainable development, cooperation agreement, women's empowerment, women's rights.

ადამიანური კაპიტალის არსი და როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში

DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-29

ნატო ჩიკვილაძე
სტუ-ს პროფესორი
n. chikviladze@gtu. ge

რეზიუმე

განხილულია ადამიანური კაპიტალის კონცეფცია, მისი სტრუქტურული ელემენტები სხვადასხვა ავტორების თვალსაზრისით. ავტორმა შეისწავლა ადამიანური კაპიტალის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც მას განასხვავებს სხვა კაპიტალისგან. გამოკვლულია ორგანიზაციის ადამიანური კაპიტალის თავისებურებები, შეფასების მეთოდები, განსაზღვრა ადამიანური კაპიტალის როლი ორგანიზაციის ეფექტიანობის გაუმჯობესებაში. გაკეთებულია დასკვნა, რომ ადამიანური კაპიტალის მართვის ეფექტიანობა დამოკიდებულია სამუშაო რესურსების მობილურობაზე. წარმოადგენილია ორგანიზაციის ადამიანური კაპიტალის მართვის ავტორისეული მოდელი.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, ორგანიზაცია, ეფექტიანობა, ფორმირება, მართვა, სისტემა.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებებში პირველი ადგილი ყოველთვის ადამიანურ კაპიტალს უკავია, რომლის შემოქმედებით თვისებებს, შესაძლებლობებს, ძლიერ მხარეებს შეუძლია გააუმჯობესოს საკუთარი პიროვნება და მის გარშემო არსებული სამყარო. ეს გამოწვეულია დაჩქარებული წარმოების მატერიალური და ტექნიკური ბაზის განვითარებით, რაც ასოცირდება ინდუსტრიულ რევოლუციასთან. ამ ყველაფერმა დაჩრდილა ადამიანის განვითარების პრობლემები და მისი პროდუქტიულობის შესაძლებლობები. ყოველივე ამის შედეგად,

მრავალი წლის განმავლობაში მწარმოებელი ადამიანის შესაძლებლობები განიხილებოდა, როგორც წარმოების ერთ-ერთი რაოდენობრივი ფაქტორი. ამავე დროს მთავარი ამოცანა იყო მხოლოდ შრომის, საბრუნავი კაპიტალის და ძირითადი საშუალებების ხარისხობრივი შერწყმა.

ადამიანური კაპიტალის იდეას დიდი ხნის ფესვები აქვს ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში. მისი ერთ-ერთი ფორმულირება გვხვდება უილიამ პეტის "პოლიტიკურ არითმეტიკაში". მოგვიანებით იგი აისახა ადამ სმიტის ნაშრომში „ გამოკვლევები ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ", ალფრედ მარშალის „ეკონომიკსის პრინციპებში" და სხვა მრავალი მეცნიერის შრომებში. თუმცა როგორც ეკონომიკური ანალიზის დამოუკიდებელი ნაწილი, ადამიანური კაპიტალის თეორია ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის 50-60 -იანი წლების მიჯნაზე.

თვით ტერმინი „ადამიანური კაპიტალი"პირველად გაჩნდა ეკონომისტის, თეოდორ შულცის შრომებში, რომელსაც 1979 წელს მიენიჭა ნობელის პრემია. მან შემოგვთავაზა განმარტება-"ადამიანის ყველა უნარი ან თანდაყოლილია ან შეძენილი. თითოეული ადამიანი იბადება გენების ინდივიდუალური კომპლექსით, რაც განსაზღვრავს მის თანდაყოლილ შესაძლებლობებს. ადამიანის მიერ შეძენილ ღირებულ თვისებებს, რომელთა გაზრდა შესაძლებელია შესაბამისი ინვესტიციებით, ჩვენ ადამიანურ კაპიტალს ვუწოდებთ. " თავის შრომებში თ. შულცი დაინტერესებული იყო განვითარებად ქვეყნებში რთული ვითარებით და წამოაყენა ვერსია, რომ ღარიბი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება უფრო მეტად ცოდნაზე იყო დამოკიდებული. ადამიანური კაპიტალის საკითხის წინა პლანზე წამოწევა თ. შულცის დამსახურებაა, ხოლო მოდელი შემუშავებულია ასევე ნობელის პრემიის ლაურეატის გ. ბეკერის მიერ და მოცემულია თავის წიგნში"ადამიანური კაპიტალი". ეს წიგნი გახდა საფუძველი ყველა შემდგომი კვლევისათვის ამ სფეროში. გ. ბეკერმა" ადამიანური კაპიტალის კონცეფცია" წარმოადგინა მიკრო დონეზე, რომელშიც მან განსაზღვრა, რომ საწარმოს ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს ადამიანური უნარების კრებულს.

ადამიანური კაპიტალის კონცეფცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით, ადამიანური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმაა განათლება. მას უწოდეს ადამიანური, ვინაიდან ეს ფორმა ხდება ადამიანის ნაწილი, და ეს არის კაპიტალი და მომავალი მოგებისა და კმაყოფილების წყარო, ან ყველა ერთად აღებული. ფართო გაგებით ადამიანური კაპიტალი ფორმირდება ერთ კონკრეტულ პიროვნებაში ინვესტიციების(გრძელვადიანი ინვესტიციების) საშუალებით, ხარჯებით საწარმოს თანამშრომლების განათლებასა და მომზადებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, მიგრაციაზე, აგრეთვე ფასებისა და შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მოძიებაზე. როგორც მთლიანი კაპიტალის ნაწილი, ადამიანური კაპიტალი შეიძლება იყოს, როგორც მისი ელემენტების კომბინაცია, ანუ მას აქვს საკუთარი სტრუქტურა. მრავალი ეკონომისტი ქმნის ადამიანის კაპიტალის სტრუქტურას ხარჯების პრინციპზე დაყრდნობით, რაც ეფუძნება ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების მრავალფეროვნებას. ასე, მაგალითად ი. ვ. ილინსკიმ გამოყო შემდეგი კომპონენტები-ჯანმრთელობა, კულტურისა და განათლების კაპიტალი. თავის მხრივ ფ. ნოიმანმა დაამატა შემდეგი ელემენტების კომბინაცია ადამიანური კაპიტალის ძირითად კომპონენტებში: კულტურული და ეთნიკური მახასიათებლები, კვალიფიკაცია, ზოგადი და პროფესიული განათლება. ე. ვ. ვანკევიჩმა გამოყო ისეთი კომპონენტები, როგორიცაა განათლება და პროფესიული სწავლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მართვის საჭიროებები, მოტივაცია, ღირებულებები. თუ განვიხილავთ ადამიანურ კაპიტალს განზოგადების ხარისხის მიხედვით, მაშინ მის სტრუქტურაში შეგვიძლია განვიხილოთ ისეთი მიდგომები, როგორიცაა ინდივიდუალური, კოლექტიური და სოციალური. ინდივიდუალური და კოლექტიური მიკრო დონეზე განიხილება, როგორც ადამიანთა ჯგუფებისა და ცალკეულ პიროვნებათა ადამიანური კაპიტალი. შემდეგი კრიტერიუმით გაერთიანებული: კომპანიის გუნდი, სოციალურ-კულტურული ჯგუფის წევრები და ა. შ. სოციალური კომპონენტი განიხილება მიკროდონეზე და ის წარმოადგენს საზოგადოების

მიერ დაგროვილი მთელ ადამიანურ კაპიტალს, რომელიც ეროვნული სიმდიდრის ნაწილია, ეკონომიკური ზრდის ფაქტორის ასევე სტრატეგიული რესურსი.

ი. გ. ბიჩენკომ წამოაყენა ადამიანური კაპიტალის კომპონენტების განსაზღვრის ყველაზე განზოგადებული მიდგომა. მისი აზრით, ადამიანური კაპიტალი შეიძლება დაიყოს ორ ტიპად: - ბიოლოგიური ადამიანური კაპიტალი (მოსახლეობის ჯანმრთელობის დონე), რომელიც თავის მხრივ იყოფა ორ ნაწილად: მემკვიდროებითი და შეძენილი;

– კულტურული ადამიანური კაპიტალი, რომელიც შედგება ადამიანის ენობრივი და კულტურული კომპეტენციისაგან, ხასიათდება ცოდნისა და იდეების (მორალური თვისებების, უნარების, ინტელექტუალური შესაძლებლობების ერთობლიობა) სიმდიდრით. ადამიანური კაპიტალის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ რესურსად განსაზღვრით შეიძლება გამოიყოს მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც განასხვავებს მას კაპიტალის სხვა ტიპებისაგან.

– დროთა განმავლობაში ადამიანური კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს პიროვნული, ასევე გარე ფაქტორთა ზემოქმედებით, ხოლო შემცირება ხდება ფიზიკური და მორალური მოძველების გამო, ამიტომ შესაძლებელია მისი ამორტიზაცია; ადამიანური კაპიტალის ფუნქციონირება დამოკიდებულია თავად პიროვნებაზე და მის მიერ ამით დაინტერესებაზე;

– ადამიანური კაპიტალი სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია;

– ადამიანური კაპიტალი ფიზიკური კაპიტალისაგან განსხვავდება ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით:

– პირდაპირი შემოსავალი, რომელსაც იღებს ადამიანი, კონტროლდება მის მიერ, ინვესტიციის წყაროსაგან დამოუკიდებლად;

– ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციები ახორციელებს გრძელვადიან კაპიტალს, ხოლო პირის მიერ მიღებული შემოსავალი მთლიანად მას ეკუთვნის და ის მას დამოუკიდებლად აკონტ-

როლებს. ასევე არსებობს ადამიანური კაპიტალის ცალკეული ფორმები, რომლებიც ავლენს მის არსს და მთავარ მახასიათებლებს;

– ცოცხალი კაპიტალი (შესაძლებლობების, გამოცდილებისა და უნარების ერთობლიობა, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს);

– არაცოცხალი კაპიტალი (ადამიანის ცოდნა მათი ბუნებრივი გამოხატულებით);

– ინსტიტუციური კაპიტალი (ადმინისტრაციული და მმართველობითი ორგანოები, რომლებიც ეწევიან ადამიანური კაპიტალის ეფექტური გამოყენების განვითარებას).

ამჯერად განვიხილოთ კონცეფცია"ორგანიზაციის ადამიანური კაპიტალი". ორგანიზაციის „ადამიანური კაპიტალი" არის ნორმალური საწარმოო პირობებში ფიზიკური და ინტელექტუალური ცოცხალი შრომის წლიური მოცულობის ღირებულება. ორგანიზაციის ადამიანური კაპიტალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც გარკვეული სისტემა, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

– ინტელექტუალური კაპიტალი მოიცავს"ცოდნის კაპიტალს";

– სტრუქტურული კაპიტალი შედგება კორპორატიული კულტურისაგან, მართვის სისტემისაგან;

– სოციალური კაპიტალი წარმოადგენს სოციალურ კავშირებს და ა. შ. ;

– კლიენტის (საბაზრო) კაპიტალი არის საწარმოსა და მის კლიენტებს შორის ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის სისტემა.

ორგანიზაციის „ადამიანური კაპიტალი" ასევე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინვესტიციის განსაკუთრებული ტიპი, ხარისხის ამაღლების, სამუშაო ძალის ფუნქციონირების გაუმჯობესების, სამუშაო ძალის კვლავწარმოების პოტენციალის განვითარების დანახარჯთა ერთობლიობა. ორგანიზაციის"ადამიანური კაპიტალის" შესაფასებლად შესაძლებელია შემდეგი მეთოდების გამოყენება:

– ადამიანური კაპიტალის მიერ შეძენილი ცოდნის, უნარე-

ბის, შესაძლებლობების მარაგის რაოდენობრივი შეფასება;

– განსაკუთრებული უნარები:

– ეკონომიკური შეფასება(ადამიანური კაპიტალით მიღებული შემოსავლის შეფასება);

– ადამიანური კაპიტალის (ჯანმრთელობის კაპიტალი, განათლების კაპიტალი და ეკონომიკური შეფასება)ინვესტიციის გზით შეფასება;

– ადამიანური კაპიტალის შეფასება მიკრო და მაკრო დონეზე;

– ინტეგრალური შეფასება(ადამიანური კაპიტალის ბუნებრივი და ღირებულებითი მაჩვენებლების შეფასება);

– სოციალური ანგარიშების მატრიცა (ადამიანური კაპიტალის მაკროეკონომიკური შეფასება).

ადამიანური კაპიტალის ობიექტია სოციალური და ზოგადი საგანმანათლებლო ხასიათის ცოდნა, დაგროვილი გამოცდილება და უნარები. ადამიანური კაპიტალის საგანია ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების პროცესში, რაც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის ზრდას. თანამედროვე პირობებში ორგანიზაციის ფუნქციონირების თეორიასა და და პრაქტიკაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია ადამიანური კაპიტალი, რომლის გარეშე ვერცერთი ორგანიზაცია ვერ იარსებებს. ორგანიზაციის ადამიანური კაპიტალი განსაზღვრავს წარმოების ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საწარმოს კონკურენტუნარიანობასა და ფასზე. საწარმოში ადამიანური კაპიტალის გამოყენება მოითხოვს მართვის ახალ მიდგომებს: ხელმძღვანელობა, მოტივაციის სისტემა, პრიორიტეტები, მართვის სტილი და ა. შ. მოცემული ფაქტორები წარმოადგენს ადამიანურ კაპიტალს, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების საშუალებას. საწარმოს ეკონომიკური საქმინობის შედეგი დამოკიდებულია ადამიანური კაპიტალის გამოყენების ეფექტურობაზე და მართვაზე. შესაბამისად, საწარმოს წინაშე დგას გარკვეული კითხვა, თუ როგორ უნდა იმართოს ადამიანური კაპიტალი, რათა კვლევის ანალიზის შედეგე-

ბის საფუძველზე მიიღოს ზომები მისი გამოყენების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. ამასთან, ორგანიზაციის ადამიანური კაპიტალის მართვა შეიძლება დაეფუძნოს თანამშრომელთა მოტივაციის და ორგანიზაციის ეკონომიკური საქმინობის შედეგების ციკლური ურთიერთდამოკიდებულების მოდელს. ამ მოდელზე დაფუძნებული ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემის ჩამოყალიბება საშუალებას იძლევა, მისი გამოყენების შედეგების საფუძველზე განხორციელდეს ადამიანური კაპიტალის რეალური შეფასება ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრისათვის.

ადამიანური რესურსების მართვის მოდელის საფუძველზე პერსონალის მოტივაცია და სტიმულირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციის ეფექტურობის ზრდაში. მოტივაციის განხორციელება შემდეგში მდგომარეობს:

– მოთხოვნილებათა შესაბამისი პირობების შექმნა;

– მოთხოვნილი შედეგებისათვის ფულადი წახალისების შემოღება;

– პერსონალის დარწმუნება დასახული მიზნების მიღწევადობაში;

– ანაზღაურების მაღალი ღირებულის შესახებ შთაბეჭდილების შექმნა თანამშრომლებში.

ადამიანების მოტივირებისათვის სხვადასხვა სტიმულების გამოყენების პროცესს სტიმულირებას უწოდებენ. წახალისება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზაციაში. ის არსებითად განსხვავდება მოტივაციისაგან იმით, რომ სტიმულირება ერთ-ერთი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მოტივაციის განხორციელება. თანამშრომლების მოტივაცია და წახალისება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათი საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლების განვითარებაზე, როგორიცაა სამუშაოს ხარისხი, ეფექტურობა, შრომის მოყვარეობა, გულმოდგინება, შეუპოვრობა, კეთილსინდისიერება და ა. შ.

მოდით ჩამოვთვალოთ ზოგადი სტიმულები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანს უკეთესად მუშაობაში: ფული, პატივისცემა, თვითდაჯერება, ორგანიზაციისადმი კუთვნილების გრძნობა,

სასიამოვნო სამუშაო ატმოსფერო, შექება, მოქნილი სამუშაო გრაფიკი, თვითშემეცნება, კარიერა, ფულადი წახალისება, ხელმძღვანელობის მიმართ ნდობა, მუშაობისადმი ნდობის გრძნობა, დამსახურების აღიარება. საწარმოს ადამიანური კაპიტალის მართვის მოდელი ეფექტური ხდება, თუ გაითვალისწინებენ ორგანიზაციის მთლიანი შრომითი კოლექტივის და ცალკეული თანამშრომლის მახასიათებლებს. ამ შემთხვევაში კომპანია მიიღებს დადებით ეკონომიკურ ეფექტს შრომის პროდუქტიულობის ზრდის, ხოლო შემდგომში საბოლოო ფინანსური შედეგების ზრდის სახით. ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემის ფორმირების ეფექტურობა დამოკიდებულია მის წვლილზე ორგანიზაციის მიზნების მიღწევაში. ამ სისტემის მიზანია ორგანიზაციის ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის მიღწევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანური კაპიტალი არა მხოლოდ მართვის ობიექტია, არამედ კომპანიის განვითარების მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის საშუალებაა, ე. ი. კონტროლის ინსტრუმენტი. ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბება და განვითარება აუმჯობესებს მართვის მექანიზმს და საშუალებას იძლევა წარმატებით გადაჭრას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, კონკურენტუნარიანობის გაზრდის, უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, აგრეთვე ეფექტურობის და პროდუქტიულობის სხვადასხვა პრობლემა. ადამიანური კაპიტალის მართვის ეფექტურობა ასევე დამოკიდებულია სამუშაო რესურსების მობილობაზე, ანუ ადამიანური კაპიტალის მატარებლებზე. ადამიანური კაპიტალის მობილობა ხელს უწყობს პირადი ხელფასის ზრდას. იმის გამო რომ მუდმივად ხდება მეცნიერებისა და ტექნიკის განახლება, საჭიროა შესაბამისი ცოდნა და გადაწყვეტილების მისაღებად მზადყოფნა, საკუთარი საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

გლობალიზაცია საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს წარმოების პროცესებზე, მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურაზე და მათ გადაადგილებაზე მაღალანაზღურებადი სამუშაოს ძიებაში. იმისათვის რომ სწორად ჩამოვაყალიბოთ ადამიანური კაპიტალი, ორგანიზაციები უნდა დაეყრდნონ სამ ძირითად

პრინციპს, რომლებიც უნდა წარმოადგენდეს ადამიანური კაპიტალის მართვის სტრატეგიის საფუძველს.

1. სამუშაოზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა, ან საკუთარი სპეციალისტების გადამზადება საჭირო მიმართულებით;

2. იმისათვის, რომ ხდებოდეს პროფესიული ზრდა და ორგანიზაციაში მუშაკების დამკვიდრება, რომელთაც გააჩნიათ ჯგუფში ეფექტური მუშაობის აუცილებელი უნარები, საჭიროა შეიქმნას მუშაობის სათანადო პირობები;

3. აუცილებელია მთლიანი ადამიანური პოტენციალის მართვის სისტემის სრულყოფა. ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობა არის ამ მიმართულების ვირტუალიზაცია. ინფორმაციული ტექნოლოგიის მუდმივი ზრდის ფონზე, ორგანიზაციები პოულობენ სამუშაო ძალის მართვის ყველაზე მოწინავე მეთოდებს. ორგანიზაციები ადამიანური კაპიტალის მართვაში იყენებენ საუკეთესო პრაქტიკას(ღრუბლოვანი მომსახურებები), რაც თავისთავად აუმჯობესებს ორგანიზაციის მუშაობას. საუკეთესო პრაქტიკა მოიცავს სამუშაოს უსაფრთხოებას, უნარ-ჩვევების განვითარებას და სამუშაოზე შერჩევით დაქირავებას. ყოვლისმომცველ ტრენინგებს, ინფორმაციის გაცვლას და ხელფასების ზრდას. საბოლოო ჯამში, ეს ორგანიზაციისათვის ხელსაყრელია.

ადამიანური კაპიტალის მართვა ქმნის ინფორმაციის თავისუფალ ნაკადს ხელმძღვანელებსა და დაქვემდებარებულებს შორის, ანუ უზრუნველყოფს თანამშრომელთა პირადი განვითარების მნიშვნელობას. ადამიანური კაპიტალის სამართავად აუცილებელია გაგვაჩნდეს მისი მახასიათებლების სრული კომპლექტი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან რთულია მახასიათებლების ნაკრების სწორად შეფასება. ამ მახასიათებლების მიზანმიმართული შეცვლით შეიძლება ვმართოთ ადამიანური კაპიტალი, ჩამოვაყალიბოთ და შევცვალოთ მათი ხარისხი. ამ შემთხვევაში ის მოქმედებს როგორც ობიექტი, მაგრამ ასევე წარმოადგენს დასახული მიზნების მისაღწევ, ანუ მართვის მექანიზმის ელემენტს.

ამრიგად, ადამიანური კაპიტალი წამყვან ადგილს იკავებს ორგანიზაციის კონკურენტული უპირატესობებში და ეს ნიშნავს, რომ პერსონალის ანალიზი და შეფასება არის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატებული ხელმძღვანელობისათვის. პერსონალში ინვესტიციის გარეშე სარგებლის მიღწევა შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე ი. , ადამიანური კაპიტალი, როგორც ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი (საქართველოს მაგალითზე), "ეკონომიკა" №5, 2006;

2. Shultz T. Investment in Human Capital, -N. Y. ;London 1971 p. -26-28;

3. Беккер Г. , Человеческий капитал/США: экономика, политика, идеология, 1993№11, URL http://www. libertarium. ru /69974 (дата обращения: 01. 06. 2009). ;

4. Быченков Ю. Г Развитие человеческого капитала в современном обществе Вестник Саратовского государственного социял-экономического университета 2013. №3. стр133-138.

5. Нойманн Ф. Методика экономической оценки человеческого капитала Государственное управление трансформационных процессы в современном мире. Тезисы докладов международной научно-практической конференции Беларусь 2015стр. 98.

6. Ильинский И, В Инвестиции в будущее; образование в инновационном воспроизводстве-СПБ;Изд СПБУЭФ, 1996 стр. 30

7. Ванкевич Е. В, Коробова Е. Н, Зайцева. Е. А, Алексеева О. В, Управление человеческими ресурсами современной организации: теория и практика: монография УО»ВГТУ»2020.

REFERENCES:

1. Archvadze I. , Human Capital as the Most Important Component of National Wealth (on the Georgia), "Economy"#5, 2006;

2. Shultz T. Investment in Human Capital, -N. Y. ;London 1971 p. -26-28;

3. Becker G, Human Capital/USA:economics, politics, ideology, 1993#11, URL http://www.libertarium. ru/69974(date of acces:01. 06 2009)

4. Bychenko Yu. G . , Development of human capital in modern society Bulletin of the Saratov State Social-Economic University 2013. №3. str133-138. 2.

5. Neumann F. Methods of economic assessment of human capital State management of transformation processes in the modern world. Abstracts of the international scientific-practical conference Belarus 2015p. 98.

6. Ilyinsky I, In Investments in the Future; education in innovative reproduction-SPB; Publishing house SPBUEF, 1996 p. 30

7. Vankevich E. V. , Korobova E. N. , Zaitseva. E. A. , Alekseeva O. V. , Human resource management of a modern organization: theory and practice: monograph of the UO "VSTU" 2020.

THE ESSENCE AND ROLE OF HUMAN CAPITAL IN INCREASING PRODUCTION EFFICIENCY

Nato Chikviladze,
GTU Professor
n. chikviladze@gtu. ge

RESUME

The article discusses the origin of the concept of "human capital". In the economic and social sciences, the first place is always occupied by human capital, whose creative qualities, abilities, strengths can improve one's personality and the world around it. But the development of the material and technical base of accelerated production overshadowed the problems of human development and its productivity capabilities. As a result of all this, for many years the capabilities of the producer were considered as one of the quan-

titative factors of production. At the same time the main task was only a qualitative combination of labor, working capital and fixed assets. The idea of human capital has long been rooted in the history of economic thought. One of his formulations can be found in William Pete's "Political Arithmetic", which was later reflected in Adam Smith's "Studies on the Nature and Causes of People's Wealth", in the Principles of Economics by Alfred Marshall and many other scholars. The theory of human capital was developed at the turn of the 50s and 60s of the 20th century. The paper analyzes the structural elements of human capital from the point of view of various authors. The author has studied the characteristics of human capital that distinguish it from other capital. The characteristics of the human capital of the organization were examined, the evaluation methods were determined, the role of human capital in the improvement of the efficiency of the organization was determined. It has been found that the effectiveness of human capital management depends on the mobility of working resources. As a result of the research, the author presented a model of human capital management of the organization.

Keywords: human capital, organization, efficiency, formation, management, system.

პოლიტიკურ დაფინანსებაში კრიპტოვალუტის გამოყენების რისკები და მისი პრევენციის მეთოდები

DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-41

ზურაბ აზნაურაშვილი
სტუ დოქტორანტი

პოლიტიკური ფინანსების რეგულირება და მონიტორინგის განხორციელება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის პროცესში, მაგრამ ხშირია არალეგალური ფინანსების გამოყენების შემთხვევები და ამასთან, თანამედროვე მსოფლიოში ტენდენცია მიდის ციფრული ვალუტების გამოყენებისკენ, რომელიც ნელ-ნელა შემოდის პოლიტიკური პარტიების საქმიანობაშიც და შეუძლებელს ხდის პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური დაფინანსება, პოლიტიკური კორუფცია, კრიპტოვალუტა, ბიტკოინი.

ძირითადი ტექსტი

პოლიტიკური ფინანსების შესაბამისი რეგულაციებით დგინდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტები, რითიც შესაძლებელი ხდება საჭირო ინფორმაციის დამუშავება, მონიტორინგის განხორციელება და ინფორმაციის გამჭირვალობის მიღწევა.

პოლიტიკურ პროცესებში ფულის მოძრაობის რეგულირება და გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია ანონიმური და არალეგალური წყაროების გამოყენებით ძალაუფლების მოპოვების სა-

შუალების შეზღუდვის მიზნით. აღნიშნულ მიზანს ემსახურება პრევენციისა და იძულების შესაბამისი ღონისძიებები, რათა ეფექტური მონიტორინგის საშუალებით პოლიტიკური ფინანსები გახდეს გამჭირვალე.

ბოლო პერიოდში არაერთი ქვეყანა დადგა დახურული წყაროებით და კრიპტოვალუტების გამოყენებით პოლიტიკური პარტიების მიერ დაფინანსების მიღების საფრთხის წინაშე და ბევრმა დაიწყო ფიქრი ციფრული ვალუტებისგან პოლიტიკის დასაცავად გარკვეული რეგულაციების შემოღებაზე.

კრიპტოვალუტა არის ელექტრონული ფული, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ბლოკჩეინის სისტემა და ის სახელმწიფოსა და ბანკებისგან დამოუკიდებლად ოპერირებს. არ არსებობს ამ ვალუტის ფიზიკური სახე, ყველანაირი ოპერაცია ხორციელდება ინტერნეტით.[1]

კრიპტოვალუტების დეცენტრალიზებული სისტემა საშუალებას იძლევა საბანკო სისტემის გვერდის ავლით განხორციელდეს ტრანზაქციები, შესაბამისად აღნიშნული პროცესი პრობლემებს ქმნის მონიტორინგის განხორციელების დროს და ართულებს გამჭვირვალობის მიზნის მიღწევას. ასევე პრობლემას წარმოადგენს ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც აკრძალულია იურიდიული პირებისგან შემოწირულების განხორციელება ან ზოგადად ანონიმური შემოწირულებების განხორციელება, რადგანაც კრიპტოვალუტის გამოყენებით მიღებული შემოწირულება, მისი შექმნის იდეიდან გამომდინარე, გულისხმობს, რომ ტრანზაქცია განხორციელდება ანონიმურად.

შემოწირულების განხორციელებაზე რეგულაციების დაწესებას სხვადასხვა მიზანი გააჩნია, მაგალითად იურიდიული პირებისთვის შემოწირულების განხორციელების უფლების შეზღუდვა ემსახურება ბიზნეს ინტერესებისგან და კორპორატიული გავლენისგან კანდიდატების დაცვას, იგივე ეხება სავაჭრო

1 https://bm.ge/ka/article/kriptovaluta---finansebis-axali-etapi/39169 და https://www.forbes.com/advisor/investing/what-is-cryptocurrency/ ბოლო შესვლა 06.09.2021

გაერთიანებებისა და ასოციაციების შეზღუდვას, ხოლო ანონიმური შემოწირულებების აკრძალვა ემსახურება გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.[1]

აღსანიშნავია, რომ ქვეყნების 56%-ში აკრძალულია ანონიმური შემოწირულებების განხორციელება და 10%-ში არსებობს გარკვეული ლიმიტები, რომლის ზემოთაც აკრძალულია პოლიტიკური პარტიებისთვის ანონიმური შემოწირულებების განხორციელება, ხოლო კანდიდატებისთვის ანონიმური შემოწირულების განხორციელება სრულად აკრძალულია ქვეყნების



44%-ში და ნაწილობრივ 9%-ში.[2]

დიაგრამა N1: ანონიმური შემოწირულების განხოროციელების შესაძლებლობა კანდიდატებზე და პარტიებზე[3]

შემოწირულებების ხვედრითი წილის დიდი მოცულობიდან გამომდინარე მრავალ ქვეყანაში დადგენილია ერთი ფიზიკური პირის მიერ შემოწირულების განხორციელების დასაშვები მაქსიმალური ოდენობა ერთი კალენდარული წლის განმავლობაში. International IDEA-ს მიერ მსოფლიოს 180 ქვეყანაში ჩატარე-

1 Falguera E., Ohman M., Jones S.; Funding of Political Parties and Election Campaigns – A Handbook on Political Finances; International IDEA, Stockholm, 2014, p.21

2 Catalina Uribe Burcher, Cryptocurrencies and Political Finance, International IDEA Discussion Paper 2/2019, გვ. 14

3 International IDEA, Political Finance Database (Stockholm: International IDEA, 2018), https:// www.idea.int/data-tools/question-view/539, ბოლო შესვლა 25.11.2021

ბული კვლევის მიხედვით 111 ქვეყანაში დადგენილია ლიმიტები, ხოლო 63 ქვეყანაში არა.[1]

ქვეყნების თითქმის 68% კრძალავს პოლიტიკური პარტიებისთვის შემოწირულების განხორციელებას უცხო ქვეყნებიდან, ხოლო 56% კრძალავს კანდიდატებისთვის.[2]

დიაგრამა N2: უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ შემოწირულების განხოროციელებაზე შეზღუდვები[3]

მნიშვნელოვანი შეზღუდვები წესდება ასევე სახელმწიფო კომპანიებსა და ისეთ იურიდიულ პირებზე, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო შესყიდვებში. ასეთი შეზღუდვების მიზანია კორუფციული რისკების შემცირება და სახელმწიფო რესურსების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების აკრძალვა.

აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ცხადია, რომ ბევრ ქვეყანას შესაძლებელია ჰქონდეს შემოწირულების თანხების ოდენობების გაანალიზების საჭიროება, კანონდებლობით დადგენილი შეზღუდვებიდან გამომდინარე, რაც რთუ-

1 დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ასოციაციის (International IDEA) კვლევა http://www.idea.int/data-tools/question-view/542 - ბოლო შესვლა 10.07.2017 წელი

2 Catalina Uribe Burcher, Cryptocurrencies and Political Finance, International IDEA Discussion Paper 2/2019, გვ. 12

3 International IDEA, Political Finance Database (Stockholm: International IDEA, 2018), https:// www.idea.int/data-tools/question-view/528, ბოლო შესვლა 25.11.2021

ლად წარმოსადგენია კრიპტოვალუტების გამოყენების შემთხვევაში.

კრიპტოვალუტების შექმნა დაიწყო 2009 წლიდან და მათი პოლიტიკაში გამოყენება პირველად 2014 წელს მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.[1] აღნიშნული ქმედებების საპასუხოდ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურმა საარჩევნო კომისიამ გამოსცა სარეკომენდაციო მოსაზრება (ADVISORY OPINION 2014-02)[2], რაც წარმოადგენს პოლიტიკაში კრიპტოვალუტების გამოყენების რეგულირების პირველ მცდელობას.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების ფედერალური საარჩევნო კომისიის სარეკომენდაციო მოსაზრების გარდა არსებობს სხვა მაგალითებიც, როდესაც ქვეყნები მიდიან კრიპტოვალუტების გამოყენების სრულად აკრძალვის გზით. მაგალითად: ჩინეთმა, ბოლივიამ და ეკუადორმა აკრძალეს კრიპტოვალუტის ნებისმიერი გამოყენება, ხოლო იაპონიამ, ლიხტენშტეინმა და მალტამ შემოიღეს კრიპტოვალუტის მარეგულირებელი კანონმდებლობა და დაარეგულირეს ვაჭრობის წესები.[3]

პრაქტიკაში ჯერ-ჯერობით კრიპტოვალუტის პოლიტიკაში გამოყენების სულ რამოდენიმე შემთხვევაა დაფიქსირებული[4]:

1. 2014 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ ჰემფშირის გუბერნატორის არჩევნებზე ენდრიუ ჰემინგუეი იყო პირველი ვინც იღებდა შემოწირულებებს ბიტკოინების გამოყენებით;

2. 2014-2018 წლებში აშშ-ს არჩევნებში მონაწილე არაერთი კანდიდატი იღებდა შემოწირულებებს კრიპტოვალუტებში;

3. 2014 წელს შვედეთში მატიას სანდინი გახდა პარლამენტის

---

1 https://www.cnbc.com/2018/03/01/cryptocurrency-candidates-politicians-embrace-bitcoin.html ბოლო შესვლა 25.11.2021

2 ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საარჩევნო კომისიის სარეკომენდაციო მოსაზრება https://saos.fec.gov/aodocs/1256453.pdf ბოლო შესვლა 06.09.2021

3 Catalina Uribe Burcher, Cryptocurrencies and Political Finance, International IDEA Discussion Paper 2/2019, გვ. 10

4 იქვე, გვერდები 9-10

წევრი, რომელიც საარჩევნო კამოანიას მხოლოდ ბიტკოინით განხორციელებულ შემოწირულებებს იღებდა;

4. 2016 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში პარტია გირჩი აკეთებდა მაინინგს და თავად გამოიმუშავებდა კრიპტოვალუტებს;

5. 2018 წლის ისლანდიის არჩევნებზე პირატების პარტია იღებდა შემოწირულებებს კრიპტოვალუტების გამოყენებით;

6. 2018 წელს აშშ-ს მისურის შტატის რესპუბლიკური პარტიის პრაიმერში მონაწილე კანდიდატს, ოსტინ პეტერსონს მოუწია 130,000 აშშ დოლარის ბიტკოინების უკან დაბრუნება, რადგანაც აღნიშნული თანხა აჭარბებდა კამოპანიის ლიმიტებს.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე კრიპტოვალუტების გავლენის გააზრება უნდა სცდებოდეს იმ რესურსების შესწავლას, რომლებსაც დონორები გადასცემენ პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს, ის ასევე გულისხმობს იმის გაგებას, თუ რამდენ ფულს იღებენ არჩეული თანამდებობის პირები და საჯარო მოხელეები თანამდებობის დაკავების შემდეგ ამ მეთოდებით. ამ მიზნის მისაღწევად კარგ შესაძლებლობას იძლევა ქონებრივი დეკლარაციები, იმის გასარკვევად, თუ რამდენად ხდება ციფრული ვალუტები მნიშვნელოვანი სავაჭრო პროდუქტი პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეებისთვის.[1]

არჩეული თანამდებობის პირების მიერ ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის მოთხოვნა არის მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი, რომელიც გადადგა ქვეყნების მხოლოდ 53 პროცენტმა (იხ. დიაგრამა N3). მაგრამ მონიტორინგის განმახორციელებელი სტრუქტურები ასევე უნდა იყვნენ აღჭურვილი იმის შესაძლებლობით, რომ გადაამოწმონ საჯარო მოხელეები ზუსტად აღრიცხავენ კრიპტოვალუტაში მიღებულ შემოსავლებს თუ არა და გამოიძიონ შესაბამისი შემთხვევები და ამასთან, მოახდინონ ფულის გათეთრების შემთხვევების გამოვლენა და პრევენცია.[2]

---

1 იქვე, გვ. **17.**

2 იქვე.



დიაგრამა N3: უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ შემოწირულების განხოროციელებაზე შეზღუდვები[1]

აღნიშნული მიზნების მიღწევის მიზნით, ჩვენი აზრით, უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. კრიპტოვალუტის დეკლარირების ვალდებულება წარმოეშვას საჯარო თანამდებობის პირებს;

2. კრიპტოვალუტის მიღების დეკლარირება პლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების მიერ უნდა მოხდეს არაფულად შემოწირულებად;

3. კანონით უნდა იყოს განსაზღვრული, მათ შორის კრიპტოვალუტაზე ყველა შემომწირველის სრულად იდენტიფიცირება და გასაჯაროვება;

4. ცვალებადი ღირებულების გამო პრობლემურია დეკლარირების საკითხი, თუ რა თანხა უნდა აისახოს დეკლარაციაში, მაგრამ შესაძლებელია ტრანზაქციის მომენტში არსებული კურსით ღირებულების ასახვა, ან გადახურდავების მომენტში მიღებული თანხის ასახვა, რაც შეიძლება რადიკალურად განსხვავებული თანხები იყოს და საჭიროებს დარეგულირებას;

5. მოსაფიქრებელია ლიმიტების დაწესების საკითხი, მაგა-

1 International IDEA, Political Finance Database (Stockholm: International IDEA, 2018), https://www.idea.int/data-tools/question-view/284667, ბოლო შესვლა 25.11.2021

ლითად აშშ-ს მაგალითზე, რომელმაც დააწესა 100 დოლარიანი შეზღუდვის ლიმიტი კრიპტოვალუტაში შემოწირულების მისაღებად;

6. შესაძლებელია დაწესდეს კრიპტოვალუტის საფულის საბანკო ანგარიშზე მიბმის ვალდებულება;

7. აუცილებელია მონიტორინგის განმახორციელებელი სტრუქტურებისთვის კონკრეტული ინსტიტუციური შესაძლებლობების შექმნა კრიპტოვალუტებში პოლიტიკური შემოწირულობების ზედამხედველობის განხორციელების მიზნით.

ლიტერატურა:

1. Catalina Uribe Burcher, Cryptocurrencies and Political Finance, International IDEA Discussion Paper 2/2019

2. International IDEA, Political Finance Database (Stockholm: International IDEA, 2018)

3. Falguera E., Ohman M., Jones S.; Funding of Political Parties and Election Campaigns – A Handbook on Political Finances; International IDEA, Stockholm, 2014

4. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საარჩევნო კომისიის სარეკომენდაციო მოსაზრება (ADVISORY OPINION 2014-02) https://saos.fec.gov/aodocs/1256453.pdf

5. დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ასოციაციის (International IDEA) კვლევა http://www.idea.int/data-tools/question-view/542

6. https://bm.ge/ka/article/kriptovaluta---finansebis-axali-etapi/39169

7. https://www.forbes.com/advisor/investing/what-is-cryptocurrency/

8. https://www.cnbc.com/2018/03/01/cryptocurrency-candidates-politicians-embrace-bitcoin.html

REFERENCES:

1. Catalina Uribe Burcher, Cryptocurrencies and Political Finance, International IDEA Discussion Paper 2/2019.

2. International IDEA, Political Finance Database (Stockholm: International IDEA, 2018)

3. Falguera E., Ohman M., Jones S.; Funding of Political Parties and Election Campaigns – A Handbook on Political Finances; International IDEA, Stockholm, 2014

4. Advisory Opinion of Federal Election Commission of the United States (ADVISORY OPINION 2014-02) https://saos.fec.gov/aodocs/1256453.pdf

5. The Research by the International Association for Democracy and Electoral Assistance (International IDEA) http://www.idea.int/data-tools/question-view/542

6. https://bm.ge/ka/article/kriptovaluta---finansebis-axali-etapi/39169

7. https://www.forbes.com/advisor/investing/what-is-cryptocurrency/

8.https://www.cnbc.com/2018/03/01/cryptocurrency-candidates-politicians-embrace-bitcoin.html

THE RISKS OF USING CRYPTOCURRENCY IN POLITICAL FINANCING AND THE METHODS FOR ITS PREVENTION

Zurab Aznaurashvili
Doctoral Student of
Georgian Technical University

RESUME

Regulating and monitoring political finances is an important factor in ensuring a fair and equitable electoral environment, but there are frequent cases of illegal finances, and in the modern world there

is a tendency to use digital currencies, which are slowly entering political parties and making political finances monitoring impossible.

The Relevant political finance regulations set standards for access to information, which make it possible to process the required information, to monitor it and achieve the transparency of information.

Moreover, the Regulation and transparency of funding political processes are important to limit the means of gaining a power through anonymous and illegal sources. The appropriate measures of prevention and coercion serve this purpose in order to make political finances transparent through effective monitoring.

Recently, a number of countries have faced the threat of receiving funding from the closed parties and the use of crypto currencies by political parties, and many have begun to think about introducing certain regulations to protect policies from digital currencies.

Keywords: political party, political financing, political corruption, cryptocurrency, bitcoin.

РИСКИ ИСПОЛЬЗОВАНИЯ КРИПТОВАЛЮТЫ В ПОЛИТИЧЕСКОМ ФИНАНСИРОВАНИИ И МЕТОДЫ ЕГО ПРОФИЛАКТИКИ

Зураб Азнаурашвили
Докторант Грузинского
технического университета

РЕЗЮМЕ

Регулирование и мониторинг политических финансов являются важным фактором в обеспечении справедливой и равноправной избирательной среды, но нередки случаи незаконного финансирования, и в современном мире наблюдается тенденция к использованию цифровых валют, которые постепенно входят в политические партии и превращаются в политические финансы прозрачны.

Соответствующие правила политического финансирования устанавливают стандарты доступа к информации, которые позволяют обрабатывать требуемую информацию, отслеживать ее и обеспечивать информационную прозрачность.

Регулирование и прозрачность денежного обращения в политических процессах важны для ограничения средств получения власти через анонимные и незаконные источники. Соответствующие меры предотвращения и принуждения служат этой цели, чтобы сделать политические финансы прозрачными посредством эффективного мониторинга.

В последнее время ряд стран столкнулся с угрозой получения финансирования от закрытых партий и использования криптовалюты политическими партиями, и многие начали думать о введении определенных правил для защиты политики от цифровых валют.

Ключевые слова: политическая партия, политическое финансирование, политическая коррупция, криптовалюта, биткойн.

FUNCTIONS AND MEANING OF "MATERIALITY" IN THE FORMATION OF INFORMATION IN FINANCIAL STATEMENTS

DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-52

Nana Sreseli
PhD in Economics, Associated Professor,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
nanasreseli@gmail.com

RESUME

The problem of materiality of information is related not only to audit, but also to financial, economic and managerial activities, including organization and maintenance of accounting, financial reports, analysis of an entity. The level of materiality of the information, including the materiality of deviations of the actual values of indicators from the specified parameters, predetermines the risk of uncertainty in making managerial decisions and decision-making processes as a whole

Keywords: Materiality; Financial statements; IFRS; Interim financial statements; Qualitative and quantitative indicators.

INTRODUCTION

The right granted to organizations to determine independently details of indicators according to items of the financial statements, enhances a relevance of the problem of identifying and reflecting material information in the financial reporting by business entities. Inexistence of substantiated methods for assessing materiality of information, may result in a lack of data for providing the information needs to users of the financial statements. Those reporting indicators and their values should be recognized material, which affect the conclusions of users of the financial statements about the financial state of the organization.

Unless omission or misstatement of the reporting indicators or their totality causes a change in the conclusions about the financial state of the organization based on the data of the analyzed financial statements, then the information should be classified as nonmaterial. For example, in case of unprofitable organizations, information about such facts of omission or misstatement should be recognized as material, in which these entities can be recognized as profitable. The approach to assessing the materiality of information based on the impact of the latter on the indicators of assessing the financial state of an organization, should be recognized as universal and applicable to subjects of various types of activities and for various users of financial reporting information regardless of the goals of the latter. This approach to assessing the materiality of the reporting information is constructive for assessing the materiality of its misstatements.

It should be emphasized that only internal and external auditors, as well as personnel of the accounting and analytical services of ab audited entity, have the possibility to confirm the fact that the financial statements disclose material information, including qualitative risk factors for disrupting a going concern. As to the users of the financial statements, the information required for this is not available, usually

The concept of materiality of accounting information and financial statements is considered in the international standards. This work is based on the current IFRS and financial reporting

MAIN PART

Let us consider the concept of materiality in IFRS, as well as quantitative and qualitative criteria of materiality applied to annual and interim reporting, taking into account the amendments to IAS 1 and IAS 8, which came into force in 2020 [10].

Materiality is the most important concept in financial reporting.

The Company makes materiality-related judgments when making decisions about the recognition, measurement, presentation and

disclosure of the information in the financial statements.

IFRS reporting requirements (including disclosures) should be applied only if the effect of the application of these requirements is material. otherwise, the application of IFRS requirements is optional.

In accordance with the definition of materiality in IFRS (IAS) 1:

"Information is material if omitting, misstating or obscuring it could reasonably be expected to influence decisions that the primary users of general purpose financial statements make on the basis of those financial statements . . ."

IAS 1 further clarifies that materiality depends on the nature or quantity of the information, or both, and that an entity evaluates the materiality of the information (either individually or in combination with other information) in the context of its financial statements as a whole.

In October 2018 the IASB published amendments to IAS 1 and IAS 8 (effective from 1 January 2020) that added the **concept of obscuring information** to the definition of materiality.

Paragraph 7 (Definitions) of the revised IAS 1 clarifies that information is disguised if it is disclosed using "*vague or ambiguous formulations*" or "*is hiding*" behind immaterial information in such a way that the user cannot understand whether it is material.

The determination of the materiality of information is considered from the standpoint of the interests of users of the reporting. Financial statements have a fairly wide range of users and each of them has a different understanding of the level of materiality. For example, information about the results of the company's activities, the dynamics of profits and the reality of assets is material for the company's investors. For potential investors, there will be material the information about financial stability of the enterprise, potential changes in the demands for manufactured products, profitability of investments and the reality of investment projects. To measure financial performance, users may pay particular attention to net income or net assets. If an entity is funded by debt rather than equity

capital, for the users the information about assets and claims thereto may be more important than the information about the entity's income.

Materiality is a specific issue for each single company, therefore, **IFRS does not provide any quantitative thresholds of materiality.**

The IASB has issued non-binding IFRS Practical Guideline 2: "Making Materiality Judgments", that is worth studying carefully when considering the concept of materiality.

MATERIALITY: QUANTITATIVE CRITERIA

A starting point for the analysis of quantitative characteristics of materiality, as a rule, is a certain proportion of a net profit or other important financial indicator of activity.

For example, 5% of net income from continuing operations or 2-3% of operating profit (or other indicator of operating profitability) is a common baseline threshold of materiality for many companies and their auditors, but these thresholds can differ widely com each other

Undoubtedly, each company should develop its own quantitative threshold as a starting point for assessing materiality. If possible, its own threshold should be consistent with the assessment of materiality made by the company's auditors.

Different levels of materiality can be assigned to different items in the financial statements that affect profit or loss, balance sheet reclassification or aggregation, and disclosures of the information.

IAS 1 requires a separate and aggregate assessment of the materiality of the line items. That is, a nonmaterial item can become material, in conjunction with other individual nonmaterial items.

Therefore, it is important to monitor any uncorrected misstatements identified during the reporting period in order to be able to assess their cumulative materiality. On the other hand, a material misstatement cannot be compensated for by other material misstatements (for example, the simultaneous overstatement of both revenues and expenses).

A cumulative effect of nonmaterial misstatements made during

previous years could become material at a certain moment.

For example, mistakenly unrecognized liabilities and expenses of $100 per year over the past 10 years result in an underreporting of liabilities by $1,000.

While a misstatement of $100 within a single year may be considered nonmaterial, an understatement of $ 1,000 at the reporting date could be a material omission of the information.

In this case, the company cannot recognize $ 1,000 of liabilities and expenses in the current period, as this would be a material misstatement of the current financial results. Therefore, the company must make retrospective corrections of errors, even if these errors were not material in a single previous period.

MATERIALITY: QUALITATIVE CRITERIA

This article cannot be regarded as nonmaterial just because it is below a certain quantitative threshold [10].

When a misstatement is made intentionally to achieve a particular performance or effect, the misstatement is considered material, regardless of the amount.

This is because such misstatement would not have occurred if the company did not expect it to influence the decisions made by users of the financial statements.

Such misstatements should not be confused with simplifications made by the company, since the simplifications are not aimed at achieving a particular result or reporting.

Materiality in interim financial statements

Assessing materiality becomes more complex when quantitative materiality criteria are applied to interim financial statements.

IFRS (IAS) 34 clarifies that materiality in interim financial statements should be assessed **in relation to the financial results of the interim period, and not to the forecast of results for the full year.**

Therefore, in financial statements, for example, for the 1st quarter, the quantitative threshold of materiality can be only a quarter

(1/4) of the value determined for the annual financial statements.

There is no way to adhere to annual materiality levels in interim financial statements and still comply with IFRS, since IFRS (IAS) 34 is very specific in this regard.

Interestingly, US GAAP standards are much softer in this matter and allow the application of annual materiality levels in interim financial statements with additional disclosure of certain material items that are disclosed only in interim financial statements.

CONCLUSION

"Materiality" is unique for each entity or Group of Companies that generates IFRS reporting. That is why IFRS does not provide specific quantitative thresholds or clear rules for their determination. However, provides the qualitative factors that should be considered when assessing materiality:

• Whether the misstatements allow demonstrating the compliance of the company's activities with financial forecasts - own, market, made by rating agencies or other independent analysts;

• Whether the misstatements enable it to demonstrate compliance with regulations, debt or credit covenants, or other contractual requirements;

• Whether misstatements convert net loss to net income or vice versa;

• Whether misstatements affect key ratios or other disclosures in the financial statements to which users pay special attention;

• Whether misstatements affect the size of bonuses for key management personnel;

• Whether or not the segment disclosures are misstated;

• Whether misstatements affect the disclosure of transactions with related parties.

If a misstatement is intentional to achieve a particular disclosure option, then the misstatement is considered material, regardless of the amount. This is because the entity expected such misstatement to influence the decisions made by users of the financial statements.

REFERENCES:

1. Dombrovskaya E. N. Ensuring the materiality of the accounting (financial) statements // Audit – 2019. – № 5. – p.4-7.

2. Zhukova T. V. Development of the concept of determining the materiality of financial reporting indicators // The modern paradigm of accounting, audit analysis: moral and philosophical principles / edited by Prof. B. A Amanzholova, Prof. V. V Khairulina – Novosibirsk: Novosibirsk State Technical University , 2020. – p.123-154.

3. Achkova O.E., Krioshtaleva T. I. Justification of the materiality level for financial statements in accordance with IFRS // Economic Sciences. – 2021. – № 194. – p. 114-120. – DOI 10.14451/1.194.114.

4. Hasanaj P., Kuqi B. Analysis of Financial Statements // Humanities and Social Science Research. – 2019№ 2. – p. 17. 10.30560/hssr.v2n2p17.

„არსებითობის“ ფუნქცია და მნიშვნელობა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ფორმირებაში

ნანა სრესელი
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი
nanasreseli@gmail.com

რეზიუმე

ინფორმაციის არსებითობის პრობლემა დაკავშირებულია არა მხოლოდ აუდიტთან, არამედ ფინანსურ-ეკონომიკურ და მენეჯერულ საქმიანობასთან, მათ შორის, აღრიცხვის პროცესის ორგანიზაციასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან. ინფორმაციის, მათ შორის მაჩვენებლების ფაქტობრივი მნიშვნელობის დადგენილი პარამეტრებიდან გადახრების არსებითობის დონე, განსაზღვრავს მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების და მიღებული გადაწყვეტილებების განუსაზღვრემობის რისკს.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში აღნიშნულია, რომ ფინანსური ანგარიშები მნიშვნელოვან წილად ეყრდნობა მიახლოებით შეფასებებს , განსჯასა და მოდელებს და არა მოვლენების ზუსტ ასახვას. ფასს სტანდარტი მიიჩნევს, რომ სათანადო ფაქტისა და შესაფერისი გარემოების გათვალისწინებით, საწარმომ უნდა მიიღოს იმის გადაწყვიტილება, თუ როგორ განახორციელებს ინფორმაციის აგრეგირებას ფინანსურ ანგარიშგებაში და შენიშვნებში.

ორგანიზაციებზე მინიჭებული უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვრონ ის, თუ როგორ განახორციელონ ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენი ინფორმაციის აგრეგირება, ზრდის ფინანსური ანგარიშგების აღქმადობის შესუსტების რისკს. რადგან არაარსებითი ინფორმაციის ჩართვამ, ან ხასიათით ან ფუნქციონალურად განსხვავებული ინფორმაციის აგრეგირებამ, არსებითი ინფორმაცია შეიძლება მომხმარებლისთვის გაუგებარი გახადოს. საბჭო ვერ ადგენს არსებითობის ერთიან რაოდენობრივ ზღვარს, და ვერც იმას განსაზღვრავს, რა შეიძლება იყოს კონკრეტულ სიტუაციაში არსებითი. თუმცა, კონცეპტუალური საფუძვლები განმარტავს, რომ *არსებითობა* ამა თუ იმ საწარმოსთვის დამახასიათებელი *შესაბამისობის სპეციფიკური ასპექტია,* რომელიც გამომდინარეობს იმ ელემენტების ხასიათიდან და/ან სიდიდიდან, რომელსც ეხება მოცემული ინფორმაცია კონკრეტული საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კონტექსტში.[1] ინფორმაციის არსებითობის შესაფასებლად დასაბუთებული მეთოდების სიმცირე, განაპირობებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფის შეზღუდვას.

რა შემთხვევაში ითვლება „ინფორმაცია არსებითად“?

ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში შეიძლება მოსალოდნელი იყოს, რომ მისი გამოტოვება, არასწორად ან ბუნდოვნად წარმოდგენა გავლენას მოახდენს გადაწყვეტი-

1 ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები (გადასინჯული 2018 წ მარტში),2020.

ლებებზე, რომელსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები იღებენ. ანუ არსებითად უნდა იყოს აღიარებული ის საანგარიშგებო მაჩვენებლები და მათი მნიშვნელობები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების დასკვნებზე, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ანგარიშგების მაჩვენებლის ან მაჩვენებელთა ერთობლიობის გამოტოვება ან არასწორი განმარტება თუ არ იწვევს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ჩამოყალიბებული დასკვნების ცვლილებას, მაშინ ინფორმაცია უნდა კლასიფიცირდეს, როგორც არამატერიალური. მაგრამ, წამგებიანი ორგანიზაციებისთვის, ინფორმაციის გამოტოვების ან დამახინჯების ისეთი ფაქტები, რომლებშიც ეს სუბიექტები შეიძლება აღიარებულ იქნეს მომგებიან ორგანიზაციებად, წარმოადგენს არსებითს.

ინფორმაციის არსებითობის შეფასებისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის *ფინანსური მდგომარეობის შეფასების* ინდიკატორებზე, აღიარებული უნდა იყოს, როგორც უნივერსალური, რომელის გამოიყენება მისაღებია სხვადასხვა ტიპის საქმიანობის სუბიექტების და ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სხვადასხვა მომხმარებლისთვის, მიუხედავად მათი მიზნებისა. ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის არსებითობის შეფასების ეს მიდგომა, კონსტრუქციულია მისი ცდომილებების არსებითობის შესაფასებლადაც.

სააღრიცხვო ინფორმაციისა და ფინანსური ანგარიშგების არსებითობის ცნება განხილულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (ფასს). წარმოდგენილი შრომა ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დებულებებს.

საკვანძო სიტყვები: არსებითობა; ფინანსური ანგარიშგება; ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს); შუალედური ფინანსური ანგარიშგება; ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები.

სამეწარმეო უნარებისა და კომპეტენციების სწავლების ზოგიერთი საკითხი

DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-61

მერაბ მიქელაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თბილისის თავისუფალი აკადემიის პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
m.mikelashvili@gtu.ge, mmikelashvili@freeacademy.edu.ge

რეზიუმე

დღეს მეწარმეობის სწავლება აქტუალურია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და საზოგადოებაში სამეწარმეო აზროვნების ფორმირების მიმართულებით. მნიშვნელოვანია სამეწარმეო კომპეტენციისა და კომპეტენტურობის არსობრივი განსხვავების გააზრება, ასევე სამეწარმეო კომპეტენციების განსაზღვრა, როგორც „ინიციატივიანობა და ფხიანობა“, ამასთან იმ უნარების ქონა, რომელიც მოიაზრება კომპეტენციებში. მეწარმეობის სწავლების შედეგი ორი განსხვავებული შინაარსის მატარებელია - იგი განიხილება, როგორც ბიზნესის გაძღოლის უნარი და უფრო ფართო გაგებით , როგორც პიროვნების „ფხიანობა“.

ადამიანი არის ცივილიზაციის, საზოგადოებისა და პროფესიის ისტორიული გამოცდილების აქტუალიზაცია, ამიტომ სამეწარმეო აზროვნების ფორმირების პროცესი და სამეწარმეო აზროვნება, როგორც უნივერსალური უნარი, ამის გათვალისწინებით უნდა იქნეს გააზრებული.

საკვანძო სიტყვები: სამეწარმეო კომპეტენციები, სამეწარმეო უნარები, მეწარმეობის სწავლება, სამეწარმეო აზროვნება, მეწარმეობა.

ძირითადი ტექსტი

მეწარმეობა წარმოადგენს ეკონომიკის და მთლიანად საზოგადოების მამოძრავებელ ძალას. მეწარმეობის სწავლება ხელს უწყობს საზოგადოებაში სამეწარმეო აზროვნების ფორმირებას, ასევე ახალი სამეწარმეო საქმიანობის სუბიეტების შექმნას და პიროვნების ცოდნისა და უნარების, მისი შემოქმედებითი პოტენციალის უფრო ეფექტურად გამოყენებას.

ამიტომ მეწარმეობის სწავლება მთელ მსოფლიოში და მათ შორის ევროკავშირში პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული. როგორც პიტერ დრუკერი წერდა: „იმის უმრავლესობა, რაც მეწარმეობაზე გესმით არასწორია. ის არ არის საოცრება, არც საიდუმლო და არავითარი კავშირი არა აქვს გენებთან. მეწარმეობა - დისციპლინაა, და როგორც ნებისმიერი დისციპლინა, მისი სწავლაც შესაძლებელია“ [1]

ამ სიტუაციაში განათლებისთვის საკვანძო ამოცანას წარმოადგენს სტუდენტებისთვის სამეწარმეო კომპეტენციების ფორმირება, რადგან განათლების ნებისმიერი სფერო, მიუხედავად მისი მიმართულებისა და პრაქტიკული მნიშვნელობისა, მთავარ მიზნად მიიჩნევს პროფესიული კომპეტენციების სისტემის ფორმირებას. რაც უფრო მეტი პროფესიული კომპეტენციები აქვს ადამიანს არსენალში, მით უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ ის წარმატებით გადაწყვეტს მის წინაშე მდგარ ბიზნეს ამოცანებს. შესაბამისად სამეწარმეო კომპეტენციების სიმწირე, ამცირებს მისი ბიზნეს საქმიანობის ეფექტურობას.

არსებობს განსხვავება ცნებებს „კომპეტენცია“ და „კონპეტენტურობას“ შორის. კომპეტენციებში (competency) როგორც წესი, მოიაზრებენ ცოდნის, შესაძლებლობების, უნარებისა და პიროვნული თვისებების ერთობლიობას, რომელთა ფორმირებაც ხდება სასწავლო პროცესში კონკრეტულ პროფესიულ სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის. კომპეტენცია მიეკუთვნება ადამიანის ქცევის მახასიათებლებს, მოტივაციას და პიროვნულ თვისებებს, მაშინ როცა კომპეტენტურობა (competence) არის რეალური, სასიცოცხლო მოქმედების განხორციელების უნარი, რომელიც იწვევს გარკვეულ შედეგს.

ევროკომისიის მიერ მიღებული განმარტების თანახმად, კომპეტენცია არის „ცოდნის, უნარებისა და პიროვნული შესაძლებლობების სამსახურში, განათლებაში და პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაში გამოყენების დადასტურებული უნარი “.[2]

ამჟამად, ევროპაში არ არსებობს სამეწარმეო კომპეტენციების ერთიანი ჩამონათვალი. სამეწარმეო კომპეტენციები განიხილება, როგორც წრე მთელი რიგი საკითხებისა, რომლებშიც ადამიანს აქვს ავტორიტეტი, ცოდნა და გამოცდილება ბიზნესის წარმატებული გაძღოლისთვის, ასევე ქცევა, რომელიც გამოიხატება სამეწარმეო საქმიანობისას ამოცანების ეფექტურად გადაჭრის პროცესში.

ბენგტ იოჰანისონი, რომელიც არის სამეწარმეო განათლების ცნობილი თეორეტიკოსი განსაზღვრავს ხუთ კომპეტენციას, რომელიც მნიშვნელოვანია მეწარმისთვის. მისი აზრით, აუცილებელია:

- იმის გაგება, თუ რატომ სურს ადამიანს ამის გაკეთება („იცოდე რატომ“);
- შეეძლოს ამის გაკეთება („ვიცი როგორ“);
- გააცნობიეროს ვისთან არის მნიშვნელოვანი ურთიერთობა წარმატებული ბიზნესისათვის („იცოდე ვინ“);
- ჰქონდეს კარგი ინტუიცია, ანუ გრძნობდეს როდისაა უპრიანი ბიზნესის წამოწყება („იცოდე როდის“);
- და, ბოლოს, ჰქონდეს ცოდნა ბიზნესის შესახებ („იცოდე რა“) [3].

1990 -იანი წლების ბოლოდან ევროკავშირი ეძებს გზებს განათლების განვითარებისათვის, სტუდენტების სამეწარმეო განათლებისა და საზოგადოებაში სამეწარმეო აზროვნების ფორმირებისთვის. 2006 წელს ევროკავშირის პარლამენტის მიერ გაიცა რეკომენდაცია სახელწოდებით „ევროპული ჩარჩო ძირითადი კომპეტენციებისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისათვის“, რომელშიც სამეწარმეო კომპეტენცია (კერძოდ, „ინიციატივიანობა და მეწარმეობის სული“) დასახელდა როგორც, როგორც უმნიშვნელოვანესი რვა კომპეტენციას შორის.

გლობალიზაციამ გაზარდა ეკონომიკური სისტემების მოთხოვნილება გახდენ უფრო კონკურენტუნარიანი და ინოვაციური, ეს კი მოითხოვს შემოქმედებით და „ფხიან“ ადამიანებს, რომლებიც გახსნილები არიან ცვლილებებისთვის.სამეწარმეო კომპეტენცია განისაზღვრება, როგორც „პიროვნების უნარი, იდეები აქციოს ქმედებად. ეს უნარებია: კრეატიულობა, ინოვაციებისადმი მზადყოფნა, საკუთარ თავზე რისკის აღებისადმი მზადყოფნა, დასახული მიზნის მისაღწევად პროექტების დაგეგმვისა და მართვის უნარი. [2]

ეს ყველაფერი ეხმარება ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაში, გააცნობიეროს საკუთარი სამუშაოს არსი და ხელიდან არ გაუშვას არსებული შესაძლებლობები. იგი წარმოადგენს ფუნდამენტს უფრო კონკრეტული უნარებისა და ცოდნის დაუფლებისათვის, რომელიც საჭიროა მათთვის, ვინც ეწევა სოციალურ ან კომერციულ საქმიანობას. შესაბამისად, ევროპაში მეწარმეობის სწავლების მიმართულებით ორი დამოუკედებელი სფეროა (ვიწრო და ფართო): ერთი არის მათთვის, ვისაც სურს დაკავდეს კომერციული საქმიანობით, მეორე კი საზოგადოების უფრო ფართო ფენისთვის, რომელთათვისაც აუცილებელია „ფხიანობა“, როგორც უნარი, ანუ მოიქცნენ როგორც მეწარმე, ჰქონდეთ გარკვეული სამეწარმეო ცოდნა, უნარები და საქმისადმი დამოკიდებულება და ამასთან არ იყვნენ დაკავებული კომერციული საქმიანობით.

ევროპარლამენტმა თავის რეკომენდაციებში დააფიქსირა „ფხიანი სტუდენტის“ ფართო დახასიათება. სტუდენტმა, რომელმაც გაიარა სამეწარმეო განათლების კურსი უნდა შეძლოს:

- საქმიანობის შესაძლებლობების დანახვა და ინფრასტრუქტურის, კონიუნქტურისა და შრომის ბაზრის კარგი ცოდნა;
- საწარმოებისა და მეწარმეების ეთიკური პრინციპების დაცვა;
- დაგეგმვა, ორგანიზება, მართვა, დელეგირება, ანალიზი, ინფორმირება, შეფასება და აღრიცხვის წრმოება;
- ორგანიზაციის წარმომადგენლობა და მოლაპარაკებების წარმოება;

- დამოუკიდებლად და გუნდურად მუშაობა;
- სიტუაციის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, რისკის გწევა;
- ინიციატივის საკუთარ თავზე აღება, წინსწრებით მოქმედება, პირად და სოციალურ ცხოვრებაში, ასევე სამსახურში დამოუკიდებლობა და ინოვაციურობა,
- სხვების და საკუთარი თავის მოტივირება მიზნების მისაღწევად [2]

სამეწარმეო განათლების საქმეში სტრატეგიული და მდგრადი განვითარების მისაღწევად, აუცილებელია ფოკუსირება სასწავლო დაწესებულებაზე, როგორც ცვლილებების სუბიექტზე, ასევე სწავლების ინოვაციურ მეთოდებზე, რადგან შეუძლებელია „ფხიანი“ სტუდენტების სამეწარმეო განათლება არა ინოვაციურ საგანმანათლებლო სფეროში. სწავლების სამეწარმეო განათლებისადმი მიდგომა ფუნდამენტურად განსხვავდება სტუდენტების სწავლების ტრადიციული მიდგომისაგან და არა მხოლოდ ნაკლებად თეორიული და მეტი პრაქტიკულობის თვალსაზრისით სამეწარმეო განათლება გულისხმობს აქცენტს პიროვნული უნარების განვითარებაზე (და არა დისციპლინების ცოდნაზე), უფრო მოქნილ სასწავლო გეგმასა და პრაქტიკაზე ორიენტირებულ მიდგომას. მასწავლებლის როლი იცვლება ლექტორიდან დამრიგებლის/მენტორის როლისკენ.

დასკვნა

ამრიგად, მეწარმეობის სწავლების მთავარი მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, რომ სწავლების ყველა სუბიექტს ჰქონდეს საბაზო გაგება სწავლების იმ მიდგომის შესახებ, რომლის ცენტრშიც არის სტუდენტი, ასევე ჰქონდეს პრაქტიკული გამოცდილება ამ სფეროში, მეწარმეობისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და შეეძლოს მოახდინოს სტუდენტების ცოდნის, უნარ-ჩვევების ორიენტირება პრაქტიკული გამოყენებისკენ.

სამეწარმეო საქმიანობა არ არის მარტივი და მოითხოვს სერიოზულ და მიზანმიმართულ მიდგომას, საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების შეფასებას. საინტერესოა, რომ ბევრი

სპეციალისტი - ბიზნესის თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები დღემდე კამათობენ, იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ასწავლო ადამიანს მეწარმეობა. მაგრამ ყველა თანხმდება, რომ აუცილებელია „სამეწარმეო აზროვნების“ უნარები, სამყაროს ხედვის განსაკუთრებული ფორმა და ამ სამყაროში საკუთარი ადგილის გააზრება.ალბათ, თითოეული ჩვენგანი ინტუიციურად დაეთანხმება ამ დასკვნას, მაგრამ ყოველთვის ვერ ხსნის რას ნიშნავს ეს.

რაც შეეხება სამეწარმეო აზროვნებას, ის შეიძლება განხილული იქნეს, როგორც:

• ცხოვრებისეული მიზნების მკაფიო ხედვა და გაგება-მეწარმე ძირითადად აკეთებს იმას, რაც სურს და მოსწონს., ამასთან ახდენს ყველა არასასიამოვნო საქმის მინიმიზაციას.

• საკუთარი თავისთვის მუშაობის სურვილი - არა იმიტომ, რომ არ უნდა სხვისთვის მუშაობა არამედ იმიტომ, რომ მას უბრალოდ სურს იმუშაოს თავისთვის, სხვა ადამიანებზე დამოკიდებულების გარეშე.

• უნარი და სურვილი აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ ცხოვრებაზე, შემოსავალზე და სხვა მატერიალურ ფასეულობებზე და მათთან დაკავშირებულ სიამოვნებებზე

• ფულისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება - მეწარმე არ კანკალებს ყველა თეთრზე. მისთვის ფული არის მიზნების მიღწევის ინსტრუმენტი. ამიტომ, მას არ ეშინია მილიონიანი ინვესტიციის ჩადების და მისი დაკარგვის.

• .სიტყვა „ინვესტიციის“ პოზიტიური აღქმა - ის მას განიხილავს არა როგორც ხარჯს, არამედ როგორც დამატებით შესაძლებლობას. მეწარმეს ესმის, რომ წიგნის შეძენისას, თანხა კი არ დახარჯა, არამედ ინვესტიცია განახორციელა, რომ ტრენინგის შეძენა არის ინვესტიცია საკუთარ თავში, რომ ხარისხიანი საკვების მირთმევა არის ინვესტიცია საკუთარ ჯანმრთელობაზე და ა.შ.

• ნებისმიერი სიტუაციიდან სარგებლის მიღების უნარი - თუ სხვები ამბობენ, რომ ეს უბრალოდ არარეალურია, მაშინ ეს უბრალოდ ... სხვების აზრია.

• მეწარმეს უყვარს ექსპერიმენტები- ის სიამოვნებით იღებს სიახლეებს და შესაძლებლობებს, და ხელიდან არ უშვებს შანსებს.

• მეწარმეს აქვს უნარი სწრაფად იპოვოს საჭირო კავშირები, რესურსები, შესაძლებლობები საკუთარი საქმიანობის გარკვეული ეტაპის განსახორციელებლად, შეთანხმდეს მასთან, ვისთანაც შეუძლებელია შეთანხმება, მტკიცედ თქვას „არა“ არა იმიტომ, რომ დაკავებულია ან ზარმაცია, არამედ იმიტომ, რომ მას არ მოსწონს და არ ეთანხმება.

სავსებით შესაძლებელია სამეწარმეო აზროვნების განვითარება და ეს პროცესი უნდა დაეფუძნოს ადამიანის მეწარმედ ფორმირებას - თუ 100 ათასი არის ყველაზე დიდი ციფრი, რომელიც „ეტევა“ მეწარმის თავში, მაშინ მისი ბიზნესიც იგივე მასშტაბის იქნება. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იწყებს ფიქრს 100 მილიონიანი კატეგორიებით, ბიზნესიც მოუტანს შესაბამის უკუგებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.academia.edu/38623791/Innovation_and_entrepreneurship_Peter_F_Drucker

2. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32008H0506%2801%29

3. https://www.cairn.info/revue-de-l-entrepreneuriat-2009-2-page-57.htm

4. https://publications.jrc.ec.europa.eu/repository/handle/JRC96531

5. Entrepreneurship Theory and Practice, https://journals.sagepub.com/home/etp

SOME ASPECTS ABOUT ENTREPRENEURIAL SKILLS AND COMPETENCES LEARNING

Merab Mikelashvili,
Academic Doctor of Economics, Professor at Tbilisi Free Academy, Professor at Georgian Technical University
m.mikelashvili@gtu.ge,
mmikelashvili@freeacademy.edu.ge

RESUME

Nowadays, teaching entrepreneurship is important in terms of developing country's economics and forming entrepreneurial thinking among the society. The difference between entrepreneurial competence and adequacy must be considered, as well as defining entrepreneurial competences as being initiative and stringy.

The result of teaching entrepreneurship has two different meanings - it is considered as a skill of leading business, more widely - as a stringiness of an individual.

Human is an actualization of civilization, society and historical experience of profession, therefore the process of forming entrepreneurial thinking - universal skill - should be considered through this lens.

The Entrepreneurial work is not easy, it demands a purposeful approach, assessment of individual possibilities and skills. Lots of business theorists and practicists still argue about whether it's possible to teach someone entrepreneurship or not. Everybody agrees that possessing the entrepreneurial skills is very important, but cannot define what it means.

The Entrepreneurial thinking can be reviewed as:

- The Vivid vision and understanding of life goals - an entrepreneur mostly does what he wants and likes and minimizes almost every unpleasant work.

● Desire to work for yourself - strong will to work without dependence on others.

● Abillity and desire to take responsibility on his personal life, income and other material pleasures.

● Particular attitude towards money - for entrepreneurs, money is not an instrument of fulfilling goals. Therefore, they're not afraid of investing millions.

The Positive perception of the word "investition" - entrepreneur sees investments not as an expense, but as the additional possibility. He knows that he doesn't waste money in books or trainings, but investing in himself.

The ability to gain from every situation - if others are saying that it's not real, then it's just an opinion of others.

The Entrepreneurs love experiments - he's open to the new things and possibilities and uses chances.

The Entrepreneur is able to find necessary contacts, resources, possibilities fast. Dealing with those who are difficult to be dealt with, to say a firm "no" if he doesn't agree with something. Developing entrepreneurial thinking is very real and this process should be based on human's formation into an entrepreneur - if 100,000 is the biggest number for him, then his business will be of this scale. And when he starts thinking with 100 Million categories, the business will profit him accordingly.

Keywords: entrepreneurship, entrepreneurial competences, entrepreneurial skills, teaching entrepreneurship, entrepreneurial thinking.

ნაყარი ტვირთების საზღვაო გადაზიდვების ინდუსტრია

DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-70

ბაგრატ დევაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ბათუმის
საზღვაო აკადემიის ასოცირებული პროფესორი
bagratdevadze267@gmail.com

რეზიუმე

ნაყარი ტვირთი გადაიზიდება დიდი ზომის პარსელებით ტრანსპორტირების ხარჯების შემცირების მიზნით გადასაზიდი ტვირთის ერთეულზე გაანგარიშებით. მისი ძირითადი კატეგორიებია: თხევადი ტვირთი, მშრალი ნაყარი ტვირთი და სპეციალური ნაყარი ტვირთი.

ნაყარი ტვირთის საზღვაო გზით გადამზიდავი გემების ფლოტის დედვეიტი 1990-2020 წლებში გაიზარდა 3.4-ჯერ. მშრალმზიდ გემებზე მოდის აღნიშნული ფლოტის 55% და მათი დედვეიტი იგივე პერიოდში გაიზარდა 4.4-ჯერ. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტანკერებზე მოდის დედვეიტის 37% და მათი დედვეიტი გაიზარდა 2.4-ჯერ.

ტანკერების ტონაჟის ძირითადი ნაწილი(98%-ზე მეტი) მოდის VLCC, Suezmax და Aframax-ის ტიპის გემებზე. აქედან 60% შეადგენს 200 ათ. Dwt მეტი ზომის ტანკერები.ნავთობისა ტანკერების ფრახტის ბაზარი 2002-2019 წლებში ხასიათდებოდა ცვალებადობის მაღალი დონით. VLCC ტიპის ტანკერის ტაიმ-ჩარტერის ექვივალენტი 2002-2019 წლებში მერყეობდა 8.7-95.2 ათ.$-ის ფარგლებში. ნავთობის ტანკერების სხვა ზომით კატე-

გორიებში ტაიმ-ჩარტერის განაკვეთების ცვალებადობა ანალოგიური იყო.

ნავთობპროდუქტების ტანკერების ტონაჟის ძირითადი ნაწილი (90%-ზე მეტი) მოდის LR2, LR1 და MR2-ის ტიპის გემებზე. აქედან 43%-ს შეადგენს LR2 ტანკერები. ფრახტის ბაზრის ეს სეგმენტიც მეტად ცვალებადი იყო. LR2 ტიპის ტანკერის ტაიმ-ჩარტერის ექვივალენტი 2011-2019 წლებში მერყეობდა 7.5-28.8 ათ.$-ის ფარგლებში.

მშრალმზიდი გემების ტონაჟის ძირითადი ნაწილი(69%-ზე მეტი) მოდის Capesize, Panamax და Supramax-ის ტიპის გემებზე. ფრახტის ბაზრის ეს სეგმენტი ბოლო წლებში იყო დაქვეთებული და მეტად ცვალებადი. Capesize-ის ტიპის გემის ტაიმ-ჩარტერის ექვივალენტი 2011-2019 წლებში მერყეობდა 3.5-30.8 ათ.$-ის ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: ნაყარი ტვირთი, ნავთობის ტანკერი, მშრალმზიდი გემი, გაზის ტანკერი, ქიმიური ტანკერი, ტაიმ-ჩარტერის ექვივალენტი.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

ნაყარი ტვირთი (bulk cargo) გადაიზიდება დიდი ზომის პარსელებით ტრანსპორტირების ხარჯების შემცირების მიზნით გადასაზიდი ტვირთის ერთეულზე გაანგარიშებით. მისი ძირითადი კატეგორიებია: 1. თხევადი ტვირთი, რომელიც ტანკერებით გადაიზიდება; 2. მშრალი ნაყარი ტვირთი; 3. სპეციალური ნაყარი ტვირთი დატვირთვა-გადმოტვირთვის და შენახვის განსაკუთრებული მოთხოვნებით.

ნაყარი ტვირთის საზღვაო გზით გადამზიდავი გემების ფლოტის დედვეიტი 1990-2020 წლებში გაიზარდა 3.4-ჯერ(ცხრილი 1). მშრალმზიდ გემებზე მოდის აღნიშნული ფლოტის 55% და მათი დედვეიტი იგივე პერიოდში გაიზარდა 4.4-ჯერ. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტანკერებზე მოდის დედვეიტის 37% და მათი დედვეიტი გაიზარდა 2.4-ჯერ.

ცხრილი 1. ნაყარი ტვირთის გადამზიდავი ფლოტი (ტონაჟი, მლნ. დედვეიტი)

	1990	1995	2000	2005	2010	2015	2020
ნავთობისა და ნავთობ-პროდუქტების ტანკერები	247	266	282	336	450	489	601
მშრალმზიდი გემები	201	227	276	320	457	761	879
გაზის ტანკერები	11	14	17	22	41	49	73
ქიმიური ტანკერები	6	8	8	8	7	42	47
სულ	465	515	583	686	955	1341	1600

წყარო: UNCTAD Review of Maritime Transport. 1990-2020

ნავთობის ტანკერების ფლოტი შეიძლება დაიყოს 6 სეგმენტად: Handy (10-40 ათ. dwt), Handymax(40-55 ათ. dwt), Panamax (55-80 ათ. dwt), Aframax (80-120 ათ. dwt), Suezmax (120-200 ათ. dwt), VLCC(ULCC) (200 ათ. Dwt-ზე მეტი). ტონაჟის ძირითადი ნაწილი(98%-ზე მეტი) მოდის VLCC, Suezmax და Aframax-ის ტიპის გემებზე. აქედან 60% შეადგენს 200 ათ. Dwt მეტი ზომის ტანკერები (ცხრილი 2).

ცხრილი 2. ნავთობის ტანკერების ფლოტი 2020 წლის 1 იანვრის მონაცემებით

გემის ტიპი	გემის ზომა ათ. dwt	რაოდენობა	%	მლნ. dwt	%
VLCC(ULCC)	200+	810	36.7	249.6	59.6
Suezmax	120-200	571	25.8	89.1	21.3
Aframax	80-120	668	30.2	72.9	17.4
Panamax	55-80	78	3.5	5.4	1.3
Handymax	40-55	17	0.8	0.7	0.2
Handy	10-40	63	1.2	1.2	0.3
სულ		2210	100	418,9	100

https://www.crsl.com/acatalog/oil-and-tanker-trade-outlook.html

დიდი ტანკერების წყალწვა ზღუდავს მათ გამოყენებას მთელ რიგ საზღვაო ტრასებზე. პირველ რიგში ეს ეხება სუეცის არხს, რომლის სიღრმე 1975 წლის დაღრმავების შედეგად შეადგენს 16.2 მეტრს. იგი იძლევა 150 ათას dwt-მდე გემების დატვირთული ან მეტი ზომის გემების ბალასტით გავლის საშუალებას. წყალწყვის შეზღუდვები ეხება აგრეთვე პანამის არხს (11.3 მეტრი), დოვერის და მალასას სრუტეებს.

ნავთობის ტანკერების ფრახტის ბაზარი 2002-2019 წლებში ხასიათდებოდა ცვალებადობის მაღალი დონით. VLCC ტიპის ტანკერის ტაიმ-ჩარტერის ექვივალენტი 2002-2004 წლებში გაიზარდა 21.7 ათ.$-დან 95 ათ.$-მდე, 2007 წლისათვის შემცირდა 45 ათ.$-მდე, 2008 წელს მიაღწია 89 ათ.$-ს. შემდგომ წლებში ნავთობის ფასებისა და ბაზრის არასტაბილურობის გამო იგი შემცირდა(8,7 ათას $-მდეც), 2019 წელს კი შეადგინა 42,2 ათ.$. ნავთობის ტანკერების სხვა ზომით კატეგორიებში ტაიმ-ჩარტერის განაკვეთების ცვალებადობა ანალოგიური იყო.Suezmax-ის ტიპის ტანკერის შემთხვევაში იგი მერყეობდა 10-52 ათ.$-ის ფარგლებში, Aframax–ის ტიპის ტანკერის 7-56 ათ.$, Panamax-ის ტიპის ტანკერისა კი 7-42 ათ.$-ის ფარგლებში.

ნავთობპროდუქტების ტანკერების ტონაჟის ძირითადი ნაწილი (90%-ზე მეტი) მოდის LR2, LR1 და MR2-ის ტიპის გემებზე. აქედან 43%-ს შეადგენს LR2 ტანკერები(ცხრილი 3).

ცხრილი 3. ნავთობპროდუქტების ტანკერების ფლოტი 2020 წლის 1 იანვრის მონაცემებით

გემის ტიპი	გემის ზომა ათ. dwt	რაოდ.	%	მლნ. dwt	%
ნავთობპროდუქტების ტანკერები		1446	100	96,3	100
მ.შ.: - LR3	120-200	20	1,4	3,2	3,3
- LR2	80-120	376	26,0	41,2	42,8
- LR1	55-80	346	23,9	25,4	26,4
- MR2	40-55	431	29,8	20,3	21,1
- MR1	25-40	115	8,0	3,9	4,0

- Handy	10-25	158	10,9	2,3	2,4
ნავთობპროდუქტები/ ქიმიური		1534	100	70,8	100
- LR2	80-120	3	0,2	3,2	1,9
- LR1	55-80	32	2,1	2,4	3,3
- MR2	40-55	1169	76,2	56,6	80,0
- MR1	25-40	293	19,1	10,9	15,5
- Handy	10-25	37	2,4	0,6	0,8

https://www.crsl.com/acatalog/oil-and-tanker-trade-outlook.html

ნავთობპროდუქტების ტანკერების ფრახტის ბაზარი 2011-2019 წლებში ხასიათდებოდა ცვალებადობის მაღალი დონით. LR2 ტიპის ტანკერის ტაიმ-ჩარტერის განაკვეთები 2011-2015 წლებში გაიზარდა 7.5 ათ.$-დან 28.8 ათ.$-მდე, 2017 წლისათვის შემცირდა 7.9 ათ.$-მდე, 2019 წელს კი შეადგინა 18.8 ათ.$. სხვა ზომით კატეგორიებში ტაიმ-ჩარტერის განაკვეთების ცვალებადობა ანალოგიური იყო. LR1-ის ტიპის ტანკერის შემთხვევაში იგი მერყეობდა 3.7-23.7 ათ.$-ის ფარგლებში, MR2–ის ტიპის ტანკერის 6.2-18.8 ათ.$ ფარგლებში.

მშრალი ნაყარი ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ბაზარზე ძირითადი ყურადღება გამახვილებულია იაფ ტრანსპორტზე. ეს ფლოტი იყოფა 6 ძირითად ჯგუფად:

1. Small ანუ Mini-bulk - მცირე ზომითი კატეგორია(10 ათას დედვეიტამდე). ისინი გადაზიდავენ 500-დან 2500 ტონამდე ტვირთს, აქვთ ერთმაგი კორპუსი და გამოიყენება სამდინარო ტრანსპორტში. ისინი შენდება ხიდების ქვეშ გავლის შესაძლებლობით, ეკიპაჟის რაოდენობა შეადგენს 3-8 კაცს;

Handysize და Handymax-ის ტიპის გემებს აქვთ უნივერსალური დანიშნულება. გემების ეს ორი სეგმენტი წარმოადგენს 10 ათას დედვეიტზე მეტი ზომის კატეგორიას, მათზე მოდის მშრალმზიდი გემების რაოდენობის 77% და ახასიათებს ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი. ნაწილობრივ ეს დაკავშირებულია ახალი წესების ძალაში შესვლასთან, რომლებიც ადგენენ მნიშვნელოვან შეზღუდვებს უფრო დიდი ზომის გემების მშენებლო-

ბაზე. Handymax-ის ტიპის გემებს აქვთ 150-200 მეტრი სიგრძე, 52-58 ათასი დედვეიტი, ხუთი სატვირთო ტრიუმი და ოთხი გემბანის ამწე.

Panamax-ის ტიპის გემები შეზღუდული არიან პანამის არხის რაბების ზომებით, რომლებშიც შეიძლება მოთავსდეს 32.31 მეტრის სიგანის, 294.13 მეტრი საერთო სიგრძის და 12,04 წყალწყვის გემები.

Capesize-ის ტიპის გემები თავისი ზომების გამო ვერ გაივლიან პანამის არხს და წყნარი ოკეანიდან ატლანტის ოკეანეში გადასავლელად უნდა შემოუარონ ჰორნის კონცხს. ადრე ამ ტიპის გემები ვერ გადიოდნენ სუეცის არხში. სუეცის არხის ბოლოდროინდელი დაღრმავების შედეგად 66 ფუთამდე (20 მეტრი) არხით სარგებლობის საშუალება მიეცა ამ ტიპის გემების უმეტესობას. capesize-ის ტიპის გემების 93 % სპეციალიზდება რკინის მადნისა და ქვანახშირის გადაზიდვებზე.

very large ტიპის მშრალმზიდები და მადანმზიდები შედიან capesize-ის ჯგუფში, მაგრამ განიხილება ცალკე.

მშრალმზიდი გემების ზომითი კატეგორიები რეგიონების მიხედვით:

Kamsarmax განეკუთვნება Panamax-ზე დიდი ზომის ახალი ტიპის გემებს, რომლებიც მიესადაგება პორტ Kamsar-ში (გვინეა) გამოყენებას, სადაც ბოქსიტების დასატვირთი ტერმინალი შეზღუდულია 229 მეტრით.

Newcastlemax, - მაქსიმალური სიგანე 50 მეტრი, მაქსიმალური სიგრძე 300 მეტრი, დედვეიტი 185 ათასი ტონა-განეკუთვნება უმსხვილესი გემების ტიპს, რომლებსაც შეუძლიათ შევიდნენ Newcastle-ის პორტში(ავსტრალია).

Setouchmax – 203 ათასი დედვეიტი. განეკუთვნება უმსხვილესი გემების ტიპს, რომლებსაც შეუძლიათ ნაოსნობა Setouchi-ს ზღვაში(იაპონია).

Seawaymax - სიგრძე 226 მეტრი, წყალწყვა 7.92 მეტრი-განეკუთვნება უმსხვილესი გემების ტიპს, რომლებსაც შეუძლიათ მოთავსდნენ St. Lawrence Seaway- ის არხის რაბებში (კანადა, დიდი ტბები).

Malaccamax - სიგრძე 330 მეტრი, წყალწყვა 20 მეტრი, დედვეიტი 300 ათასი ტონა. განეკუთვნება უმსხვილესი გემების ტიპს, რომლებსაც შეუძლიათ გაიარონ მალაკას არხი.

Dunkirkmax - მაქსიმალურად დასაშვები სიგანე 45 მეტრი, მაქსიმალური სიგრძე 289 მეტრი, დედვეიტი 175 ათასი ტონა პორტ დიუნკერკის(საფრანგეთი) აღმოსავლეთ ნავმისადგომისათვის.

ცხრილი 4. მშრალმზიდი გემების ზომითი კატეგორიები 2020 წლის 1 იანვრის მონაცემებით

გემის ტიპი	გემის ზომა ათ. dwt	რაოდენობა	%	მლნ. dwt	%
Handysize	10-40	1558	13.4	23.1	2.7
Handymax	40-50	2451	21.2	110.3	13.1
Supramax	50-60	3258	28.2	179.2	21.3
Panamax	70-80	2138	18.5	160.3	19.0
Post-Panamax	90-100	566	4.9	53.8	6.4
Capesize	160 -200	1347	11.7	242.5	28.8
VLOC	200-400	244	2.1	73.2	8.8
სულ		11562	100	842.4	100

წყარო: Bulk Carrier Register; Clarkson Research Studies

Valemax-ის ტიპის მადანზიდი გემები წარმოადგენენ very large ჯგუფს, ეკუთვნიან ან დაფრახტული არიან ბრზილიის სამთომომპოვებელი კომპანიის Vale S.A-ს მიერ რკინის მადნის გადაზიდვებისათვის ბრაზილიიდან ევროპისა და აზიის პორტებში. 380-400 ათასი ტონა დედვეიტით ისინი წარმოადგენენ ყველაზე დიდი ზომის(სიგრძით და დედვეიტით) მშრალმზიდ გემებს. მათი მშენებლობა დაიწყო 2011 წელს. 2020 წლისათვის მათი რაოდენობა შეადგენს 66-ს.

მშრალმზიდი გემების ტონაჟის ძირითადი ნაწილი(69%-ზე მეტი) მოდის Capesize, Panamax და Supramax-ის ტიპის გემებზე.

ფრახტის ბაზრის ეს სეგმენტი ბოლო წლებში იყო დაქვეთებული და მეტად ცვალებადი. Capesize-ის ტიპის გემის ტაიმ-ჩარტერის განაკვეთები 2011-2019 წლებში მერყეობდა 3.5-30.8 ათ.$-ის ფარგლებში.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. UNCTAD Review of Maritime Transport, 1995–2020
2. Clarksons Research (2019e).Oil and Tanker Trade Outlook. 2020.
3. Bulk Carrier Register. 2020.
4. Drewry Maritime Research 2020.

BULK CARGO MARINE TRANSPORTATION INDUSTRY

Bagrat Devadze
Academic Doctor of Economics,
Associate Professor of Batumi Sea Maritime Academy
bagratdevadze267@gmail.com

RESUME

Bulk cargo is being transported in large parcels to reduce transportation cost calculated per unit of cargo. Its main categories are: liquid cargo, dry bulk cargo and special bulk cargo.

The deadweight of the fleet of ships carrying bulk cargo by sea increased 3.4 times in 1990-2020. Dry carriers account for 55% of the fleet and their deadweight increased 4.4 times during the same period. The Oil and oil products tankers account for 37% of the deadweights which has been increased by 2.4 times.

The majority of the oil tanker tonnage (over 98%) comes from VLCC, Suezmax and Aframax type vessels. 60% of this is 200

thousands tankers sized more than dwt. The oil tanker freight market in 2002-2019 was characterized by a high level of volatility. VLCC tanker time-charter equivalent ranged from $ 8.7-95.2 thousand in 2002-2019. The variability of time-charter rates in other oil tanker categories was similar.

The major part of the tonnage of product tankers (more than 90%) is derived from from LR2, LR1 and MR2 type of vessels. 43% of these are LR2 tankers. This segment of the freight market was also highly variable. LR2 tanker time-charter equivalent ranged from $ 7.5-28.8 thousand in 2011-2019 years.

The main part of the tonnage of dry cargo vessels (over 69%) comes from Capesize, Panamax and Supramax type vessels. This segment of the freight market has been declining and highly volatile in recent years. The capesize-type ship time charter equivalent ranged from $ 3.5-30.8 thousands in 2011-2019.

Keywords: bulk cargo, oil tanker, bulk carrier, gas carrier, chemical tanker, time charter equivalent.

მყარი ნარჩენების გადამუშავების საკითხები საქართველოში

DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-79

ლევან გოგოძე
სტუ-ს დოქტორანტი
Ananokobidze@gmail.com

რეზიუმე

საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელისმოწერით ბევრი ვალდებულება აიღო, რომელთა შორის, ნარჩენების მართვის ეფექტური პროგრამის შემუშავებაც არის. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა, უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ნარჩენების მართვა, ნაგავსაყრელები, მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მართვა, ნარჩენების ნაგებობების იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია, ურბანული ნარჩენი წყლების გაწმენდა და სხვა.

ნაგავსაყრელებისა და ნაგავგადამამუშავებელი ქარხნების არარსებობა-გაუმართაობა, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დღეს საქართველოში. ქვეყანაში არ არსებობს ნაგავსაყრელების ეფექტური სისტემა, რომელიც დაფარავს ქვეყნის მთელს ტერიტორიას და მოახდენს ნარჩენების ეფექტურ თავმოყრას. არსებული ნაგავსაყრელები ვერ აკმაყოფილებენ აღნიშნულ სფეროში მინიმალურ სტანდარტებს. ასევე, არ არსებობს ნაგავგადამამამუშავებელი ქარხნების ეფექტური ქსელი, რომელიც მოახდენს ნაგვის გადამუშავებას. არსებული ქარხნები კი არ არის საკმარისი და არც გამოირჩევიან გადამუშავების მასშტაბებით, ემსახურებიან ცალკეულ ნარჩენებს და ისიც მცირე ოდენობით, ცალკეულ რეგიონებში.

საკვანძო სიტყვები: მყარი ნარჩენები, ნაგავგადამამუშავებელი ქარხნები, საყოფაცხოვრებო ნარჩენები, სამედიცინო ნარჩენები, ბიოლოგიური ნარჩენები, სამრეწველო ნარჩენები

ძირითადი ტექსტი

არსებობს ოთხი სახის ნარჩენი: საყოფაცხოვრებო ნარჩენები; სამედიცინო ნარჩენები; ბიოლოგიური ნარჩენები და სამრეწველო ნარჩენები. თითოეული სახის ნარჩენებს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს გარემოს. განსაკუთრებით საშიშია სამედიცინო და სამრეწველო ნარჩენები. საქართველოში დაახლოებით 5-10 ათასი ტონა სამედიცინო ნარჩენი წარმოიქმნება. აქედან 1,2-1,8 ათასი ტონა სახიფათო ნარჩენია. მარტო თბილისში წლიურად სულ ცოტა 100 ათასი ტონა სამრეწველო ნარჩენი წარმოიქმნება, მათ შორის 6 ათას ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენია. ჩვენი ქვეყნისთვის წლების განმავლობაში გადაუჭრელ პრობლემად იქცა ნარჩენები, რომლებიც მიმოფანტულია სპეციალურ და ხელოვნურ ნაგავსაყრელებზე. პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა იმ რეგიონებში, სადაც არ არსებობს ნაგავსაყრელები, სპეციალურად მსგავსი დანიშნულებით. სახელმწიფოს მიერ შექმნილი ნაგავსაყრელები დაახლოებით 60-ია ქვეყანაში. ამის პარალელურად არსებობს უამრავი ხელოვნურად შექმნილი ნაგავსაყრელი, რომელიც თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტთან გვხვდება. მოსახლეობის მიერ ნაგავსაყრელების თვითნებურად შექმნის პრაქტიკა მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში არ არსებობს ნაგავსაყრელების მოწესრიგებული სისტემა, მასთან დაკავშირებული ეფექტური მომსახურება, რომელიც მოიცავს დასახლებული პუნქტების ნაგვის ურნებით მომარაგებას და დასუფთავების სისტემის შექმნას. საქართველოში წლების განმავლობაში არ არსებობდა რეგულაციები და ერთიანი მყარი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მართვის ეფექტურობას და დაარეგულირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ნაგავსაყრელების პრობლემას. აღსანიშნავია ისიც, რომ „არალეგალური“ ნაგავსაყრელების გარდა, პრობლემაა ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ შექმნილი ნაგავსაყრელების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა მიღებული, მაშინ როცა ნარჩენების გადამუშავება/განთავსებასთან დაკავშირებული საქმიანობები საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას და გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. გა-

ნვითარებადი ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც მყარი ნარჩენების მართვა ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის გამოწვევებს, ფინანსურ და გარემოსდაცვით პრობლემებს უკავშირდება. მუნიციპალურ დონეზე ნაკლებია ნარჩენების დაგეგმვის შესაძლებლობები და გამოცდილება. მცირე ზომის ქალაქებსა და სასოფლო დასახლებებში არ არის საკმარისი რაოდენობით ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერები და ნაგავმზიდი მანქანები. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, მზარდია წარმოქმნილი და შეგროვებული ნარჩენების რაოდენობა. თუ 2015 წელს ქვეყანაში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა დაახლოებით 900 000 ტონა იყო – საიდანაც დაახლოებით 700 ათასი ტონა ოფიციალურ ნაგავსაყრელებზე განთავსდა, 2017 წლის მონაცემებით ნაგავსაყრელებზე განთავსდა 963 318 ტონა მუნიციპალური ნარჩენი. ექსპერტული შეფასებით, ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები განსხვავებულია რაოდენობისა და შემადგენლობის მიხედვით და მერყეობს 100-280 კგ/სულზე წელიწადში. ცხადია, ყველაზე დიდი რაოდენობით ნარჩენი წარმოიქმნება ერთ სულ მოსახლეზე დედაქალაქში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების მნიშვნელოვან ნაწილს ორგანული ნარჩენი შეადგენს.

ეკონომიკის განვითარებასთან ერთად პლასტმასის ნარჩენების პრობლემაც იზრდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციის, უკვე წარმოქმნილის სეპარაციის და რეციკლირების მიმართულებით ეფექტიანი რეგულაციების შემუშავება. ასევე, მნიშვნელოვანია, შესაბამისი ვალდებულებები დაეკისროს კერძო სექტორს, რომელიც პლასტმასის საწარმოო ჯაჭვში ყველაზე მსხვილი მოთამაშეა. ოქსოდეგრადირებადი და 15 მიკრონზე ნაკლები სისქის ცელოფანის პარკების წარმოების, იმპორტისა და რეალიზაციის აკრძალვა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო პლასტმასით გამოწვეული ზიანის შესამცირებლად. 2019 წლიდან ქართულ ბაზარზე მხოლოდ ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკები დაიშვება. პლასტმასის ნაწარმის წარმოება ეკონომი-

კის მზარდი დარგია და დღეისათვის მთლიანად იმპორტირებული ნედლეულით ხდება. იმპორტი დივერსიფიცირებულია და ნაწილდება თურქეთს, ჩინეთს, რუსეთს, აზერბაიჯანსა და ევროპის სხვა ქვეყნებს შორის. წარმოება მოიცავს სხვადასხვა ტიპის პლასტმასის შესაფუთი მასალების, პოლიეთილენის პარკების, ლენტების, ბოთლების, კაფსულების, საყოფაცხოვრებო პლასტმასის ნაწარმის, ფილების, ფურცლების, მილებისა და პროფილების წარმოებას. პლასტმასის საწარმოებელი ნედლეულის გარდა, შემოდის მზა ნაწარმიც. ყველაზე დიდი რაოდენობით პლასტმასის მილები, მილაკები, შლანგები და შესაფუთი მასალა იმპორტირდება.

პლასტმასის წარმოებამ 2018 წელს 357 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქცია შექმნა და ის წინა წლებთან მიმართებით 10%-ით გაიზარდა. 2009-2018 წლებში პლასტმასის პროდუქციის წარმოების (პირველადი ნედლეულიდან და ნარჩენებიდან) სექტორი საშუალოდ წლიური 7%-ით იზრდებოდა და ბაზარზე უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს. სამწუხაროდ, სტატისტიკურ მონაცემებში რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის წარმოება გამიჯნული არ არის და უფრო ზუსტ მონაცემებზე ხელი არ მიგვიწვდება. საქართველოში პლასტმასის ტარის წარმოების განვითარება (PET ბოთლებისა და მრავალი ტიპის შესაფუთი მასალის) ძირითადად განპირობებულია ქვეყანაში კარგად განვითარებული ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, გაზიანი, მინერალური და სასმელი წყლის წარმოებით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ქვეყნიდან პლასტმასის ნაწარმის ექსპორტის მნიშვნელოვან ნაწილს. ექსპორტი მზარდია წლიდან წლამდე. საქართველოდან ხდება მცირე რაოდენობის პლასტმასის ნარჩენების ექსპორტიც (ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა 2013 წელს – 721 ტონა). იმპორტი თანხობრივად დაახლოებით 14-ჯერ აღემატება აღნიშნული პროდუქციის ადგილობრივ წარმოებას.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, იმპორტირებული ერთი კილოგრამი პოლიეთილენის ფასი 2009-2015 წლებში 1.3-დან 1.87 აშშ დოლარამდე მერყეობდა, მაშინ როდესაც პოლიე-

თილენის ნარჩენების საექსპორტო ფასი ამავე პერიოდში მხოლოდ 0.24-დან 0.54 აშშ დოლარის დიაპაზონში იყო. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა ტიპის პლასტმასის შესაფუთი მასალების – როგორიცაა პარკები, PET-ბოთლები – სასიცოცხლო ციკლი შედარებით ხანმოკლეა და გამოყენების შემდეგ ნარჩენად გარდაიქმნება, მათი გადამუშავება შეიძლება ფინანსურად მოგებიანი იყოს მეწარმეებისათვის. თუ გავითვალისწინებთ ნარჩენებში პლასტმასის ფრაქციის მნიშვნელოვან რაოდენობას, პირველად იმპორტირებულ ნედლეულსა და ადგილობრივ ფასებს შორის განსხვავებას – ქვეყანაში ნარჩენების გადამამუშავებელი ხარჯთეფექტური წარმოების შექმნის შესაძლებლობა რეალურია.

თუმცა ნარჩენების სეპარაციის გამართული სისტემის არარსებობა, ერთი მხრივ, ართულებს და უფრო ხარჯიანს ქმნის პლასტმასის ნარჩენების შეგროვებას, ხოლო მეორე მხრივ, ზრდის ისეთი ნარჩენების რაოდენობას, რომლებიც დაბინძურებულია სხვადასხვა ტიპის ცხოველური ცხიმებით და საჭიროებს დამატებით ხარჯებს წინასწარი დამუშავებისათვის, შემდგომი გადამუშავების მიზნით.დღეისათვის პლასტმასის გადამუშავების სფეროში მოქმედი 10-ზე მეტი კომპანია პლასტმასის ნარჩენებს ახარისხებს, ნაწილებად აქუცმაცებს და/ან პელეტებად გარდაქმნის. კომპანიების ნაწილი ასევე ამუშავებს მეორად ნედლეულს, როგორც პოლიეთილენის პარკების, ასევე სხვადასხვა სამშენებლო და საყოფაცხოვრებო პროდუქციის საწარმოებლად. თუმცა, მეწარმეების დიდი ნაწილისთვის პლასტმასის ნარჩენების დაპრესვა და ექსპორტირება უცხოეთში რეციკლირების მიზნით, უფრო მოგებიანია.

მთელი ბაზრის დაახლოებით 65% შეადგენს იმპორტირებული პლასტმასის პროდუქციას და მეწარმემ უნდა შეძლოს უფრო გამოცდილი, იმპორტიორი საწარმოსთვის კონკურენციის გაწევა, როგორც ხარისხობრივად, ისე ფასით. 1 ტონა პლასტმასის ბოთლების ფასი 200-დან 500 ლარამდე მერყეობს. შერეული პლასტმასის ნარჩენები100 ლარზე ნაკლები ღირებულებისაა. ამიტომ, კომპანიების ნაწილს ურჩევნია, მიიღოს

ცალ-ცალკე შეგროვებული ბოთლები, პლასტმასის ნარჩენები, საწარმოო ნარჩენები პლასტმასის მწარმოებელი ქარხნებიდან და შემდეგ თავად დაახარისხოს ქვეკატეგორიებად (მაგ. PE- ბოთლები, PET-ბოთლები). ამ გზით ისინი ბაზრის მოთხოვნების ხშირ ცვლილებებზე მორგებას შეძლებენ. კომპანიების უმეტესობა დაბალ სიმძლავრეებზე მუშაობს, თუმცა შეუძლიათ ადვილად გაუმკლავდნენ მეტი მოცულობის მასალებს მათი პროცესების სიმარტივის გამო. ზოგიერთ კომპანიას უკვე შემოაქვს პლასტიკი, მაგალითად, გერმანიიდან. ნარჩენებიდან პლასტმასის სორტირების მხოლოდ ერთი საწარმო ფუნქციონირებს რუსთავის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე. საწარმოში, ნაგავსაყრელზე განთავსებამდე, რეციკლირებადი მასალების პლასტმასისა და ქაღალდის ფრაქციებს მანუალურად (ხელით) გამოაცალკევებენ შერეული საყოფაცხოვრებო ნარჩენებიდან. საწარმო დღეში 10 საათის განმავლობაში, 12 თანამშრომლით უმკლავდება 120 ტონის ოდენობის ნარჩენს. საწარმოდან მიღებული პლასტმასისა და ქაღალდის წლიური რაოდენობა 200-250 ტონას არ აჭარბებს; შერეული ნარჩენებიდან სორტირებული რეციკლირებადი ნარჩენების ხარისხი საკმაოდ დაბალია. რეციკლირებადი მასალების გაყიდვიდან მიღებული წლიური შემოსავალი ხელფასების ხარჯს ვერ ფარავს.

ამგვარად, ბოლო წლებში სიტუაციის გამოსწორების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა: თბილისსა და რეგიონებში შეიქმნა ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ნარჩენების გარემოსა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოდ განთავსების სისტემა. უკვე დაწყებულია მუშაობა ახალი ნაგავსაყრელების მოსაწყობად. ნარჩენების მართვის კოდექსმა, თანმხლებმა კანონქვემდებარე აქტებმა, „ნარჩენების მართვის ეროვნულმა სტრატეგიამ (2016-2030)" და „ნარჩენების მართვის ეროვნულმა სამოქმედო გეგმამ" სასურველი კურსი, საქართველო გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა, გამოკვეთა. პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, საკითხში ჩახედული ექსპერტების მიხედვით, ამ მიზნის მისაღწევად ქვეყანას ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გა-

სავლელი. განსაკუთრებულ გამოწვევას რამდენიმე ფაქტორი წარმოადგენს: 1. შესამუშავებელია ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის წამახალისებელი მექანიზმები; 2. უნდა გაჩნდნენ ან გაძლიერდნენ ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიები; 3. შესამუშავებელია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯების ამოღების ეფექტიანი მექანიზმები (როგორც მოქალაქეების, ისე კომპანიების შემთხვევაში); 4. უნდა დაინერგოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, რაც გულისხმობს პროდუქციის მწარმოებლის და/ან იმპორტიორის მიერ პასუხისმგებლობის აღებას ადამიანისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო სპეციფიკური ნარჩენების შეგროვებასა და დამუშავებაზე.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. ნარჩენების მართვის კოდექსის კანონპროექტი, 2014. ;

2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014, „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“, მერვე გამოცემა;

3. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, 2014, „გარემო და საზოგადოება“, პერიოდული გამოცემა, №1(24).

4. Cleanup Georgia, 2012, “Report on Municipal Solid Waste Management in Georgia”.

5. European Environment Agency, 2013, “Municipal Waste Management in Germany”.

6. Milios, Leonidas, Christian Fisher, and Andrea Rispo, 2014, “How Existing Municipal Solid Waste Data in ENPI East Countries Can Be Used for the Development of Waste Indicators”.

7. Ministry of Environment of Japan, 2012, “Solid Waste Management and Recycling Technology in Japan”.

8. https://ge.boell.org/ka/2020/06/25/narchenebis-martva-sakartveloshi

9. https://www.boell.de/en

REFERENCES:

1. Draft Waste Management Code, 2014;
2. National Statistics Office of Georgia, 2014, "Administrative-Territorial Division of Georgia", eighth edition.);
3. Georgian Green Movement, 2014, "Environment and Society", periodical, №1 (24).
4. Cleanup Georgia, 2012, "Report on Municipal Solid Waste Management in Georgia".
5. European Environment Agency, 2013, "Municipal Waste Management in Germany".
6. Milios, Leonidas, Christian Fisher, and Andrea Rispo, 2014, "How Existing Municipal Solid Waste Data in ENPI East Countries Can Be Used for the Development of Waste Indicators".
7. Ministry of Environment of Japan, 2012, "Solid Waste Management and Recycling Technology in Japan".
8. https://ge.boell.org/ka/2020/06/25/narchenebis-martva-sakartveloshi
9. https://www.boell.de/en

SOLID WASTE RECYCLING ISSUES IN GEORGIA

Levan Gogodze
PhD Student GTU,
Ananokobidze@gmail.com

RESUME

Georgia has made many commitments by signing the Association Agreement with the European Union, including the development of an effective waste management program. Waste management policies should include issues such as: waste management, landfills, identification and classification of waste facilities, urban wastewater treatment and more.

There are four types of waste: household waste; Medical waste; Biological waste and industrial waste. Each type of waste can cause

great harm to the environment. The medical and industrial waste are especially dangerous. About 5-10 thousand tons of medical waste are generated in Georgia. There is less waste planning opportunities and experience at the municipal level. In small towns and rural settlements, there are not enough garbage collection containers and garbage trucks. With the economic development of the country, the amount of waste generated and collected is increasing.

Like developing countries, solid waste management in Georgia is associated with challenges of national, regional and local importance, as well as financial and environmental problems. The important steps have been taken in recent years to rectify the situation: a system for the safe disposal of municipal waste in a landfill environment and health has been established in Tbilisi and the regions.

There is less waste planning opportunities and experience at the municipal level. In small towns and rural settlements, there are not enough garbage collection containers and garbage trucks. With the economic development of the country, the amount of waste generated and collected is increasing.

The Work has already begun on arranging new landfills. The Waste Management Code, accompanying by-laws, the National Waste Management Strategy (2016-2030) and the National Waste Management Action Plan have made it the preferred course for Georgia to become a country focused on waste prevention and recycling. Despite the positive changes, according to experts on the issue, the country still has a long way to go to achieve this goal. Several factors are particularly challenging: 1. Incentive mechanisms for waste prevention, reuse, recycling and recovery are being developed; 2. Waste processing companies should be established or strengthened; 3. Effective mechanisms for waste management costs (both for citizens and companies) to be developed; 4. An extended producer obligation should be introduced, which implies the responsibility of the producer and / or importer for the collection and treatment of specific wastes hazardous to humans and health.

Key words: Solid waste, Garbage processing plants, Household waste, Medical waste, Biological waste, Industrial waste.

ნეირომარკეტინგული კვლევებით მიღებული შედეგების როლი ბიზნესის განვითარებაში

DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-88

გვანცა ფოფხაძე
სტუ დოქტორანტი
Gvantsapopkhadze1@gmail.com

რეზიუმე

ნეირომარკეტინგი არის მარკეტინგის ახალი მიმართულება, რომელიც სამედიცინო ტექნოლოგიების დახმარებით იკვლევს ტვინს და მის რეაქციებს მარკეტინგულ სტიმულებზე. იგი ყურადღებას ამახვილებს რატომ და როგორ ხდება ყიდვის გადაწყვეტილების მიღება. ეს პროცესი ქვეცნობიერია, შესაბამისად სჭირდება სიღრმისეული შესწავლა. ნეირომარკეტინგი განისაზღვრა, როგორც კვლევის მესამე განზომილება, რაოდენობრივ და თვისობრივ კვლევებთან ერთად.

ნეირომარკეტინგი არის სფერო, რომელიც პასუხს სცემს იმ კითხვებზე, სადაც უძლურია ტრადიციული კვლევები. მარკეტინგის ეს მიმართულება იყენებს ბიომეტრულ სენსორებს, იკვლევს ტვინის აქტივობას, რათა უკეთესად აღიქვას მომხმარებლის ქცევა და მოთხოვნილებები.

საკვანძო სიტყვები: ნეირომარკეტინგი, მომხმარებელის ქცევა, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ბიომეტრული სენსორები.

ძირითადი ნაწილი

რატომ ყიდულობენ მომხმარებლები იმას, რასაც ყიდულობენ? რამდენის გასდახდას აპირებს მომხმარებელი? რატომ იზიდავს მომხმარებლებს ზოგი ბრენდი სხვებზე მეტად? რა გა-

ნაპირობებს მომხმარებელთა დამოკიდებულებასა და ქცევას პროდუქტისა თუ სერვისის მიმართ? ამ კითხვებზე პასუხების გასარკვევად უფრო მეტი ძალისხმევა დაგვჭირდება, ვიდრე ბაზრის კვლევის ტრადიციული მეთოდებია, როგორიცაა მომხმარებელთა გამოკითხვები და ფოკუს-ჯგუფები. ამ დროს მომხმარებლები შეგნებულად გამოხატავენ თავიანთ აზრს, ხოლო ფიქრების უმეტესობა ჩვენს ქვეცნობიერ გონებაშია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომხმარებლები არ ირჩევენ რაციონალურად და შესაბამისად მათი ვერბალური პასუხები ვერ ასახავენ მათ სურვილებს. სწორედ აქ შემოდის ნეირომარკეტინგი: კითხვების დასმის გარეშე, პასუხების მიღების საშუალება.

ნეირომარკეტინგი იყენებს ნეირომეცნიერებას იმისათვის, რომ შეისწავლონ მომხმარებლის ქვეცნობიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ნეირომარკეტერები შეისწავლიან ტვინს, ბიომეტრიულ რეაქციებს, აგრეთვე ქცევას, იმის გასარკვევად თუ რას გრძნობენ მომხმარებლები, როგორ ფიქრობენ და მოქმედებენ. ისინი პასუხობენ კითხვებს:

- რამდენად სასურველია თქვენი პროდუქტი ან სერვისი?
- რა ემოციას იწვევს თქვენი პრომოუშენი?
- რომელი რეკლამა არის ყველაზე ეფექტური?
- რა ფასი იწვევს მომხმარებელთა უკმაყოფილებას?
- როგორ გრძნობენ მომხმარებლები თქვენს გაყიდვების წერტილში?

ნეირომარკეტინგი გულისხმობს ფიზიოლოგიური და ნერვული აქტივობის გაზომვას რათა მიიღოს ინფორმაცია მომხმარებლის მოტივაციის, პრეფერენციების და გადაწყვეტილებების შესახებ, რაც ხელს უწყობს შემოქმედებითი რეკლამირების, პროდუქტის განვითარების და მარკეტინგის სხვა ასპექტების განვითარებას.

ნეირომარკეტინგმა გამოიარა მშფოთვარების, მღელვვარების, სკეპტიციზმისა და უარყოფის პერიოდები, სანამ მისი მიღება და აღიარება მოხდებოდა. მას შემდეგ აკადემიკოსები და ნეირომეცნიერები აქტიურად ცდილობდნენ ამ სფეროს შესახებ ნეგატიური დამოკიდებულება მეცნიერული არგუმენტებით გა-

ექარწყლებინათ და ბოლო ათწლეულის მანძილზე ბევრის მიღწევაც შეძლეს. აკადემიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ნეირომეცნიერების მონაცემებს უფრო ზუსტად შეუძლია განსაზღვროს ბაზრის მონაცემები, ვიდრე ეს შესაძლებელია ბაზრის კვლევის ტრადიციული ინსტრუმენტებით, როგორიცაა გამოკითხვები და ფოკუს ჯგუფები.

ნეირომარკეტინგული ხელსაწყოები. ნეირომარკეტინგი ზომავს ფიზიოლოგიურ და ნერვულ სიგნალებს, რათა მოიპოვოს ინფორმაცია მომხმარებელთა მოტივაციების, უპირატესობებისა და გადაწყვეტილებების შესახებ. ნობელის პრემიის ლაურეატმა ფრენსის კრიკმა მას საოცარი ჰიპოთეზა უწოდა: „იდეა, რომ ადამიანის ყველა გრძნობა, აზრი და მოქმედება - თვით ცნობიერებაც კი - არის მხოლოდ ტვინის ნერვული აქტივობის პროდუქტი“. ნეირობიოლოგია მარკეტერებისთვის ამცირებს გაურკვევლობას და ვარაუდს, რაც აქამდე ტრადიციულად აფერხებდა გაეგოთ მომხმარებლის ქცევა. ნეირომარკეტინგის სფერო, ცნობილია როგორც სამომხმარებლო ნეირომეცნიერება, რომელიც სწავლობს ტვინს მომხმარებლის ქცევისა და გადაწყვეტილების მიღების პროგნოზირებისთვის. ბოლო 5 წლის განმავლობაში ნეირომარკეტინგის სფეროში ჩატარებულმა რამდენიმე კვლევამ მნიშვნელოვნად გაზარდა და ჩამოაყალიბა ნეირომეცნიერების როლი ბიზნესისათვის. ამ მეთოდოლოგიებმა შექმნეს ღირებული მასალა მარკეტერებისათვის.

სამომხმარებლო ნეირომეცნიერებისადმი ინტერესი გაიზარდა 2000-იან წლებში, როდესაც ბიზნესის სკოლის მკვლევარებმა დაიწყეს დემონსტრირება, რომ რეკლამას, ბრენდინგს და მარკეტინგის სხვა ტაქტიკას შეიძლება ჰქონდეს გაზომვადი გავლენა ტვინზე. 2004 წელს ემორის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ჩაატარეს ცდა: მკვლევარებმა სუბიექტებს გაასინჯეს კოკა კოლა და პეპსი, მაშინ როცა იმყოფებოდნენ fMRI აპარატის დაკვირვების ქვეშ. როდესაც სუბიექტემბა არ იცოდნენ ამ ორიდან რომელ სასმელს იღებდნენ მათი ნერვული პასუხები იყო თანმიმდევრული, მაგრამ როდესაც სუბიექტები ხედავდნენ რომელი ბრენდის სასმელს სვამდნენ მათმა ლიმბურმა სტრუქტუ-

რამ (ემოციებთან, მოგონებებთან და უგონო დამუშავებასთან ასოცირებული ტვინის ადგილები) აჩვენა გაძლიერებული აქტივობა, რის საფუძველზეც დადგინდა რომ ბრენდის ცოდნა ცვლის ტვინის მიერ სასმელის აღქმას.

ოთხი წლის შემდეგ INSEAD- ის გუნდმა ჰილკ პლასმანის ხელმძღვანელობით ჩაატარეს კვლევა სამ სხვადასხვაფასიან ღვინოზე. კვლევის მონაწილეების ტვინებმა დაგემოვნების შედეგად სხვადასხვაგვარად აღიქვეს ღვინოები, ყველაზე იაფიანი ღვინო აღქმული იქნა ნეიტრალური შეგრძნებებით, ხოლო მაღალფასიანი ღვინოს მიანიჭეს უპირატესობა. სინამდვილეში სამივე ღვინო ერთნაირი იყო. როდესაც მომხმარებლები ხედავენ ფასს, შეიძლება შეცვალოს ღირებულების მენტალური კალკულაცია (mental calculation of value): როდესაც მომხმარებლები ხედავენ ფასს პროდუქტის გასინჯვამდე და როდესაც ისინი ჯერ გასინჯავენ პროდუქტს და შემდეგ ხედავენ მის ღირებულებას, ამ ორი შემთხვევის ნერვული მონაცემები და აღქმული ფასეულობა განსხვავებულია. ვაწყდებით ორ განსხვავებულ მენტალურ კალკულაციას: როდესაც ჯერ ვხედავთ ფასს - „ღირს ეს პროდუქტი ეს ფასი?“ და „მომწონს ეს პროდუქტი?“ როდესაც ჯერ პროდუქტს ვსინჯავთ.

ტვინის სკანირების ორი ძირითადი საშუალებაა **fMRI** და **EEG**. პირველი (ფუნქციური მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია) იყენებს ძლიერ მაგნიტურ ველებს ტვინის მასშტაბით სისხლის მიმოქცევის ცვლილებების დასადგენად. EEG (ელექტროენცეფალოგრამა) კითხულობს ტვინის უჯრედების აქტივობას სუბიექტის სკალპზე განთავსებული სენსორების გამოყენებით; მას შეუძლია გააკონტროლოს აქტივობის ცვლილებები წამის ფრაქციებზე, მაგრამ არც ისე ზუსტად განსაზღვრავს თუ სად ხდება ეს აქტივობა ტვინის ღრმა, ქვეკორტიკალურ რეგიონებში (სადაც ბევრი საინტერესო აქტივობა ხდება). FMRI-ს შეუძლია ტვინის სიღრმეში ჩახედვა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამი ადევნებს თვალყურს აქტივობას, რამაც შეიძლება ხელიდან გაუშვას ნერვული ინციდენტები.

fMRI (ფუნქციური მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია)

და **EEG** (ელექტრო-ენცეფალოგრაფი) -ტექნოლოგიას მსოფლიო მასშტაბით ნეირომარკეტინგული კვლევების ჩასატარებლად იყენებენ. რეკლამის ეფექტურობის შესახებ სრული სურათი რომ შეგვექმნას, მნიშვნელოვანია ინფორმაცია ფსიქოლოგიური საპასუხო რეაქციების შესახებ. fMRI და EEG - ზომავს ტვინის აქტივობას, ჩართულობას და სტიმულებზე საპასუხო რეაქციებს. ამ ტექნოლოგიით ვიღებთ ინფორმაციას, თუ როგორია მომხმარებლის ყურადღების დონე, რაზე და როდის ახდენს ის ფოკუსირებას.

ასევე, ბიომეტრულ სენსორებში, განსაკუთრებული ადგილი უკავია **აი თრექინგ** (Eye Tracking) ტექნოლოგიას**.** თვალის მოძრაობა ვიზუალური ყურადღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია. საინტერესოა, რეკლამის ყურების დროს, რა იქცევს ყველაზე მეტ ყურადღებას. ეს არის მოწყობილობა, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას თვალის მოძრაობის თანმიმდევრობის, სიხშირისა და ფიქსაციის შესახებ. კვლევის შედეგად შეგვიძლია განვსაზღვროთ, რეკლამის რომელი ელემენტი, მონაკვეთი ან ფერი იყო ყველაზე ეფექტური. შდეგად შესაძლებელი ხდება რეკლამის ეფექტურობის შეფასება, მასში ცვლილებების შეტანა და გამოსაკვეთი ელემენტების უკეთ წარმოჩენა. აი თრექერი მაგრდება კომპიუტერზე და შესაძლებლობას იძლევა დავაკვირდეთ, რას უყურებს მომხმარებელი. უზრუნველყოფს მაღალ ხარისხს, ზუსტ მონაცემებს მომხმარებლების აღქმის შესახებ პროდუქტებსა და სარეკლამო მასალებზე. ეს არის სწრაფი და ადვილი გზა რომ გავაანალიზოთ ჩვენი სამიზნე აუდიტორიის რეაქცია მარკეტინგულ ინსტუმენტებზე, რომელსაც ვიყენებთ საკომუნიკაციოდ. მომხარებელმა შესაძლოა აღქმული ინფორმაცია დაამახინჯოს ან განსხვავებული ინტერპრეტაციით გადმოსცეს ვერბალურად, ამიტომ, სანამ გაფილტრავს დანახულ ინფორმაციას აი თრექინგის გამოყენებით ვაკვირდებით მათ და გვაძლევს ზუსტ მონაცემებს რას ხედავს რესპონდენტი და რა რჩება აღქმის გარეშე. აი თრექინგი შესაძლებლობას გვაძლევს, სანამ საჯაროდ მოხდება რეკლამის გაშვება, მასში აღმოვაჩინოთ დაშვებული შეცდომები. საუკე-

თესო გზა, რომ გაიტესტოს პროდუქტის შეფუთვა და ასევე ის მესიჯი, რომელიც გადმოცემულია რეკლამაში. შედეგები გამოტანილია ადვილად წასაკითხ და ფერად კოდირებულ სქემაზე. სტატისტიკური მონაცემების გამოტანის გარდა, ასევე შესაძლებელია სითბური რუკების გამოსახვაც.

აი თრექინგ სათვალის მეშვეობით მომხმარებელზე დაკვირვება ხდება რეალურ დროსა და გარემოში. სათვალე აღჭურვილია სამი კამერით, ორი მათგანი აკონტროლებს თვალის გუგების მოძრაობას, ხოლო მესამე-იმ გარემოს, სადაც რესპონდენტი იყურება. მომხმარებლის თვალის მოძრაობის მიხედვით შედეგების მიღება სხვადასხვა რეალურ სივრცეში გვაძლევს ზუსტ მონაცემებს თუ რა ობიექტებს აღიქვამს მომხმარებელი. სათვალის გამოყენება შეგვიძლია ვიზუალური მერჩენდაიზინგის მიმართულებით, სავაჭრო ობიექტებში (მარკეტი, აფთიაქები), ქუჩებში სადაც ბანერებია განთავსებული. ტესტირების შედეგები გვიჩვენებს, პროდუქტის შერჩევისას რა ძირითადი კრიტერიუმები ვლინდება, რაც იწვევს ყიდვის გადაწყვეტილბას. შედეგად ვიგებთ: თვალის მიერ აღქმული დეტალებს, რა დრო სჭირდება მომხმარებელს თითოეული დეტალის აღსაქმელად, რა დროს აყოვნებს ამა თუ იმ დეტალზე, რა რჩება აღსაქმის მიღმა, როგორია მომხმარებლის ნავიგაცია-გადაადგილება სავაჭრო ობიექტებში და როგორი უნდა იყოს სივრცის განლაგება, ან პროდუქტების განლაგება თაროებზე.

კანის გალვანური გამტარებლიანობა იგივე **GSR** (galvanic skin response)-ის საშუალებით ხდება ქვეცნობიერი ემოციების გაზომვა. მაღალმგრძნობიარე სენსორი, მაგრდება თითებსა და ყურის ბიბილოზე და კანის მდგომარეობის ცვლილების მიხედვით გვაძლევს შედეგებს. ის პირდაპირ კავშირშია საოფლე ჯირკვლის აქტივობასთან, რომელიც გამოიყოფა რესპონდენტის ემოციური აქტივობის ცვლილებასთან ერთად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გვაძლევს მონაცემებს, რესპონდენტის ემოციური აღშფოთების ან პოზიტიური განწყობის შესახებ.

GSR გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი კონტენტის, ვიდეოს, თრეილერის ტესტირებისას, მისი კომბინაცია შესაძ-

ლებელია სახის ემოციების გაზომვის ტექნოლოგიასთან. GSR გვაძლევს შედეგებს, რესპონდენტის გამოვლენილი განწყობის ინტენსიურობის მაჩვენებელს, დადებითი იქნება თუ უარყოფითი, ასევე მისი პიკის გამოვლინების ასახვა დროის კონკრეტულ მონაკვეთში.

Facial coding (სახის ემოციების გაზომვა) **-** არის ნეირომარკეტინგის კიდევ ერთი ტექნოლოგია, რომლის შესაძლებლობა რესპონდენტის ყოველი რეაქციისა და მიმიკის აღქმა და იდენტიფიცირებაა. ეს ინსტრუმენტი გვეხმარება, რომ მივიღოთ საშუალო შედეგები თითოეული ნახვის დროს, რესპონდენტების კმაყოფილების დონე, გამოავლინეს თუ არა დადებითი ემოციები, როგორციაა მხიარულება და აღფრთოვანება, ან როგორია მათი ჩართულობის მაჩვენებელი. ემოციები არის მნიშნელოვანი რეკლამის ეფექტიანობის შესაფასებლად. გეცოდინება თუ რომელი ემოცია დაეუფლა ადამიანს სანამ გააანალიზა რეკლამა. ამ მონაცემების მიღების შემდეგ, შეგვიძლია გავაკეთოთ ანალიზი, რეკლამის რომელი ნაწილი გამოირჩეოდა ჩართულობით და დადებითი ემოციებით.

სახის ემოციების გაზომვის ტექნოლოგიის გამოყენება შესაძლებელია GSR-თან, EEG-სთან, კომბინაციაში. ეს კომბინაცია საუკეთესო შედეგს იძლევა ვიდეო კონტენტის (რეკლამა, youtube/Tv, ვირუსული ვიდეოები, ფილმის ტრეილერები, სოც. რეკლამები და ა.შ.) ტესტირებისას, ასევე ფოტოების სერიის ტესტირებისას შესაძლებელია დადგინდეს რომელი ვიზუალია მომხმარებლისთვის მეტად მისაღები, რა ემოციებია გამოვლენილი და მათი პროცენტული მაჩვენებლები ვიდეოს ყურების დროს, არის თუ არა რეკლამის განმასხვავებელი ნიშნები ან მონაწილეები სწორად აღქმული, რეკლამის რომელი ელემენტები და მომენტებია ყველაზე კრეატიული და ა.შ. შედეგად შესაძლებელი ხდება გააუმჯობესოთ რეკლამის ეფექტურობა, მოიჭრას და შემოკლდეს ვიდეორგოლი, შეადაროს რეკლამის ორი ან რამდენიმე ვარიანტი და გამოვლინდეს „გამარჯვებული“.

ტრადიციულად, მარკეტოლოგებს უფრო მეტი ინტერესი აქვთ, ვიდრე უბრალოდ მომხმარებლის პრეფერენციების გაზო-

მვა, ისინი ასევე ცდილობენ შეცვალონ მომხმარებლების ქცევა, შეუქმნან ღირებულებები. ნეირომეცნიერების მკვლევარებმა დაიწყეს იმის გამოკვლევა, შესაძლებელია თუ არა ტვინის გამოყენება რათა მოახდინონ ზემოქმედება მომხმარებლის ყიდვის გადაწყვეტილების პროცესზე. კვლევის არეალია ტვინის ის უბანი, სადაც წარმოიშობა აღფრთოვანება და ასევე ეთიკური ინტერესები.

რამდენადაც ბაზარი გაჯერებულია რეკლამით რთულია მოამზადო ისეთი რეკლამა, რომელსაც მომხმარებელი გამოარჩევს რეკლამების გროვაში. სწორედ ამ პროცესსი ერთვება ნეირომარკეტინგი და ბიომეტრული სენსორების გამოყენებით ჩატარებული კვლევები გვაძლევენ ღრმა წარმოდგენებს პროდუქტის შეფუთვის, განლაგებისა თუ რეკლამირების შესახებ.

დასკვნა

აღნიშნული ბიომეტრული სენსორების გამოყენება ხდება ბიზნეს საქმიანობის ყოველ ეტაპზე, დაწყებული პროექტის იდეის შემუშავებით, საბოლოო პროდუქტის ტესტირებით დამთავრებული. გამოყენების სფეროები კი მრავალია: მარკეტინგი, პოლიტიკა, ვებ გვერდები, საცალო ვაჭრობა, მერჩენდაიზინგი და სხვა.

ცნობილია, რომ ადამიანი ყველაზე ხშირად ხელმძღვანელობს არა გონებრივი სქემებით, რამდენადაც ქვეცნობიერი ემოციებით. ამგვარად ნეირომარკეტინგი უფრო და უფრო პოპულარული ხდება ჩვენს ეპოქაში. ის შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს წინასწარ გააკეთონ პროგნოზირება, თუ რამდენად წარმატებული აღმოჩნდება მათი პროდუქცია. სამომავლოდ ნეირომარკეტინგი რეკლამის და ბრენდინგის წამყვან და მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარტინ ლინდსტრომი „Buy ოლოგია: მითი და რეალობა იმის თაობაზე რატომ ვყიდულობთ“. გამომცემლობა „პალიტრა L“, თბ., 2019წ.

2. Zurawicki, L. (2010). Neuromarketing: Exploring the brain of the consumer. Springer.

3. Pirouz, D. (2004). The Neuroscience of Consumer Decision-Making.

4. https://www.neurosciencemarketing.com/blog/articles/what-is-neuromarketing.htm

5. Constantinos Pantidos, "Living Brands : How Biology & Neuroscience Shape Consumer's Behaviour & Brand Desirability, LID Publishing, Publication date 11 Dec 2018;

6. https://hbr.org/2019/01/neuromarketing-what-you-need-to-know

7. https://imotions.com/blog/eye-tracker/

8. Onton, Delorme, & Makeig (2005). Frontal midline EEG dynamics during working memory. Neuroimage, 27(2), 341-356.

9. https://imotions.com/blog/eye-tracker/

REFERENCES:

1. Martin Lindstrom "Buy Ology: Myth and Reality of Why We Buy." Publishing House "Palitra L", Tbilisi, 2019.

2. Zurawicki, L. (2010). Neuromarketing: Exploring the brain of the consumer. Springer.

3. Pirouz, D. (2004). The Neuroscience of Consumer Decision-Making.

4. https://www.neurosciencemarketing.com/blog/articles/what-is-neuromarketing.htm

5. Constantinos Pantidos, "Living Brands : How Biology & Neuroscience Shape Consumer's Behaviour & Brand Desirability, LID Publishing, Publication date 11 Dec 2018;

6. https://hbr.org/2019/01/neuromarketing-what-you-need-to-know

7. https://imotions.com/blog/eye-tracker/

8. Onton, Delorme, & Makeig (2005). Frontal midline EEG dynamics during working memory. Neuroimage, 27(2), 341-356.

9. https://imotions.com/blog/eye-tracker/

THE ROLE OF NEUROMARKETING RESEARCH RESULTS IN DEVELOPMENT OF BUSINESS

Gvantsa Popkhadze
PhD student of GeorgianTechnical University
Gvantsapopkhadze1@gmail.com

RESUME

In the XXI century, customer-centricity has become a main challenge in strategic marketing. Customers' satisfaction is no longer enough. The goal of marketing is to make customers excited and happy. Building a strategy for excited customers allows us to keep this segment of people in the role of customers for a long time.

The decision-making process is an important aspect of customer-centricity and has paid attention to be learned. The psychologists explain that 80% of human decisions are emotional and not logical, therefore, the role of emotional marketing has clearly increased in the new century, the direction of neuromarketing has developed at lightning speed and biometric sensors have been used in business processes to gain in-depth analysis.

Neuromarketing is a new field of marketing that uses medical technology to study the brain and its reactions to marketing stimuli. It focuses on why and how purchasing decisions are made. This process is subconscious, therefore it needs in-depth study. Neuromarketing has been defined as the third dimension of research, along with quantitative and qualitative research.

Neuromarketing is a field that answers questions where traditional research is powerless. This direction of marketing uses biometric sensors, examines brain activity to better perceive user behavior and needs.

These biometric sensors are used at every stage of the business, from developing project idea to testing the final product. The areas of application are many: marketing, politics, websites, retail, merchandising and more.

Moreover, it is well known that man is most guided not by mental schemes but by subconscious emotions. Thus neuromarketing is becoming more and more popular in our era. It allows companies to predict in advance how successful their products will be. In the future, neuromarketing will become a leading and important tool for advertising and branding.

Keywords: Neuromarketing, Customer Behavior, Decision Making Process, Biometric Sensors.

გლობალიზაციის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

DOI - 10.36962/ecs104/10-12/2021-99

მარიამ ძებისაშვილი
სტუ დოქტორანტი
mariamdzebisashvili@yahoo.com

რეზიუმე

მსოფლიო ეკონომიკისთვის მეოცე საუკუნე ასოცირებულია პროცესების მთელ რიგთან, რომელიც ფართო მასშტაბებს მოიცავს. დღის წესრიგში დგას მნიშვნელოვანი საკითხი და იმავდროულად ინტერნაციონალიზაციის ეტაპი - ანუ გლობალიზაცია. ის განიხილავს მსოფლიოს განვითარების აუცილებელ პროცესებს სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში. ზუსტად გლობალიზაცია გვევლინება ეკონომიკური ზრდის დამაჩქარებელ ფაქტორად და ამას გარდა ხელს უწყობს მოდერნიზაციასაც. და მაინც რა არის გლობალიზაცია?! ინგლისური სიტყვა „Globe" - გლობუსს ნიშნავს, ხოლო „global" - მსოფლიოს. გლობალიზაცია თანამედროვე ინგლისური სიტყვაა და ასახავს ცვლილებებს მსოფლიო ეკონომიკასა და საზოგადოებაში.

უფრო კერძოდ, ეკონომიკის გლობალიზაცია არის გლობალიზაციის ერთერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს რამდენიმე ასპექტს: ● ეკონომიკის ლიბერალიზაცია; ● ვაჭრობის განვითარება; ● მსოფლიო თანამედროვე თანამეგობრობაში ქვეყნების ინტეგრაცია; ● მომსახურების ბაზრის გაზრდა; ● ინვესტიციების ჩადება;

გლობალიზაცია ყველა ქვეყნის ეკონომიკაზე ახდენს დიდ გავლენას. ის ეხება საქონლისა და მომსახურების შექმნის პროცესს, სამუშაო ძალის გამოყენებას, ინვესტირებას „ფიზიკურ"

და ადამიანურ კაპიტალში, ტექნოლოგიებს და მათ გავრცელებას სხვა ქვეყნებზეც. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი, გამოიხატება წარმოების და შრომის ეფექტურობაში.

სტატიაში განხილულია გლობალიზაციის თანამედროვე აქტუალური საკითხები და მის გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე. ავტორის განმარტებით, გლობალიზაცია არის სამყაროს, როგორც ეკონომიკური, ტექნოლოგიური, პოლიტიკური და კულტურული ერთეულის ჩამოყალიბების პროცესი კონკრეტული ქვეყნების სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებით

გლობალიზაციას აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათი ამიტომაც ის მოიცავს ადამიანთა საზოგადოების როგორც განვითარების, ასევე მისი არსებობის საფრთხის არნახულ შესაძლებლობებს. ამდენად, აუცილებელი ხდება გლობალიზაციის პროცესის სწორად წარმართვა, ანუ სამართლიანი გლობალიზაციის განხორციელება.

გლობალიზაცია გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის ყველა სექტორზე, მათ შორის უმუშევრობაზე. სტატიაში დეტალურად განხილულია გლობალიზაციის გავლენის დადებითი და უარყოფითი მხარეები ეროვნულ სახელმწიფოსა და ეკონომიკაზე.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია; ეროვნული ეკონომიკა; უმუშევრობა; შრომის საერთაშორისო ბაზარი.

* * *

ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას, რომელიც მეტ-ნაკლებად ყოველი ქვეყნის წინაშე დგას. გამოსავალი კი სწრაფი და სწორი ვექტორით განვითარებაშია. გლობალიზაციის მომხრეები, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებენ გლობალიზაციის დადებით მხარეებზე. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ მას მთელი მსოფლიოსთვის შეუძლია უზარმაზარი სარგებლის მიცემა. ვაჭრობაზე საზღვრების მოხსნამ და კონკურენციის გამძაფრებამ უბიძგა მეწარმეებს ღირებული პროდუქციის შექმნისაკენ, რათა არ დამარცხდნენ კონკურენტულ ბრძოლაში, შესაბამისად, გლობალურად მოქმედება და-

იწყეს. გლობალიზაცაში უზარმაზარი წვლილი მიუძღვის ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. ტექნოლოგიური პროგრესი ყოველთვის ეკონომიკური ზრდის გარანტიაა. ახალი ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად ვრცელდება და ქვეყნები, რომლებიც ამ ტექნოლოგიების დახმარებით აწარმოებენ საქონელს, იმარჯვებენ კონკურენტულ ბრძოლაში და ბაზარზე ლიდერულ პოზიციებს იკავებენ. უამრავი პოზიტიური მხარე აქვს გლობალიზაციას. მათ შორის შრომის საერთაშორისო დანაწილება, მასშტაბის ეკონომია, თავისუფალი ვაჭრობის ურთიერთსარგებელი, შრომის მწარმოებულურობის ამაღლება, ტექნოლოგიური პროგრესის წახალისება, ფინანსური რესურების მობილიზება, საერთო საკაცობრიო პრობლემების კოორდინირებულად გადაწყვეტა.

გლობალიზაცია არაერთგვაროვან გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოებზე. გლობალიზაციის პროცესში მთავარ როლს განვითარებული ქვეყნები თამაშობენ, ვინაიდან სწორედ ისინი ფლობენ ჭარბი რაოდენობისა და შესაბამისი ხარისხის წარმოების ფაქტორებს. ისინი აწარმოებენ მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქციას. ასეთი მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ განვითარებული ქვეყნები მსოფლიო მასშტაბით:

• იყენებენ გაცილებით იაფ სამუშაო ძალასა და რესურსებს;

• იზიდავენ მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალას;

• ხშირ შემთხვევაში სხვა ქვეყნებში გააქვთ დაბალი ხარისხის პროდუქცია;

• ექმნებათ ხელსაყრელი პირობები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, ამისათვის საჭირო უზარმაზარი რესურსების მოზიდვის საფუძველზე მსოფლიო მასშტაბით.

სხვა ქვეყნები გლობალიზაციის პროცესში:

• იყენებენ მსოფლიოში დაგროვებულ დიდ გამოცდილებასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევებს;

• იღებენ დიდ ფინანსურ დახმარებას;

• წყვეტენ მრავალ (სიღარიბის, ეკოლოგიურ, სამედიცინო და სხვ.) პრობლემას.

აღსანიშნავია ისიც, რომ გლობალიზაციას უარყოფითი შედეგების მოტანაც შეუძლია. ეკონომისტები საუბრობენ რამდენიმე ნეგატიურ შედეგზე, რომელიც შეიძლება მოიტანოს გლობალიზაციამ. ესენია:

- ქვეყნებს შორის არათანაბარი განაწილება;
- სახელმწიფო როლის შემცირება სოციალურ სფეროში;
- სოციალური დაძაბულის ზრდა;
- ეროვნული ტრადიციების უგულებელყოფა;

მის ყველაზე მტკივნეულ და ნეგატიურ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე ერთი მსხვილი განვითარებული ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის სწრაფად გავრცელება მსოფლიოს სხვა ქვეყნებზე. ამის ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს მსოფლიო ეკონომიკაში. თუნდაც, ჯერ კიდევ ბოლომდე დაუძლეველი გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, რომელსაც საფუძველი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაეყარა, სწრაფად გავრცელდა და მოედო მთელს მსოფლიოს.

ასევე გლობალიზაციის ყველაზე მწვავე პრობლემად საქართველოსთვის და სხვა განვითარებად ქვეყნებზე არის ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის პროცესში ჩართვა გულისხმობს საბაჟო გადასახადის შემცირებას. რატომ არის ეს პრობლემა?! ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია. სავაჭრო შეზღუდვებისა და ბარიერების შემცირება ხელს უწყობს და უმარტივებს უცხოურ კომპანიებს შემოიტანონ თავიანთი, პროდუქცია. ეს გამოიწვევს საქართველოს ბაზრების გავსებას უცხოური საქონლით და შედეგად მივიღებთ ქართული ეროვნული ბაზრის, საწარმოების და სამეურნეო საქმიანობის ჩახშობას, ვინაიდან ქართული ადგილობრივი საწარმოები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ არიან აღჭურვილნი თანამედროვე ტექნიკითა და ახალი ტექნოლოგიებით, რის გამოც დაბალია შრომის ნაყოფიერება. აქედან გამომდინარე, შესაბამისად, დაბალია პროდუქციის ხარისხიც და მაღალია თვითღირებულება. ეს ყველაფერი ართულებს უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციას და ალბათ შეუძლებელსაც ხდის. ამას გარდა გლობალიზაციის ერთ-ერთი უარყოფითი მხარეა ისიც, რომ გარდა პროგრესული ეკონომი-

კური ძალებისა, გლობალიზაციის პროცესში იმავდროულად ერთვებიან ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლები, მაფიოზური და ტერორისტული ორგანიზაციები. ეს ქსელები ვრცელდება მთელს მსოფლიოზე, ამიტომ დაზღვეული არცერთი ქვეყანა არ არის.

რომ შევაჯამოთ გლობალიზაციის დადებითი და ნეგატიური მხარე შემდეგ სურათს მივიღებთ:

დადებითი მხარე: ინტეგრაციის გზით გლობალიზაცია ხელს უწყობს სხვადასხვა ერებსა და სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა კავშირების გაღრმავებასა და განმტკიცებას.

ნეგატიური მხარე: ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის შესუსტება და გაერთსახოვნება.

არსებობს გლობალიზაციის ინდექსის გამოთვლის წესი ისეთ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, როგორიც არის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ვაჭრობა,შემოსავალი. თანამედროვე გაანგარიშების მეთოდებში ასევე გაითვალისწინება კულტურა, პოლიტიკა, გარემოს დაცვა, სოციალური მდგომარეობა.

ინდექსი არის სპეციალურად შექმნილი რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომელიც ნიშნავს კავშირს, ინდიკატორების კომბინაციას. ამავე დროს ეს არის ამა თუ იმ ჰიპოთეზის შემოწმებისა და დასაბუთების საშუალება. ინდექსის საშუალებით შესაძლებელია დასაკვირვებელი ერთეულის მდგომარეობის დადგენა შკალაზე. ინდექსი გარკვეულ დონეზე იძლევა მხოლოდ თვისებრივი მახასიათებლის რაოდენობრივ განსაზღვრას და გულისხმობს ტერმინებს: მეტი, ნაკლები, შდარებით ძლიერი ან შედარებით სუსტი.

გლობალიზაციის ერთ-ერთი ინდექსი - KOF, შეიქმნა 2002 წელს, უმთავრესად ეყრდნობა მსოფლიო ბანკისა და გაეროს კონფერენციის წლიურ ანგარიშებს, ვაჭრობაზე და განვითარებასთან დაკავშირებით, იგი გამოიყენება საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციის ხარისხის შესაფასებლად. მოცემული ინდექსით იზომება სამი ძირითადი მაჩვენებელი: პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური მდგომარეობა.

2020 წლის, გლობალიზაციის KOF ინდექსის მონაცემების თანახმად, პირველ 10 ქვეყანაში მოწინავე ადგილს იკავებს შვეიცარია, ნიდერლანდები , ბელგია . მე-10 ადგილზე დგას საფრანგეთი.

პირველი 5 ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი 1980 წლიდან ასე იცვლებოდა (შვეიცარია, ნიდერლანდები, ბელგია, გაერთიანებული სამეფო, შვედეთი).

2019 წლის მონაცემებით აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი და მთლიანი შიდა პროდუქტი ასეთი იყო:

ქვეყანა	**ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი**	**მშპ**
შვეიცარია	8.48	731.474 მლრდ US$
გაერთიანებული სამეფო	8.15	2.831 ტრლნ US$
ნიდერლანდები	7.96	907.051 მლრდ US$
შვედეთი	7.72	531.283 მლრდ US$
ბელგია	7.62	533. 255 მლრდ US$

წყარო: Economic Freedom https://www.fraserinstitute.org/

თუ განვიხილავთ აღნიშნულ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი მაღალი მშპ-ს ქვეყანას - გაერთიანებულ სამეფოს, ვნახავთ,რომ ქვეყნის ეკონომიკა ეფუძნება თავისუფალი ბაზრის და დაბალი გადასახადების პრინციპებს. მიუხედავად იმისა, რომ პრიორიტეტულია მომსახურების სერვისები, ქვეყანა ორიენტირებულია წარმოებაზე და ექსპორტზე, გერმანიის და იაპონიის მსგავსად. გაერთიანებული სამეფო მიიჩნევა ე.წ. ანგლოსაქსური კაპიტალიზმის წინამორბედად. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის 1%-ია, გაერთიანებული სამეფო დგას მეოთხე ადგილზე მსოფლიო ვაჭრობის კუთხით.

დიდი ბრიტანეთი, 2019 წლის მშპ -ის მონაცემებით, 2.83 ტრილიონი აშშ დოლარით, მეხუთე უმსხვილესი ეკონომიკაა მსოფლიოში. ხოლო მშპ–ის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის ასპექტში (PPP), მეცხრე ადგილს იკავებს 3.04 ტრილიონ დოლარით. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მშპ-სთან შედარებით, 42.558 აშშ დოლარით 23-ე ადგილზეა.

1992 წლიდან 2008 წლამდე დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა განიცდიდა აღმავლობას. 2008 წლის გლობალური კრიზისის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკა შევიდა რეცესიაში და შემცირდა 6% -ით, 5 წელი დასჭირდა გაერთიანებულ სამეფოს ეკონომიკას, რომ არსებული რეცესიის დონეს დაბრუნებოდა.

1980-იანი წლებიდან, ტეტჩერის პერიოდში, განხორციელდა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია. სახელმწიფოს მოქნილი რეგულირების შედეგად დაფიქსირდა ნაციონალური მაკროეკონიმიკური მაჩვენებლების სტაბილურობა, ასევე ინფლაციის, უმუშევრობის მეტად დაბალი მაჩვენებლები. (საკუთრების ფორმების, კერძო საკუთრების როლზე ეკონომიკურ ზრდაში დაბლა ვისაუბრებთ). 2008 წლის გლობალური რეცესიის შემდგომ პერიოდში, მხოლოდ ერთხელ, კვარტალურად დაეცა პროდუქციის წარმოების დონე, მშპ-ს ზრდა კი არ შეჩერებულა ბოლო 4 წლის მანძილზე. აქვე უნდა აღინიშნოს გირვანქა სტერლინგის სიმყარე აშშ დოლარის მიმართ, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ ინგლისის ბანკის უნარით, შინარჩუნოს მაღალი სარეზერვო ნორმა, მეორე მხრივ კი ეროვნული ეკონომიკის ზრდის სწრაფი ტემპით.

ბრიტანეთის ეკონომიკის წამყვან სექტორს წარმოადგენს მომსახურების სფერო (მშპ-ს 75%), მათ შორის მოწინავე პოზიციით ფინანსური სექტორია (მპშ-ს 27%), იგი განსაზღვრავს ქვეყნის სპეციალიზაციას, ზოგადად, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში. ბრიტანეთი მსოფლიო ექსპორტის 10%-ს ახორციელებს საბანკო, საბროკერო, საკონულატაციო, სადაზღვევო, კომპიუტერული პროგრამირების მომსახურების კუთხით.

გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაცია რეალური

პროცესია, რომლის შეჩერება შეუძლებელია. გლობალიზაციის პროცესი არის მსოფლიო ბაზრის სუბიექტებს და სახელმწიფოებს შორის დიდი კონკურენციის, მაგრამ ამავე დროს დიდი ურთიერთდახმარების პროცესი. ამიტომ, საჭიროა გლობალიზაციის არა უარყოფა, არამედ თითოეული სახელმწიფოს მისწრაფება, რათა ეს პროცესი წარმართოს თავისი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. თითოეულმა ქვეყანამ უნდა იბრძოლოს გამარჯვებისათვის დიდ კონკურენციულ ბრძოლაში, მაგრამ, რასაკვირველია, არა ძალით, არამედ ცოდნით, მეცნიერების განვითარებით, უმაღლესი ტექნოლოგიების შექმნით, კულტურის სრულყოფით, ინტელექტის ამაღლებით და ა.შ. გლობალიზაციის შედეგად ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს საშუალება ისარგებლოს სხვა ქვეყნის სიკეთით. ამავე დროს შენარჩუნებული იქნეს ეროვნული თვითმყოფადობა (ენა, ტრადიციები, სარწმუნოება, ტერიტორია და ა. შ.). გლობალიზაცია, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოზე, მის ეკონომიკაზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმებზე, მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე. ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფო შეწყვეტს არსებობას, ვინაიდან მისი ფუნქციები დაიკარგება. მაგრამ ეს შეხედულება მცდარია. მართალია, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია იზღუდება, მაგრამ ის იძენს უფრო დიდ, საერთაშორისო ფუნქციას, რომელიც მიმართული უნდა იყოს გლობალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების განეიტრალების, დახმარებების ეფექტიანი გამოყენების, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საუკეთესო ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და მისი შემდგომი სრულყოფისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ., გლობალიზაციის გავლენა უმუშევრობაზე; გამომცემლობა „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი“; თბილისი,2012;

2. რ.აბესაძე., ,ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური

რეგრესი; გამომცემლობა „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი“; თბილისი, 2015;

3. გლობალიზაცია;http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3300 გადამოწმებულ იქნა:10.10.2021

4. გლობალიზაციის როლი ეკონომიკურ ზრდაში; https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2233648გადამოწმებულ იქნა:10.10.2021

5. გლობალიზაციის ინდექსი;https://www.statista.com/statistics/268168/globalization-index-by-country/გადამოწმებულ იქნა:10.10.2021

6. გლობალური ინდექსები-გლობალური სამყაროს ზომები; http://mastsavlebeli.ge/uploads/Indeqsebi.pdf გადამოწმებულ იქნა:10.10.2021

REFERENCES:

1. Abesadze R., Bibilashvili N., The Impact of Globalization on Unemployment; Publishing House “TSU Paata Gugushvili Institute of Economics”; Tbilisi, 2012

2. R. Abesadze, Economic Development and Economic Regression; Publishing House “TSU Paata Gugushvili Institute of Economics”; Tbilisi, 2015

3. Globalization; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3300Checked: 10.10.2021

4. The role of globalization in economic growth; https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2233648Checked: 10.10.2021

5. Globalization Index; https://www.statista.com/statistics/268168/globalization-index-by-country/ Checked: 10.10.2021

6. Global Indices - Dimensions of the Global World; http://mastsavlebeli.ge/uploads/Indeqsebi.pdf Checked: 10.10.2021

THE IMPACT OF GLOBALIZATION ON ECONOMIC GROWTH

Mariam Dzebisashvili
Doctoral Student of GTU
mariamdzebisashvili@yahoo.com

RESUME

Twentieth century for the world economy is associated with a range of processes that involve a broader scope. The important issue in the order is at stake and at the same time the internationalization stage - Globalization. It discusses the developmental processes of the world in the socio-economic context. We are globalized as an accelerating factor. In addition to the destruction, it also contributes to modernization. The English word "globe" means Globe, while "global" - the world. Globalization -the modern English word is to make changes in the world economy and society.

More precisely, the globalization of the economy is one of the components of globalization that includes several aspects: l Liberalization of Economics; l Development of trade; l Integration of countries in the modern world community; l To increase the service market; l Make investments.

Globalization is a major influence on the economy of all countries. It deals with the process of creation of goods and services, the use of force, investing in "physical" capital, technologies and their spread to other countries. In the end, everything is expressed in the production and labor efficiency.

The article-"The Impact of Globalization on Economic Growth" deals with the modern actual issues of globalization and its impact on the national economy. According to the author's explanation, the globalization is the process of formation the world as an economic, technological, political and cultural entity through conditions of maintaining the statehood and national identity of the concrete countries.

Globalization has the objective as well as the subjective features. That's why the globalization includes unprecedented possibilities for development of human society as so as it threats of its existence. The positive results have been achieved only when any exposures of abuse are excluded and all decisions are received as a result of common consensus. The other trends of globalization might be ended with disaster.

Globalization influences all sectors of national economy, including unemployment. In the article into detailed form are discussed the positive and negative sides of influence that globalization has on the national state and economy.

In Summary, it seems that globalization involves both the development of human society and its unseen possibilities of the threat of existence. Thus, it becomes necessary in the process of globalization proper management, or implementation of fair globalization. The greatest contribution to this belongs to the leader (big) states. It is on their decisions that globalization does not depend on fate.

Key words: Globalization; national economy; unemployment; international labor market.

მილოცვა

გამოჩენილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, ღირსეულ პიროვნებას და მოქალაქეს, ფუნდამენტური კვლევების ავტორს აგრარულ ეკონომიკაში, ქართული მიწის და სოფლის დიდ მოამაგეს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991წ.) და საქართველოს კონსტიტუციაზე (1995წ.) ხელისმომწერს, ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრს-ბატონ **პაატა კოღუაშვილს** ვულოცავთ დაბადებიდან 65 წლის იუბილეს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და ქვეყნისთვის მისთვის დამახასიათებელი ნაყოფიერი მოღვაწეობის გაგრძელებას.

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის სახელით

მთავარი რედაქტორი
რევაზ შენგელია

CONGRATULATIONS !

We congratulate to **Mr. Paata Koguashvili** on his 65th birthday, happy Anniversary. He is a Prominent scientist and public figure, dignified person and citizen, author of fundamental studies in agrarian economy, the great guardian of Georgian land and village, signer of the Act of Restoration of Independence of Georgia (1991) and the Constitution of Georgia (1995), the Academician of the Academy of Sciences, a member of the Editorial Board of Journal "Economics". And we wish him a long life and to continue fruitful work typical for him in favor of our country.

On behalf of the Editorial Board of the Monthly International Peer-reviewed and refereed scientific Journal "Economics".

Editor-in-Chief :
Revaz Shengelia

სამეცნიერო სტატიის
წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალი, ასევე თითოეული სტატია ინდექსირდება შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში: ***CROSSREF*** *(ენიჭება უნიკალური საერთაშორისო ციფრული იდენთიფიკატორი-* ***DOI****),* ***https://search.crossref.org; Google Scholar - http://scholar.bpengi.com; Portico - https://www.portico.org ; Zenodo-https://zenodo.org.***

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში - ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

პლაგიატიზმი და ეთიკური მოთხოვნები

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი. სტატიაში სხვისი გამოქვეყნებული ტექსტების მითითების გარეშე გამოყენება დაუშვებელია.

დაუშვებელია ასევე ადრე, სხვაგან გამოქვეყნებული სტატიის დაბეჭდვა ჟურნალში.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ და **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი AcadNusx;

ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი - Times New Roman;

შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

PUBLICATION REQUIREMENTS FOR SCIENTIFIC ARTICLES:

The journal, as well as each article, are indexed in the following international scientific databases: ***CROSSREF*** *(assigned an unique International Digital Identifier -* ***DOI****),* ***https://search.crossref.org; Google Scholar - http://scholar.bpengi.com; Portico - https://www.portico.org; Zenodo- https://zenodo.org***

The articles to be published in the journal should include the **new results** of scientific research in the theoretical and other practical fields of economics, such as: Economic reform; Modern problems of economics; History of economic doctrines; Legal Provision

of Market Economy; Finances, Banks, Exchange Markets; Regional Economy; Sectoral Economy; Current issues of Business, Marketing, Management; World economy; Reviews on monographs and textbooks published recently.

All received scientific articles will be peer-reviewed by the Editorial Board and will be published in case of positive reviews and assessment. The accepted articles will be posted on the website, in the electronic journal.

The articles are published in Georgian, Russian, English, German and French languages, in the original language.

PLAGIARISM AND ETHICAL REQUIREMENTS

The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article. It is not permissible to use others' text in the article without their cross-reference.

Moreover, it is also unacceptable to publish the early elsewhere issued article in the journal.

THE REQUIREMENTS OF FORMATTING SCIENTIFIC ARTICLES:

The minimum volume of the article is 5 pages A4 format;

Resumes must be in Georgian and **English** (essential) languages (minimum **100-250** words);

Key words in Georgian and English languages;

Title of the article in Georgian and English languages;

Name, surname, academic degree of the author (authors) in Georgian and English,

E-mail and telephone number;

Introduction to the article, Basic text and Conclusion;

List of References in Georgian and English languages;

For Georgian text, please use the Georgian font **AcadNusx.**

For English and Russian texts please use **Times New Roman;**

Font size 12, the interval 1,5cm , Line Spacing- 2 cm.

შინაარსი N1-2

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ზურაბ ნასარაია - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტებზე მუშაობის მართვის ძირითადი ტენდენციები და გამოწვევები ---------- 8

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ვერა ძველაია, რევაზ შენგელია - კრეატიულობა - COVID-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დაძლევის უმთავრესი გზა ----------23
გიორგი ბერიკაშვილი - თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმაცია ----------34
მარინა ბაღათურია - ანტიინფლაციური პოლიტიკა და პერმანენტული რყევები პანდემიის დროს ----------42
რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური - შენგელია, მეგი ანანიძე, ნათია შენგელია - მეცნიერულ - ტექნიკური ცოდნის გაფართოებული კვლავწარმოება - სიმდიდრის ზრდის უმთავრესი წყარო ----------47

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

გოჩა აბუთიძე - ბანკების ტრანსფორმაციის პროცესი არასტაბილურ გლობალურ გარემოში ----------57
ნინო ქავთარაძე - სავალუტო სისტემა სავალუტო ვაჭრობა საქართველოში ----------70
Zhuzhuna Tsiklauri - Shengelia, Natia Shengelia, Revaz Shengelia - Some Practical Financial Reporting (IFRS) Assessment Aspects Of The Covid - 19 Impact on Business **ჟუჟუნა წიკლაური - შენგელია, ნათია შენგელია, რევაზ შენგელია** - კოვიდ-19-ის ბიზნესზე ზეგავლენის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს) შეფასების პრაქტიკული საკითხები -------76

რეგიონული ეკონომიკა

ლელა მესხიშვილი - საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებს ტურიზმის მეშვეობით ინკლუზიური განვითარების კარგი შესაძლებლობები აქვთ ----------88

დარგობრივი ეკონომიკა

ვალერიან ჭედია - გლობალური კომერციული სამოქალაქო ავიაციის პოსტ - პანდემიური პერსპექტივები ---------- 101
ირაკლი კინწურაშვილი, შურა უკლება - საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივა და გამოწვევები არსებული პანდემიის (COVID – 19-ის) პირობებში ---------- 118
ნათია ოსიაშვილი - ვირის რძის წარმოების ტექნოლოგია და ფერმის ეფექტური მართვა საქართველოში ---------- 128
შოთა გოგიტაური - ბილეთებიდან მიღებული შემოსავალი ქართულ საფეხბურთო გუნდებში ---------- 133
Bezhan Shereshashvili, Levan Sabauri - Key Aspects of Analysis of Profit and Profitability of Georgian Winemaking on the Example of JSC "Badagoni"
(ბეჟან შერეშაშვილი, ლევან საბაური - მოგებისა და მომგებიანობის ანალიზის ძირითადი ასპექტები ქართული ღვინის წარმოებაში სს „ ბადაგონის" მაგალითზე) ---- 145

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ბადრი დავითაია, ლალი ხარბედია, მზისადარ ბჟალავა - მართვის ეკონომიკური ფსიქოლოგია და მართვისადმი ფსიქოლოგიური მიდგომის უმთავრესი პრინციპები ---------- 162
დავით ფარესაშვილი - ლიდერული მიღწევები ექსტრემალურ სიტუაციებში ---------- 172

თათია ღურწკაია, გურამ სამხარაძე, კარლო ღურწკაია - აუთსორსინგი - დანახარჯების შემცირების რეალური გზა ---------- 181
თამარ ვანიშვილი - მართვის ინოვაციური მოდელის დადებითი და უარყოფითი მხარეები პანდემიის პირობებში ---------- 190
ირაკლი კინწურაშვილი, შურა უკლება - მარკეტინგის ღონისძიებები აგროსექტორის განვითარების საქმეში არსებული პანდემიის (კოვიდ 19–ის) დროს საქართველოში ---------- 198
ნინო ოსიტაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე ტენდენციები სასტუმრო ინდუსტრიაში ---------- 208

მსოფლიო ეკონომიკა

გოჩა აბუთიძე - შვეიცარიის საბანკო სისტემა - თანამედროვე ტენდენციები და პერსპექტივები ---------- 219
თათია ღურწკაია, კარლო ღურწკაია - პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ---------- 230

ხსოვნა

ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ალფრედ კურატაშვილის ხსოვნა ---------- 242

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი ----- 244

შინაარსი N3-5

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ნატო გეგენავა, თამარ აბუაშვილი - საპენსიო რეფორმის ძირითადი მიზეზები და მიზნები საქართველოში ---------- 7

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია - განათლება - ადამიანი კაპიტალის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა------- 17
ხათუნა შალამბერიძე, ნანა ბენიძე - სავალუტო და სადაზღვევო ბაზრების თავისებურებები---------- 28

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ბაგრატ დევაძე, გიორგი დევაძე - სანაოსნო კომპანიების ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები 2010-2019 წლებში ------- 41
თენგიზ ლაჭყეპიანი, მაია კილაძე , მთვარისა თანანაშვილი, მაია ლომიშვილი - „მწვანე ობლიგაციების“ არსი და ეფექტიანი მართვის საკითხები საქართველოში ---------- 51

რეგიონული ეკონომიკა

გოჩა ცოფურაშვილი - რეგიონული ეკონომიკის როლი და შესაძლებლობები აგრარულ სექტორში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფაში---------- 60
პაატა კოლუაშვილი, გოჩა ცოფურაშვილი - მიწის მართვის პოლიტიკის რეგიონული ასპექტები და თვითმმართველობის შესაძლებლობები---------- 79
მარიამი კენჭოშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის დარგში არსებული პრობლემების დაძლევის გზები---------- 95

დარგობრივი ეკონომიკა

ლადო არაბიძე - მეღვინეობის განვითარების
თანამედროვე ტენდეციები ----------105
ნანი მამფორია - პანდემია და ტურიზმი საქართველოში---------- 115
ნინო ომანაძე - პანდემიის ზემოქმედება პერსონალის
სამუშაო გრაფიკსა და სტიმულირების
პროცესზე „ტაქსი პრიუსის“ მაგალითზე ----------125
პაატა კოღუაშვილი, ლადო არაბიძე - საქართველოს
მევენახეობა-მეღვინეობის მიკროზონალური
პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების გზები----------133

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

სალომე იმნაიშვილი - ბიზნეს - პროცესების ოპტიმიზაციის
მნიშვნელობა თანამედროვე კომპანიებისთვის----------148
Rami Aljabali - Emotional Intelligence and
Spiritual Leadership: An Organizational Study
(რამილ ალჯაბალი-ემოციური ინტელექტი
და სულიერი ლიდერობა:ორგანიზაციული კვლევა)----------153
ნინო ოსიტაშვილი, ნანა ნადარეიშვილი -
ბენჩმარკინგის როლი სასტუმრო მენეჯმენტის სრულყოფაში---166
ბაგრატ დევაძე - სახაზო სანაოსნო მომსახურების
როლი საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებაში ----------176
მანანა სამადაშვილი, ეკატერინე გობეჯიშვილი - ადამიანური
რესურსები - ორგანიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა---184

მსოფლიო ეკონომიკა

გრიგოლ გლუნჩაძე - საქართველოს სავაჭრო
ურთიერთობების განვითარება უკრაინასთან ----------192

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი-----199

შინაარსი N6-9

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

თამარ დუდაური - ინოვაციური პროცესი, როგორც ანტიკრიზისული მართვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი
doi.org/10.36962/104/6-9/2021697 ---------- 7

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ლელა თეთრაძე - დასაქმების და უმუშევრობის მაჩვენებლები თანამედროვე პირობებში
doi.org/10.36962/104/6-9/20216919 ---------- 19
მადონა კანტიძე - მწვანე ინოვაციებისა და ტექნოლოგიების უპირატესობანი
doi.org/10.36962/104/6-9/20216933 ---------- 33
ბადრი რამიშვილი - ტექნოლოგიური მეგატრენდის ეკონომიკური ანალიზი და მისი განვითარების მიმართულებები პოსტ-პანდემიურ სამყაროში
doi.org/10.36962/104/6-9/20216941 ---------- 41

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ზაირა ღუდუშაური, ირინე წიკლაური - უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლის დამთავრება ყოველთვის არ მთავრდება დასაქმებით
doi.org/10.36962/104/6-9/20216957 ---------- 57

დარგობრივი ეკონომიკა

პაატა კოღუაშვილი, ლეილა გეგენავა - აგროსასურსათო სექტორში არსებული გამოწვევები და პერსპექტივები
doi.org/10.36962/104/6-9/20216968 ---------- 68

რუსუდან ფირცხალავა - მიწის რესურსების
რაციონალური გამოყენება - ქვეყნის სასურსათო
უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორი
doi.org/10.36962/104/6-9/20216985 ---------- 85
ნათია გორგაძე - პროფესიული განათლების როლი საქართველოს
მევენახეობისა და მეღვინეობის სექტორის განვითარებაში
doi.org/10.36962/104/6-9/202169102 ---------- 102

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

თამარ ღამბაშიძე, მაყვალა რობაქიძე - სინერგიის
ეფექტის ფორმირების მექანიზმი
doi.org/10.36962/104/6-9/202169116 ----------116
ნატალია კანდელაკი - ტექნოლოგიური ინოვაციები
სახელმწიფო მმართველობის ტრანსფორმაციის კონტექსტში
(ბლოკჩეინ ტექნოლოგია: დანერგვის პრობლემები,
უპირატესობები და ნაკლოვანებები)
doi.org/10.36962/104/6-9/202169124 ---------- 124
ნიკოლოზ გოგოლაძე - ადამიანური რესურსების
მართვის გავლენა თანამედროვე სპორტის ინდუსტრიაზე
doi.org/10.36962/104/6-9/202169137 ---------- 137
დალი ბაკაშვილი - კომპანიაში დასაქმებული
პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის შეფასება
ჯ. ნიუსტრომის და კ. დევისის მეთოდიკის მიხედვით
doi.org/10.36962/104/6-9/202169145 ---------- 145

რეცენზია

რევაზ შენგელია - საინტერესო სახელმძღვანელო---------- **157**

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი---- 161

ჟურნალი“ეკონომიკა“
გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

E-ISSN 2733-3361

UDC: 338(922)(05)

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 15.11.2021 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 03.12.2021 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,75

უაკ (UDC): 338(922)(05)

E-ISSN 2733-3361